№26 (293) ● 16 ივლისი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი



## ქართული ჟურნალისტიკის „დედა“ ია ანთაძე ბიძინა ივანიშვილს დემოკრატიას ასწავლის?!

ია ანთაძე: ბატონმა ივანიშვილმა ცუდად იცის, რა არის დემოკრატია...



## ჯოჯოხეთის ფილიალი დედამიწაზე, ანუ ქართული აბუ-გრეიბის კოშმარები

ფრაგმენტები ლადო ბედუკაძის წიგნიდან



სერგი სახაია:

## „პოეზიის დედოფლისა“ და „პოეზიის რაინდის“ მიერ ოკუპირებული მწერალთა კავშირი — მწერლების სასაკლაო





**იასენია**, არამარტო აფხაზები, ჩვენ, ქართველებიც, ძალიან ვამაყობთ შენით, გვიყვარხარ და ბოდიშს გიხდით, თუ გული გატკინეთ...

## „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებულმა ხმები ვაგზლის მოედანზე იყიდა?!

varskvlavuri skandali telekompania `imedis~ garSemo grZeldeba

## kaxa kukavas skandaluri gancxadeba



თქვენ იცით, რომ ნინო ბურჯანაძის პარტია საერთოდ არ მონაწილეობდა ამ არჩევნებში და რასაც ნინო ბურჯანაძე უკეთებდა რეკლამას, სინამდვილეში, „ქდმ“ იყო?

## საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

***ამასწინათ სოციალურ ქსელში ერთი უცნაური წერილი გამოქვეყნდა.***

***რატომ არის ეს წერილი უცნაური, ამაზე ქვემოთ ვილაპარაკოთ, ახლა კი უცვლელი სახით გაგაცნობთ ტექსტს:***

**„ჩემს მეგობრებს!**

*არ ვარ ასეთი პერსონალური თუ კოლექტიური განცხადებების „ტრფიალი“, მით უმეტეს ტირაჟირებისა და გაზიარების მოსურნე, მაგრამ ახლა საჭიროდ ჩავთვალე და ამას აქვს ერთი პირადული მიზეზი.*

*ბოლო ერთი წელია, ამ აშკარა შოვინისტის გვარს და მის ფაშისტურ პოზიციას რამდენჯერმე, სრულიად გამიზნულად და პროვოკაციულად, დაუკავშირეს* ***„REPORTIORI.GE“****-ს არსებობა. სამწუხაროდ და ჩემთვის მოულოდნელად ამ ჭორის ერთობ „მწყალობელი“ აღმოჩნდა ერთი „გაზეთი“, რომელსაც მარტო იმიტომ ვადევნებდი ინტერესით თვალს, რომ მას რედაქტორობს და იქვე ბეჭდავს თავის ნააზრევს მართლა ნიჭიერი პოეტი და მშვენიერი პუბლიცისტი, აქამდე, ჩემი გაგებით, წესიერი კაცი. მის შემოქმედებას, განსაკუთრებით პუბლიცისტიკას, ისევე, როგორც პიროვნულ ურთიერთობას, ერთობ ვუფრთხილდებოდი და ღირსეულად ვაფასებდი (და ამის გამო დღემდე არცერთხელ არ შევხმიანებივარ ამ თემასთან დაკავშირებით), მაგრამ, ეტყობა, მასაც, სხვათა მსგავსად, გაუჭირდა და „რაღაც“ ინტერესების გამო... რაინდობას შემოწყრა!*

*ჰოდა, მინდა შევუძახო მეგობრულად და გავაგონო:*

*ეტყობა, არ იცი ვინ არის დუგინი და როგორია მისი ნააზრევი... ეტყობა, არც ის იცი ვინ და რატომ იყენებს შენს გაზეთს, ვის და რას უწევ „პროპაგანდას“...*

*მჯერა, ღრმად ჩახედული რომ იყო იმ ადამიანთა საქციელში, რომელთათვის არავითარი წმინდა არ არსებობს — არც მეგობრობა და არც ნათელ-მირონი, არც სიკეთის დანახვის უნარი აქვთ და არც კაცობის ნატამალი, არ გაერეოდი ამ სიბინძურეში. ერთმა საჯაროდ ბოდიში მოიხადა და გადაიხვეწა აქაურობიდან და ამ ნაბიჯი შეინარჩუნა ის ვითომ „ღირსება“, რომელიც, როგორც თავად გონია, აქვს... ჰოდა, ახლა, როცა ამდენი თვეების დუმილის შემდეგ, პირველად ვრეაგირებ ამ თემასთან დაკავშირებით, ისიც შენც გამო, რამეთუ არ მინდა საერთოდ დაგკარგო. აწი მაინც ნუღა დაამცრობ სულ ცოტა ხნის წინანდელ მშვენიერ, საინტერესო „გაზეთს“ და საბოლოოდ ნუ გადააქცევ სულით და ხორცით გახრწნილი არამზადების ბოდვების გავრცელების ინსტრუმენტად!!!*

*მოკითხვა შენს „ობიექტურ“ და „ყველაფრისმცოდნე“ ზოგიერთ თანამშრომელს!“*

# ღია წერილი
## ბატონ ნუგზარ ფოფხაძეს



ტექსტის ავტორი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნება, ბატონი ნუგზარ ფოფხაძეა.

უცნაური კი ეს ტექსტი იმით არის, რომ მასში არ ჩანს, ვის მიმართავს ავტორი, ვინ არის ეს „მართლაც ნიჭიერი პოეტი და მშვენიერი პუბლიცისტი“, რომელიც აქამდე წესიერი კაცი ყოფილა, მაგრამ, ბოლო ხანებში „რაღაც ინტერესების გამო“ რაინდობას შემოწყრომია.

ტექსტიდან ვერც იმას გაიგებთ, რომელ გაზეთზეა საუბარი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ მშვენიერი და საინტერესო გაზეთი ყოფილა, მაგრამ ბოლო ხანს, მისი რედაქტორივით, ამ გაზეთსაც არევია რამსები და ისეთი ადამიანების რუპორი გამხდარა, „რომელთათვისაც არავითარი წმინდა არ არსებობს — არც მეგობრობა, და არც ნათელ-მირონი, არც სიკეთის დანახვის უნარი აქვთ და არც კაცობის ნატამალი“. ამ არაკაცებიდან ერთს საჯაროდ ბოდიში მოუხდია და ქვეყნიდან გადახვეწილა, რომ ამით შეენარჩუნებინა ის ვითომ ღირსება, რომელიც მას ჰგონია რომ აქვს, მაგრამ სინამდვილეში არ აქვს.

ტექსტიდან, რა თქმა უნდა, ვერც იმას გაიგებთ, კონკრეტულად ვინ არიან ეს არაკაცები და არამზადებიუ, რომლებსაც პირი შეუკრავთ და ამ ერთ დროს მშვენიერ გაზეთს ისე იყენებენ საკუთარი ინტერესებისთვის, რომ გაზეთის რედაქტორი, „ნიჭიერი პოეტი და მშვენიერი პუბლიცისტი“, ვერაფერს ხვდება...

როგორც ვთქვით, ტექსტში არც გაზეთის სახელწოდებაა მითითებული და არც მისი რედაქტორის ვინაობაა დასახელებული, თუმცა გონივრული ეჭვი მაქვს, რომ ეს გასაიდუმლოებული პიროვნება, რომელსაც ბატონი ნუგზარი მიმართავს, მე ვარ, ვახტანგ ხარჩილავა, ხოლო „კოდური“ სახელწოდების „გაზეთის“ ქვეშ „საერთო გაზეთი“ იგულისხმება.

საქმე ის არის, რომ სწორედ „საერთო გაზეთში“ დაიბეჭდა ინტერვიუ ერთ-ერთ რესპონდენტთან, რომელმაც განაცხადა, რომ „რეპორტიორს“ დუგინის ფონდი აფინანსებს.

მან იგივე გაიმეორა მეორე ინტერვიუშიც, ოღონდ ამჯერად „რეპორტიორის“ დამფინანსებლებში დუგინის ფონდთან ერთად ლაურა ღაჭავაც მოიხსენია.

როგორც ჩანს, სწორედ ამ ფაქტმა განარისხა ბატონი ნუგზარი და „საერთო გაზეთი“ მიზანმიმართული პროვოკაციის, ჭორის და სიცრუის „ერთობ მწყალობელ“ გამოცემად მიიჩნია.

**ხაზგასმით მინდა განვაცხადო: მე პირადად არასოდეს არ მითქვამს, რომ „რეპორტიორს“ რომელზეც ძალიან კარგი წარმოდგენა მაქვს, როგორც მაღალკვალიფიციურ და საინტერესო საინფორმაციო საშუალებაზე, დუგინის ფონდი ან ლაჭავა ან კიდევ სხვა ვინმე აფინანსებდეს, ხოლო რაც შეეხება რესპონდენტს, ცხადია, რესპონდენტს პირს ვერ აუკრავ და ვერც იმას უკარნახებ, რა თქვას და როგორ თქვას.**

რაც შეეხება ჭორებს, „საერთო გაზეთის“ მიზანი, ზოგიერთი გამოცემებისგან და მათი ხილული თუ უხილავი მეპატრონეებისგან განსხვავებით, არასოდეს ყოფილა ჭორების და სულმდაბლური ცილისწამებების ტირაჟირება.

უფრო მეტიც, „საერთო გაზეთი“ შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს ამხილოს ქართულ მედიასივრცეს მიტმასნილი ჭორიკნების, პროვოკატორების, ავანტიურისტების, ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფების აგენტებისა თუ „ნასედკების“ საქმიანობა.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ქართულ მედიაში საკმაოდ მძლავრად ფეხმოკიდებული ეს მანკიერება ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას, ხლეჩს საზოგადოებას და ერთმანეთს აპირისპირებს ადამიანებს, ქმნის არაჯანსაღ, ნერვოზულ ფონს და ა.შ.

**სამწუხაროდ, ბოლო 25 წელია, ქართული მედიის ერთი ნაწილი ქართულ სახელმწიფოს, ქართულ მენტალიტეტს, ეროვნულ ფასეულობებს და ღირებულებებს გააფთრებული ებრძვის.**

**ამ სიტუაციაში „საერთო გაზეთი“ თავისი მოკრძალებული შესაძლებლობების ფარგლებში, თუ ხმამაღალ ნათქვამად არ ჩამითვლით, ჯიუტად ცდილობს ემსახუროს ეროვნულ ინტერესებს, რაც, ხშირ შემთხვევაში, ხელისშემშლელ და დამაბრკოლებელ ფაქტორად ექცევა ხოლმე.**

მადლობის მეტი რა მეთქმის, „ნიჭიერ პოეტს და მშვენიერ პუბლიცისტს“ რომ მიწოდებთ, მაგრამ ეს ნიჭიერი პოეტი და მშვენიერი პუბლიცისტი პარალელურად იდიოტიც რომ არის თურმე, ამ ამბავს რა მოვუხერხოთ, ბატონო ნუგზარ?

კი, ბატონო, დავუშვათ და არ ვიცი, ვინ არის დუგინი და როგორია მისი ნააზრევი, მაგრამ როცა არ ვიცი,. ვინ იყენებს ჩემს გაზეთს, როცა ვერ ვხვდები, ვის და რას ვუწევ პროპაგანდას, იდიოტი ვარ, აბა, რა ვარ?

თუ იდიოტი ვარ, იქნებ გამაგებინოს ვინმემ, ნიჭიერ პოეტობას და მშვენიერ პუბლიცისტობას როგორ ვუთავსებ ერთმანეთს?

— მეგობრულად მინდა შევუძახო და გავაგონოო, — რომ ბრძანებთ, თუ მართლაც მეგობრულად გინდათ დამეხმაროთ, მაშინ ბარემ მითხარით, ვინ არიან ეს სალახანები, „საერთო გაზეთს“ რომ შესევიან და ჩემს ზურგს უკან, ჩემგან მალულად, თავიანთი ბოდვების გავრცელების ინსტრუმენტად რომ უქცევიათ აქამდე სიმწრით და წვალებით მოტანილი ეს ჩემი გაზეთი?

**მართლა ვინმე რომ იდგეს ამ გაზეთის უკან, მაშინ 24-გვერდიან გაზეთს კი არა, სხვებივით 42-გვერდიან გაზეთს გამოვცემდი, კიდევ რამდენიმე სხვა გაზეთს დავამატებდი, პარალელურად პორტალებს და საიტებს შევქმნიდი და თქვენი უმცროსი მეგობრის ელისო კილაძის საქილიკოდ არ გავიხდიდი საქმეს — ერთლარიანი „საერთო გაზეთი“, აბა, რა გაზეთიაო — რომ ბრძანა ამასწინათ.**

დიდი სიბრძნე, მიხვედრილობა და ანალიზის უნარი არ ჭირდება იმის დანახვას, რაც დღეს ქართულ მედიასივრცეში ხდება, სადაც მართლაც უცნაური ამბები ტრიალებს, უცნაური და ძალიან საეჭვო ამბები, რომლებსაც ხშირად კრიმინალის სუნი უდის.

საქმე ის არის, რომ ქართულ მედიასივრცეში დროგამოშვებით საიდანღაც უზარმაზარი ფული შემოვარდება ხოლმე და ეს ფული მოგვიანებით ახალ გამოცემებად, ახალ საიტებად და სააგენტოებად, ახალ რადიო და ტელეარხებად ევლინება ქვეყანას, ისე, რომ არავინ იცის, ვისი ფულია ეს და რა მიზნებს და რა ამოცანებს ემსახურება იგი.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს რაღაც მაფიური დაჯგუფებები მოქმედებენ, რომლებიც ხან ხელისუფლებას აშანტაჟებენ, ხან ბიზნესმენებს, ხან ცალკეულ პოლიტიკოსებს, ზოგჯერ ერთმანეთსაც დაერევიან ხოლმე, ეს ყველაფერი კი, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს ასუსტებს, სახელმწიფოს ანგრევს და განვითარების საშუალებას არ აძლევს.

სახელმწიფოო, კი ვამბობთ, მაგრამ სინამდვილეში ამ ადამიანებს ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის ბედი სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ — ერთადერთი, რაც აინტერესებთ, ეს არის ძალაუფლება, ფული, გავლენების შენარჩუნება.

თუ დაფინანსების წყაროებთან მიუწვდება ხელი, ადვილად შეიძლება კაცმა თვითონ შექმნას, ვთქვათ და, ინფორმაციის კერძო „სამინისტრო“, თვითომ დაინიშნოს თავი მინისტრად, დააარსოს სხვადასხვა სახის საინფორმაციო საშუალებები, (ამასთან ერთად, უკვე დაარსებულებიც მოაქციოს საკუთარი კონტროლის ქვეშ), იყოლიოს ხელქვეით ჟურნალისტთა მთელი როტა, სახელისუფლო სტრუქტურებში შეაგზავნოს თავისი ხალხი, თვითონ კი დაჯდეს სახლში და პროცესები როგორც უნდა, ისე მართოს.

**ვახტანგ ხარჩილავა**

**(გაგრძელება იქნება)**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# მიშას ძმა ვანო

მიშას ძმა ვანოსო, რომ ვამბობთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საუბარია მაინცდამაინც საკაშვილის ძმა ვანო მერაბიშვილზე.

მოცემულ შემთხვევაში, მიშას ძმა ვანოში მიშა მაჭავარიანის ძმა ვანო მაჭავარიანს ვგულისხმობდით და არა მიშა საკაშვილის ძმა ვანო მერაბიშვილს, თუმცა თუ კარგად ჩავუღრმავდებით სიტუაციას, ოთხივენი მაინც ძმები არიან — მთლად ერთი დედ-მამის ნაშობნი არა, მაგრამ სულიერ „პონტში" მაინც ძმები და ძმაზე უკეთესნიც კი.

მიშა (მაჭავარიანი) მიშას (სააკაშვილის) ძმა თუ იყო (არადა, ყველამ იცის, რომ იყო), მაშინ გამოდის, რომ ვანოც (მაჭავარიანი) მიშას (სააკაშვილის) ძმა ყოფილა, რომლის ძმა ვანო (მერაბიშვილი) ასევე ძმად ეკუთვნით ძმებს მაჭავარიანებს — მიშას და ვანოს.

ჰოდა, მიშას, მიშას ძმა მიშას, მიშას ძმა მიშას ძმა ვანოს ძმა ვანო, გაპრეზიდენტებისთანავე იძმო გიორგი მარგველაშვილმა, რითაც, ლოგიკის მიხედვით, ძმებთან ძმურ კავშირში შევიდა.
















რამდენიმე თვეში ძმა გიორგიმ ძმა ვანო ძმობიდან გადააყენა, რამაც ვანოს ძმური სიყვარულით სავსე გული ფრიად ატკინა და ასე, ნატკენი გულით, საზოგადოებას გამოუტყდა, რომ სანამ ძმა გიორგი იძმობდა, მანამდე თვით ბიძინა ივანიშვილი სთავაზობდა თურმე მაღალ-მაღალ პოსტებს, მაგრამ მიშას და მეორე მიშას ძმა ვანოს ივანიშვილის შემოთავაზებებზე უარი უთქვამს. სამაგიეროდ, ძმა გიორგის ძმობაზე დაუფიქრებლად დათანხმებულა.

გამოცანა გვეკითხება: — რაში სჭირდებოდა ძმად პრეზიდენტ გიორგის მიშას (სააკაშვილის) ძმის მიშას (მაჭავარიანის) ძმა ვანო. რითაც პირდაპირ „ნათესაური" ხაზით დაუკავშირდა „ნაცმოძრაობის" სამმოს?

... ეს ჩავლილი ამბავია და ამ უდროოდ შეწყვეტილი ძმობის ისტორია იქნებ გახსენებადაც არ ღირს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რატომ არ ღირს — ძმობა ისეთი რამ არის, ასე ადვილად გულიდან რომ არ ამოიშლება და არ ამოირეცხება.

# აქა ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ „დააჩმორა" კოკელმა ნარმანიამ „კარენოი" თბილისელი მელია

გასულ ოთხშაბათს ნეიტრალურ მოედანზე შემდგარი სატელევიზიო დებატების მიმდინარეობისას გაირკვა, რომ ნიკანორ მელია, აქამდე ტკბილად რომ ღუღუნებდა, ჩვეულებრივი „ნაციონალი" ყოფილა, ძველბიჭური „ზამაშკებით" და ზონდერული გამოხტომებით.

ამ დებატებზე მელიას მელიის ნიღაბი მოსძვრა და მგელს დაემსგავსა, რომელსაც სოფელ კოკიდან თბილისში შემოპარული ნარმანიას შეჭმა უნდოდა „ —შენ ამ ქალაქში რა გინდა, კოკელო ნარმანიავ", ამ ქალაქში მე დავიბადე, ძმაოო.

ვაზშემ, მართალია, ეს მელია — კაცი „კარენოი" თბილისელია და შენ ვიღაც ზუგდიდიდან ჩამოსული ნარმანია როგორ ბედავ და მერობას როგორ ეცილები, ტო, ნამუსი ჩქა?







მელიამ, რა თქმა უნდა, არ იცის, რომ მე-19-ე საუკუნის 60-იანი წლების აღწერის მიხედვით, თბილისის მოსახლეობის 65 პროცენტი სომეხი იყო და მხოლოდ 15 პროცენტიიყო ქართველი.

როგორც მკვლევარები ამტკიცებენ, იმ 15 პროცენტში ბატონი ნიკანორის გვარი მელია არ ფიგურირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნიკანორ მელიას წინაპარიც, დავით ნარმანიასავით, ჩამოსულია: რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ორი დღით ადრე ჩამოვიდა, ვინ ორი დღით გვიან, მთავარი ისაა, რომ თბილისელთა უმრავლესობა ჩამოსულია.

რაც შეეხება „კარენოობას", „კარენოებაზე" ნუ მიდგება საქმე, თორემ, სადაც სამართალია, თბილისის მერობა ყველაზე მეტად „მარშუტკის" მძღოლ სურენას ეკუთვნის, რომლის პაპის პაპის პაპა ტფილისში დაიბადა და ერეკლე II-ის თავლაში მეჯინიბედ მუშაობდა.

... ოთხშაბათის დებატებში თბილისელი ნიკანორ მელია ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ კოკელი ნარმანია „კაჩაობაში" დაეჩმორებინა და „დაეგოიმებინა", თუმცა ნარმანია კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და „დამგოიმებელს" ისეთი „აბაროტი" აუღო, მელია მომავალ არჩევნებამდე შეიძლება გონს ვერ მოვიდეს.

ოთხშაბათს მაყურებლის მიერ გამოტანილმა დასკვნამ, რომ მელია ჩვეულებრივი „ნაციონალი" ყოფილა, ნაციონალებისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისებით, ის შედეგი გამოიღო, რომ შაბათს, არჩევნებზე გაგულისებულმა ამომრჩევლებმა საწყალი მელია ბოლომდე „დააჩმორეს".

ასე რომ, მელიამ არჩევნები შაბათს კი არა, ოთხშაბათს, დებატებში წააგო.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# ია ანთაძე ბიძინა ივანიშვილს დემოკრატიას ასწავლის?!

## ია ანთაძე: ბატონმა ივანიშვილმა ცუდად იცის, რა არის დემოკრატია...

გასულ კვირას „მაესტროზე“ თავის რეპორტაჟში ვახო სანაიას ქართული ჟურნალისტიკის „მშობელთა“ კრება ჰყავდა მოწვეული.

დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა — რა შეიძლება მოხდეს, თუ მართალი გამოდგა ხმები, რომ სექტემბრიდან შეიძლება ბიძინა ივანიშვილი ერთ-ერთი გადაცემის წამყვანად ან თანაწამყვანად მოგვევლინოს?!

„მშობლები“, ქართული ჟურნალისტიკის „მამა“ ლაშა ტუღუში და ქართული ჟურნალისტიკის „დედა“, ია ანთაძე, გადაცემის მსვლელობისას მთელი სერი-



ოზულობით, ფრიად აკადემიური, საქმეში ძირისძირობამდე ჩახედული პროფესიონალი ექსპერტების ტონით მსჯელობდნენ, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს მომავალი ტელეგადაცემის და მომავალი „ტელეჟურნალისტის“ ბიძინა ივანიშვილის ბედი, თუ ეს გადაცემა მართლა გავა ეთერში.

ქართული ჟურნალისტიკის მშობლებიო, ვთქვით ზემოთ და არ განვმარტეთ, რას ვგულისხმობდით.

საქმე ის არის, რომ საკმარისია, ერთი სიტყვა დაასველოს ვინმემ ჟურნალისტიკაზე, ბატონი ლაშა ტუღუში, როგორც წესი, იქ არის, როგორც ამ საქმის სპეციალისტი და შეუცვლელი ექსპერტი.

ის არის ყველგან — სამთავრობო თუ არასამთავრობო კომისიებში, ტელეგადაცემებში, რადიოგადაცემებში, პრესის ფურცლებზე და თავისი კომპეტენტური აზრებით ანათლებს „არაკომპეტენტურ“ საზოგადოებას.

ყოველივე ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ალალი და დაუყვედრებელია ლაშა ტუღუშს ქართული ჟურნალისტიკის მამა დავუძახოთ...

რაც შეეხება დედას, ია ანთაძეს, ისიც სულ ტელეეკრანზე ბრდღვიალებს და დედობრივი მზრუნველობით და სიყვარულით გვასწავლის სხვადასხვა, ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებულ მეცნიერებათა (იმანაც, როგორც მამა ტუღუშმა, ყველაფერი იცის, ყველაფერში ერკვევა) ანაბანას.

აი, ამიტომ ვთქვით წერილის დასაწყისში, ვახო სანაიამ ქართული ჟურნალისტიკის მშობელთა კრება მოიწვიაო.

„კრებაზე“ პირველი სიტყვა ქალბატონმა იამ წარმოსთქვა:

„ბავშვებს ეცინებათ ხოლმე იმაზე, რაც არის შეუსაბამო. მაგალითად, ეცინებათ ხოლმე, როცა ცირკში კლოუნს აცვია გაცილებით დიდი ფეხსაცმელი, ვიდრე არის მისი ფეხის ზომა. ასევე ადამიანებს ეცინებათ, როცა ყოფილი პრემიერი, რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო თავის ქვეყნის განვითარებაზე, ეხლა ამბობს, რომ მე უნდა გავხდე ჟურნალისტი და მე მიმაჩნია, რომ კი, ამ ადამიანებს აქვთ სერიოზული მიზეზი იმის, რომ ეცინებოდეთ, მაგრამ თუ თითონ ბიძინა ივანიშვილი ხედავს ძალიან კარგად, რომ არ არის შეუსაბამობა მის ახლანდელ მიზანსა და მის ძველ მიზნებს შორის, მაშინ სასაცილო არ იქნება ის, რასაც ის გააკეთებს.“



მოგვიანებით დისკუსიაში ისევ ია ანთაძე ჩაერთო და სანაიას კითხვაზე, რაიმე რისკებს ხომ არ ხედავთო, ასე უპასუხა:

რისკი ყველაზე დიდი არის ის, რომ რამდენადაც მე მესმის, მიუხედავად მისი დამსახურებებისა, რასაც მე ნამდვილად არ უარყოფ, ბატონმა ივანიშვილმა ცუდად იცის, რა არის დემოკრატია. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე და მას ეს სრულიად სხვადასხვანაირად გვესმის. და როდესაც ადამიანი არის საზოგადოების პირისპირ და ტელევიზიით ხშირად ხედავს მას საზოგადოება, რისკი სწორედ არის ის, რომ მისი უარყოფითი მხარეებიც ისევე ჩანს და კიდევ უფრო მეტად ჩანს, ვიდრე დადებითი მხარეები და როდესაც ადამიანმა დღეს ცუდად იცის და არ აქვს შესაბამისი ცოდნის სტრუქტურა, რა არის დემოკრატია, რა არის ინსტიტუციების გაძლიერება, რასაკვირველია! ეს ძალიან დიდი რისკია მისთვის.“

ანთაძის ამ დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის შეგონებას რომ ვუსმენდით, ბიძინა ივანიშვილის პირველი ვრცელი წერილის ის ფრაგმენტი გაგვახსენდა, სადაც ია ანთაძე ლაპარაკობს:

„დღეს, როდესაც სიცრუის მანქანა მთელი ძალით მუშაობს ადამიანთა ტვინების გამორეცხვაზე და მოდელირებული ვირტუალური ფსევდორეალობის რეალობად და სინამდვილედ წარმოჩენაზე, ძნელია გაარჩიო, ვინ ტყუის და ვინ ამბობს სიმართლეს!

**ხელისუფლების** (აქაც და სხვაგანაც იგულისხმება „ნაცმოძრაობა“-ს.გ.) **ძალისხმევით ეგრეთწოდებულ ექსპერტთა, პოლიტოლოგთა, ანალიტიკოსთა, სოციოლოგთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მობილური ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელიც ხელისუფლების მიერ დაწერილ სცენარს ახმოვანებს და უტიფრად ასაღებს შავს თეთრად და პირიქით.**

ჩვენ ამ ადამიანებს ყოველდღე ვუსმენთ ტელეეკრანებზე, ვკითხულობთ მათ წერილებს, ინტერვიუებს, რომელიც სიმართლის წარმოჩენას კი არა, სიმართლის მიჩქმალვას ემსახურება და ცხადია, ადამიანებს სწორი არჩევანის და სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას უხშობს.

იმდენად მრავალრიცხოვანია ფსევდოობიექტურთა ჭრელი გუნდი, ყველა მათგანის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, თუმცა თავისი ნიჭიერებით გამორჩეულ რამდენიმე პიროვნებაზე მაინც შევჩერდები.

პირველ რიგში, მინდა დავასახელო, ია ანთაძე, გამორჩეულად ნიჭიერი ქალბატონი, კარგი ანალიტიკოსი, რომელიც ეჭვი მაქვს, რომ ზოგჯერ ძალიან ოსტატურად და შენიღბულად ემსახურება ხელისუფლების ინტერესებს.

ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება, თუმცა ამჯერად მხოლოდ ერთზე შევჩერდები.

**ია ანთაძემ ამას წინათ ყოველგვარი არგუმენტების გარეშე მე პრორუსულ ძალად, სააკაშვილი კი პროდასავლური ლიბერალური ღირებულებების აპოლოგეტად გამოაცხადა.**

კი, ბატონო, ია ანთაძემ რაც უნდა ის მიწოდოს, არ მეწყინება, მაგრამ როგორ შეიძლება სააკაშვილში, რომელმაც ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა საქართველოში, ლიბერალობა და პროდასავლურობა დაინახო?“

**(ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი საქართველოს ხელისუფლებას, პოლიტიკოსებს და პოლიტიკურ პარტიებს, მასმედიის წარმომადგენლებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს ოქტომბერი, 2011 წ.)**

ბიძინა ივანიშვილის ეს წერილი ია ანთაძის ვახო სანაიას რეპორტაჟში გამოსვლამდე თითქმის სამი წლით ადრე, 2011 წლის ოქტომბერშია გამოქვეყნებული, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ამ სამი წლის წინანდელ წერილში ზუსტი და ამომწურავი პასუხია გაცემული „დემოკრატიათმცოდნეობის“ სპეციალისტი ანთაძისთვის.

**ქალბატონო ია, თქვენ ვისაც სააკაშვილი პროდასავლელ ლიდერად, ანუ დემოკრატიის გურუდ და მასწავლებლად მიგაჩნდათ, იცით, დემოკრატია რა არის და არ იცის ეს ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობის“ დიქტატორულ-ავტოკრატიული რეჟიმის მიერ გაუბედურებულ ქვეყანაში დემოკრატიულ ღირებულებებს ეზეიმა?**

ქალბატონო ია, ჩვენ ყველას გვახსოვს და ალბათ, თქვენც გემახსოვრებათ...

2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხთან ერთად მოძალადე ხელისუფლების მხრიდან არაერთი პროვოკაცია, დამცირება და შეურაცხყოფა გადაიტანა, მაგრამ ერთხელ არჩეული გზისთვის არ უღალატია, რადგან იცოდა, ძალისმიერი მეთოდებით მიღწეულ გამარჯვებას პერსპექტივა არ აქვს. პერსპექტივა აქვს მხოლოდ დემოკრატიული მეთოდებით ბრძოლას.

შეიძლება ვინმეს ზედმეტად გაზვიადებულად ნათქვამი მოეჩვენოს, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს თამამად შეიძლება ეწოდოს ქართველი მაჰათმა განდი, რომელმაც გამარჯვების გზად სიყვარულის გზა აირჩია, სიყვარულის, მიტევების და შემწყნარებლობის გზა.

**ყოველივე ამის შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა არ იცის, დემოკრატიის ფასი და თქვენ იცით, ქალბატონო ია, თქვენ, ვინც სააკაშვილს დასავლური ღირებულებების დამამკვიდრებლად და დამნერგავად მიიჩნევთ, იმ სააკაშვილს, რომელსაც 200-მდე პოლიტპატიმარი, 300 000 პრობაციონერი და 25 000 პატიმარი ჰყავდა თავისი „დემოკრატიული“ მმართველობის დროს?**

...ქართული ჟურნალისტიკის „მამა“ ქართული ჟურნალისტიკის „დედას“ არ შეპასუხებია და მისი ნათქვამი არ გაუპროტესტებია, არადა, რა დიდი სიბრძნე უნდა იმის დანახვას, რომ 2011 წლიდან დღემდე საქართველო დემოკრატიის გზაზე სწორედ ბიძინა ივანიშვილმა ატარა საოცარი მოთმინებითა და წინდახედულობით.

ამის დასტურად თუნდაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩატარებული არჩევნებიც იკმარებს, რომლებიც ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

ბრმა უნდა იყო, რომ ეს ვერ დაინახო, თუმცა რატომ იბრმავებენ თვალებს ანთაძეები და კიდევ სხვა ანთაძეები, ამას თავისი მიზეზები აქვს, რომელთა შესახებ სხვა დროს და სხვა წერილში ვისაუბრებთ.

**„საერთო გაზეთი“**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო

**საქართველოში 90-იან წლებში მომხდარი მოვლენები ძალიან წააგავს დღევანდელ უკრაინაში მომხდარს.**

შევარდნაძემ დიდი ცხოვრებისეული გზა გაიარა. სტალინს რომ ამდენივე წელი ეცოცხლა, იგი 1966-ში გარდაიცვლებოდა და კაცმა არ უწყის, როგორ წარიმართებოდა საბჭოთა კავშირის ბედი.

დღესდღეობით რთულია ლაპარაკი იმაზე, როგორ ვიცხოვრებდით ახლა, 1985 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად მიხეილ გორბაჩოვის ნაცვლად სხვა ვინმე რომ აერჩიათ.

რაც მოხდა, მოხდა – 1985 წლის მარტში, პოლიტბიუროს სხვა წევრების ფონზე, ახალგაზრდა გორბაჩოვი საბჭოთა კავშირის მეთაური გახდა, ივლისში კი თანამდებობა დატოვა ანდრეი გრომიკომ, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს 1957 წლიდან ხელმძღვანელობდა.

მის ნაცვლად დანიშნეს ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც მანამდე არანაირი გამოცდილება არ ჰქონია დიპლომატიურ ასპარეზზე. მისი წინა ბიოგრაფია საერთაშორისო ურთიერთობებს საერთოდ არანაირად არ დაკავშირებია.

1957-1961 წლებში შევარდნაძე საქართველოს კომკავშირის პირველი მდივანი იყო და სწორედ მაშინ გაიცნო გორბაჩოვი. ერთხანს შინაგან საქმეთა მინისტრადაც მუშაობდა, ხოლო 1972-იდან 1985 წლამდე – საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად, ანუ ფაქტობრივად, რესპუბლიკის პირველ პირს წარმოადგენდა.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ შევარდნაძე საქართველოს მართავდა 1972 წლიდან 2003 წლამდე, თუ არ ჩავთვლით შვიდწლიან ინტერვალს. ამ პერიოდშიც კი იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა რესპუბლიკაში მომხდარ მოვლენებზე. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გაქცევის შემდეგ სწორედ შევარდნაძე მიიწვიეს დანგრეული და დანაწევრებული ქვეყნის სამართავად.

მივუბრუნდეთ იმ პერიოდს, როცა იგი სათავეში ედგა საბჭოთა დიპლომატიას. პირველ წლებში გორბაჩოვსა და შევარდნაძეს შორის არანაირი უთანხმოება არ ყოფილა. შევარდნაძე დადიოდა მსოფლიოს ქვეყნებში, კითხულობდა ლექციებს, ლაპარაკობდა განიარაღებაზე, ურთიერთობდა სტუდენტებთან და მილიარდერებთან, ანუ იქცეოდა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო იმ ქვეყნის საგარეო უწყების მეთაური, რომელსაც მთელ მსოფლიოში თავისი იმიჯის საპირისპიროდ შეცვლა სურდა.

80-იანი წლების ბოლოს გორბაჩოვსა და მის იმ თანამოაზრეებს შორის, რომლებიც 1985 წელს მოვიდნენ ხელისუფლებაში, უთანხმოებამ იმატა და მხოლოდ ბრმა ვერ ამჩნევდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე ცენტრიდანულ ტენდენციებს... ქვეყნის განაპირა მხარეებში სისხლისმღვრელი შეტაკებები დაიწყო და მსგავსი მოვლენები, როგორც მოსალოდნელი იყო, ზვავის პრინციპით განვითარდა და სულ უფრო მეტი ტერიტორია მოიცვა.

1989 წლის აპრილში შევარდნაძემ დაგმო საბჭოთა არმიის მოქ-



მედება თბილისში, სადაც მიტინგის დარბევას 19 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. შეტაკების პროვოცირება ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა მოაწყვეს, ხოლო მიტინგის უშუალო მიზეზი იყო აფხაზი სეპარატისტების სურვილი, აფხაზეთი გასულიყო საქართველოს შემადგენლობიდან.

სხვათა შორის, 9 აპრილის მოვლენებს იკვლევდა ანატოლი სობჩაკი, რის გამოც მას თბილისში ძეგლი დაუდგეს.

1990 წლის დეკემბერში ედუარდ შევარდნაძემ უარი განაცხადა მიხეილ გორბაჩოვის შეთავაზებაზე, გამხდარიყო ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი; უფრო მეტიც: საერთოდ დატოვა თანამდებობა და გააკეთა იმ დროისთვის ძალზე მოულოდნელი და თამამი განცხადება „მოახლოებული დიქტატურის შესახებ“.

ვიდრე გადადგებოდა, ექვსი თვით ადრე, მოიმოქმედა ის, რასაც არცთუ კეთილად იხსენებენ ისინი, რომლებსაც რუსეთის მთავარ სიმდიდრედ მისი ტერიტორია მიაჩნია.

1990 წლის 1 ივნისს ვაშინგტონში შევარდნაძემ ხელი მოაწერა შეთანხმებას ბარენცის ზღვის გაყოფის შესახებ. იგულისხმება ეგრეთ წოდებული „შევარდნაძე-ბეიკერის ხაზი“. შედეგად, საბჭოთა კავშირმა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის 30 ათასი კვადრატული კილომეტრი და სადავო კონტინენტური შელფის 46 ათასი კვადრატული კილომეტრი დაკარგა.

არც საბჭოთა კავშირს და არც რუსეთს ამ შეთანხმების რატიფიცირება არ მოუხდენია, თუმცა მოსკოვს არც პრეტენზია წამოუყენებია ამ ტერიტორიებზე. მოგეხსენებათ, ორ ბირთვულ სახელმწიფოს შორის ტერიტორიული კამათი სახუმარო ამბავი არ არის.

2002 წელს, რუსეთის ფედერაციის საბჭოს ჩრდილოეთის საქმეთა კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ ალექსანდრ ნაზაროვმა მიმართა გენერალურ პროკურატურას, შეეფასებინა შევარდნაძის საქციელი, მაგრამ ამ საქმეს გაგრძელება არ მოჰყოლია.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელი თვითნებურად არ მოაწერს ხელს რომელიმე საერთაშორისო შეთანხმებას; ამიტომაც შევარდნაძემ სტატუს-კვო გამოხატა მხოლოდ. მიუხედავად ამისა, ისტორიაში მაინც დარჩა მინისტრად, რომელმაც ამერიკას რუსული ზღვისა და შელფის რამდენიმე ათეული კილომეტრი „აჩუქა“.

1991 წლის ნოემბერში გორბაჩოვმა შევარდნაძეს კვლავ შესთავაზა საგარეო საქმეთა მინისტრობა, მაგრამ ეს თვეზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა. მთავარმა დიპლომატმა, საბჭოთა სახელმწიფო მოხელეებიდან ერთ-ერთმა პირველმა, აღიარა ბელოვეჟის შეთანხმებები და მოსკოვიდან გაემგზავრა.

იმ დროისთვის საქართველოს უკვე დაკარგული ჰქონდა სამხრეთ ოსეთი, ხოლო აფხაზეთის ომი ისის იყო იწყებოდა. შევარდნაძემ, უკრაინის ახლანდელი ხელმძღვანელების მსგავსად, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ოპერაცია წამოიწყო. ეს რისკიანი ნაბიჯი იყო.



მოკლედ ვთქვათ – სამხედრო დანაშაული ორივე მხარემ ჩაიდინა. ორივე მხარეს იყო უამრავი მსხვერპლი. ომის შედეგად, აფხაზეთში მცხოვრები ქართველების უმეტესობა იძულებული გახდა, აფხაზეთი დაეტოვებინა. შევარდნაძე კი, 1993 წლის სექტემბერში, ბლოკირებული სოხუმიდან რუსეთის არმიამ იხსნა.

90-იან წლებში საქართველო სულ უფრო და უფრო ეფლობოდა სიღატაკეში, კორუფციაში... აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან წამოსული ლტოლვილები საშინელ პირობებში ცხოვრობდნენ. იმდროინდელ ფაქტობრივად დამოუკიდებლ ჩეჩნეთსა და საქართველოს შორის საზღვარი პრაქტიკულად არ არსებობდა, რის შედეგადაც ორივე მხარის „ბოევიკები“ თავისუფლად გადაადგილდებოდნენ და პანკისის ხეობას ეგრეთ წოდებულ „გადასატვირთ“ ბაზად იყენებდნენ.

თუკი კიდევ ერთხელ შევადარებთ შევარდნაძესა და სტალინს, ამ უკანასკნელმა კავის რუსეთი ჩაიბარა და ბირთვული სახელმწიფო დატოვა; შევარდნაძემ კი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რესპუბლიკა ჩაიბარა და ტერიტორიულად მნიშვნელოვნად შემცირებული ღატაკი და კორუმპირებული ქვეყანა დატოვა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ შევარდნაძის მმართველობის დროს აჭარის ერთპიროვნული ბატონი ასლან აბაშიძე იყო.

პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე ედუარდ შევარდნაძე „ფერადი რევოლუციის“ პირველი მსხვერპლია. სერბეთში აპრობირებული „პრაქტიკულად უსისხლო“ რევოლუციის ტექნოლოგიამ წარმატებით იმუშავა სიღარიბისა და უიმედობისგან დაღლილ საქართველოში. შევარდნაძემ მომიტინგეების წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე უარი თქვა და 2003 წლის ნოემბერში გადადგა.

ამის შემდგომ ის პოლიტიკურ პენსიონერად იქცა, წერდა მემუარებს, მოგზაურობდა მსოფლიოში, მართალია, ისე ხშირად არა, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელობის პერიოდში, მაგრამ თანამდებობას ჩამოშორებული მაინც ინარჩუნებდა აქტიურობას.

დროდადრო ზომიერ შენიშვნებს გამოთქვამდა მიხეილ სააკაშვილის შესახებ, მაგრამ 2012 წელს მკაცრად გააკრიტიკა თავისი შემცვლელი:

„მაშინ სხვა არჩევანი არ მქონდა გარდა იმისა, რომ ღირსეულად გადავმდგარიყავი, მაგრამ ათასგზის მოვინანიებ და მოვუბოდიშებ საქართველოს მოსახლეობას, რომ ხელისუფლება სააკაშვილს გადავაბარე. ვაღიარებ ჩემს შეცდომას, ჩემს ხალხს ბოდიშს ვუხდი“, – განაცხადა შევარდნაძემ.

სააკაშვილმა სოციალურ ქსელში შევარდანაძის გარდაცვალების გამო სამძიმრის ტექსტი გამოაქვეყნა:

„ედუარდ შევარდნაძე იყო ძალიან მნიშვნელოვანი მოღვაწე საბჭოთა იმპერიის დაშლის სტადიაზე და პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის, რომლის ისტორიაში ადგილის უფრო ზუსტ შეფასებაზე ისტორიკოსებს კიდევ დიდხანს მოუწევთ მუშაობა“.

სააკაშვილმა ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, უკანასკნელად დაემცირებინა გარდაცვლილი და განაცხადა:

„საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ნაწილის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, მის სისხლის სამართლებრივ დევნაზე კატეგორიული უარი ვთქვით... ამ აზრზე ვრჩები მას შემდეგაც კი, რაც თავად პრეზიდენტი შევარდნაძე პრესის საშუალებით მუდმივად მოუწოდებდა საქართველოს ახალ მთავრობას, რომელსაც აქტიურად უჭერდა მხარს, ჩემი და ჩემი მომხრეების დევნისა და დაპატიმრებისკენ...“

თანამებრძოლის გარდაცვალებას გამოეხმაურა მიხეილ გორბაჩოვიც, რომელმაც შევარდნაძეს „ნიჭიერი ადამიანი“ უწოდა.

სააკაშვილს თუ ოდესმე რამე სიმართლე უთქვამს, სწორედ ეს არის – ისტორიაში შევარდანაძის ზუსტი ადგილის გასარკვევად ისტორიკოსებს კამათი დიდხანს მოუწევთო.

ახლა, საბჭოთა კავშირის დაშლიდან 23 წლის შემდეგ, ძალზე რთულია თქვა, „დერჟავის“ ლიდერებს მართლა არ ესმოდათ, რომ ქვეყანას დაშლისა და განადგურებისკენ მიაქანებდნენ?“ ან იქნებ პირიქით იყო და სწორედ ეს წარმოადგენდა მათ მთავარ მიზანს?!

80-იანი წლების შუა პერიოდში გორბაჩოვიცა და შევარდნაძეც თავის წინამორბედ საბჭოელ სახელმწიფო მოხელეებს ჰგავდნენ. ახლანდელი გადასახედიდან კი ტრაგიკომიკურად არ შეესაბამებოდნენ მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს მასშტაბებს.

ბოლოს კი, ვისაც შევარდნაძის გარდაცვალება (ისევე როგორც ელცინისა) გაეხარდა, და სიხარულით ელოდება, როდის დადგება გორბაჩოვის რიგი, შევახსენებთ, რით განსხვავდება ადამიანი ცხოველისგან – თანაგრძნობის, თანადგომისა და მიტევების უნარით...

**ალექსანდრ კრილოვი,**
**გამოცემის მიმომხილველი**
**vz.ru**

# აურზაური არაფრის გამო, ანუ არ გაბედოთ ხმის დაძვრა პრესასთან დაკავშირებით, თორემ მიიღებთ სკანდალს!

„ვიღაცას დიდი სურვილი აქვს საერთოდ აუკრძალოს გამარჯვებული ბლოკის წარმომადგენლებს („ქართულ ოცნებას") პრესასთან დაკავშირებით რაიმე აზრის გამოთქმა, ამიტომ იყო გამოყენებული სიტყვა სკანდალიც, ანუ როგორც კი ხმას დაძრავს პრესაზე, მიიღებს სკანდალს".

„საერთო გაზეთის" წინა ნომერში (№ 25) დაიბეჭდა ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის წევრ ელისო ჩაფიძესთან სათაურით - „ერთ-ერთ ტელევიზიაში ძალიან ცხადად იკითხება საზოგადოების შემზადება რაღაც ისეთი რევოლუციური სიტუაციისთვის, როგორიც გახლდათ 2003 წელს, მაგრამ ეს ნამდვილად აღარ გამოვა", რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ინტერვიუ, ძირითადად, ეხებოდა ქართული მედიის პრობლემებს (ინტერვიუს ავტორი გახლდით მე, თქვენი მონა- მორჩილი ქეთი


№25 (292), 9.VII, 2014 წ. საერთო გაზეთი 3

ელისო ჩაფიძე:

„ერთ-ერთ ტელევიზიაში ძალიან ცხადად იკითხება საზოგადოების შემზადება რაღაც ისეთი რევოლუციური სიტუაციისთვის, როგორიც გახლდათ 2003 წელს, მაგრამ ეს ნამდვილად აღარ გამოვა"

„ძალიან სამწუხაროა ეს ყველაფერი, მაგრამ მგონია, რომ ამ ე.წ. ჟურნალისტებს მარგინალიზაცია ემუქრებათ".

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03

ხომერიკი). სრულიად მოულოდნელად „პირველმა რადიომ" (FM 106. 4) ეს ინტერვიუ ისე გაიგო, თითქოს ქალბატონი ელისო ერთგვარი მენტორული ტონით აძლევდა შენიშვნებსა და მითითებებს ქართულ მედიას, თანაც ერთგვარი მუქარაც დაუნახავთ ქალბატონი ელისოს ამ ინტერვიუში. გულწრფელად ვარ გაკვირვებული, „პირველ რადიოს", როგორც ჩანს, დაავიწყდა — „ყველანი ციხეში", „სულს ამოგხდით", „კლასი უნდა გაქრეს" და ა.შ. ფრაზები, რომლებიც ახლო წარსულში მოდაშიც კი იყო. ახლა კი მხოლოდ ქალბატონ ელისო ჩაფიძის ინტერვიუში ეძებს მუქარას. როგორც ჩანს, რაღაცის თქმა უნდოდათ თავად და მიზეზს ეძებდნენ, თორემ, ბოდიშით და, ასეთ ბაჯაღლო იდიოტობას, ალბათ, არ დაწერდნენ :

ამონარიდი „პირველი რადიოს" პუბლიკაციიდან:

„ჩაფიძე აცხადებს, რომ ოცნება არ არის ის ძალა, რომელიც მედიას მისთვის სასურველი ინფორმაციის გაკეთებისთვის ფულს გადაუხდის ან დააშანტაჟებს, თუმცა აქვე ჩაფიძე აცხადებს, რომ მედია-საშუალებებს გასაგებად, ნათლად და პრინციპულად უნდა მოეთხოვოს, ობიექტურად ასახონ რეალობა".

და რა, არ უნდა ასახონ ობიექტურად რეალობა? ჩვენი აზრით, სულაც არ გახლავთ, ეს ფრაზები მუქარის შემცველი მედიისთვის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართული ოცნება მოსვლის დღიდან დღემდე, არც რომელიმე ტელევიზიის ოფისში შეჭრილა, არც რომელიმე გაზეთი დაუხურავს და არც პრესა გადაუქცევია თვითცენზურულ მედიად. ვინც მიჩვეულია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებში და მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებში აუცილებლად დაინახოს უფროსის მიერ ნათქვამი ბრძანება (კვეტექსტით, არ გააკეთებ და გადაგიჭრი დაფინანსებას). მისთვის, ეს ცხადია, „სკანდალი" იქნება, ხოლო, ვინც თვლის, რომ მეოთხე ხელისუფლება ქვეყნის ისეთივე ხელისუფლებაა, როგორიც პირველი ხელისუფლება ის რევოლუციისთვის მზადება რევოლუციური სიტუაციისთვის მომზადებაში. რევოლუცია გახლავთ მოვლენა, როცა ადამიანები სახელმწიფო გადატრიალებას აწყობენ, ხოლო რევოლუციური სიტუაცია სოციალური და ა.შ გარემოს შექმნაა. როგორც იტყვიან, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო. ასე რომ, სათაურად — ელისო ჩაფიძე მედია-საშუალებებს გასაგებად და ნათლად მოსთხოვს, რომ ობიექტურობა ასახონ — „ახალი სკანდალი". სრულიად უადგილოა, მით უმეტეს, რომ არც ჩვენს გაზეთს ესწავლება, რა არის სკანდალი და რა არა და სად გამოიყენოს, ან არ გამოიყენოს ეს სიტყვა.

არც „პრაიმ-ტაიმი" ჩამორჩა „პირველ რადიოს" და არანაკლებ გულისამაჩუყებელი პუბლიკაცია გამოაქვეყნა თავის გაზეთში 25-ე გვერდზე, თანაც დაავიწყდათ, სად წაიკითხეს ელისო ჩაფიძის ეს ინტერვიუ (ერთ-ერთ ინტერვიუშიო, წერენ, თავად აიძულებენ მკითხველს, რომ მოძებნოს ეს ინტერვიუ, შესაბამისად, ის გაზეთიც, სადაც ეს ინტერვიუ დაიბეჭდა, ან ფიქრობენ, რომ მკითხველი დაკმაყოფილდება მხოლოდ „პირველი რადიოს" ვებსაიტზე გამოქვეყნებული მასალით და აღარ დაიწყებს ინტერვიუს ორიგინალის ძებნას). სხვათა შორის, „პრაიმტაიმი" პირველ რადიოზე ბევრად უფრო შორს წავიდა და ასეთი კითხვა დასვა: ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ საინფორმაციო გადაცემების პირველ ბლოკში არ უნდა შუქდებოდეს კრიმინალური მოვლენები და ის ინტელექტუალურმა თემებმა უნდა ჩაანაცვლოს... ქალბატონმა ელისომ კი უპასუხა, არა, ასეთი, რამ არ მითქვამსო.

სრულიად ბუნებრივად გაიგებს ქალბატონ ელისო ჩაფიძის ამ ნათქვამს. მით უფრო, რომ ქალბატონი ელისო, როგორც ჟურნალისტი კარგად არის ჩახედული ჟურნალისტიკის შიდა სამზარეულოში და მშვენივრად მოეხსენება, როგორ კეთდება პუბლიკაციები. ასევე არ უნდა ავურიოთ

ამონარიდი ქალბატონი ელისოს ინტერვიუდან: („საერთო გაზეთი" № 25)

„თქვენ ვერც ერთ არხზე ვერასდროს ნახავთ, რომ საინფორმაციო გამოშვება იწყებოდეს კრიმინალური ქრონიკით. ვფიქრობ, ეს მოსახლეობის დაზაფვრასა და ნეგატიურ განწყობას ემსახურება. ეს ალბათ, უნდა ჩაანაცვლოს, გარკვეულწილად, ისეთმა ინტერაქტიულმა სიუჟეტებმა, სადაც ადამიანები საკუთარ აზრებს გამოხატავენ".

რა თქმა უნდა, სიტყვა ინტელექტუალური ქალბატონ ელისოს არ უხსენებია და ბუნებრივია, იტყოდა, ასეთი რამ არ მითქვამსო. რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ ქართულმა მედიამ სერიოზულად უნდა გადახედოს თავის პრინციპებსა და მართლაც რომ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ამის ერთი ყველაზე დიდი დასტური გახლავთ ის, რომ სიტყვა ინტერაქტიული (რომელსაც მოსდევდა ფრაზა ადამიანებმა საკუთარი აზრები გამოხატონ), ჯერ ერთმა სერიოზულმა რადიომ და მერე მეორე სერიოზულმა გაზეთმა წაიკითხეს, როგორც სიტყვა ინტელექტუალური, ხოლო ამ გაზეთმა თავისი შეცდომის პასუხი ისევ რესპონდენტს მოსთხოვა! რას ვიზამთ, ძნელია არ დაეთანხმო ქალბატონ ელისო ჩაფიძეს და მის, ასე ვთქვათ, საყვედურნარევ ფრაზებს პრესისადმი.

ლოგიკა ამ პუბლიკაციებისა და ამ პუბლიკაციების თანმიმდევრობა სულ სხვა რამეს მიუთითებს. ვიღაცას დიდი სურვილი აქვს საერთოდ აუკრძალოს გამარჯვებული კოალიციის წარმომადგენლებს („ქართულ ოცნებას") პრესასთან დაკავშირებით რაიმე აზრის გამოთქმა, ამიტომ იყო გამოყენებული სიტყვა სკანდალიც — ანუ როგორც კი ხმას დაძრავს პრესაზე, მიიღებს სკანდალს!

ეს იყო გაფრთხილება — დაე, მკითხველმა განსაჯოს, რა არის ეს ყველაფერი, რაც ელისო ჩაფიძის ინტერვიუს გარშემო დატრიალდა — ელემენტარული გაუგებრობა თუ კარგად ორგანიზებული შანტაჟი, რომელსაც ქართული მედიის ერთი ნაწილი „ვარდების რევოლუციის" „მოსამზადებელ" პერიოდში აქტიურად იყენებდა ხელისუფლების „დასაჩმორებლად" და დასაშინებლად.

საკითხავია, მართლაც ახალ რევოლუციას ხომ არ ამზადებენ ვიღაცები და ამისთვის ძველი, ნაცადი მეთოდების გამოყენებას ხომ არ აპირებენ?

**ქეთი ხომერიკი**
**592 53 53 03**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# „პოეზიის დედოფლისა“ და „პოეზიის რაინდის“ მიერ ოკუპირებული მწერალთა კავშირი — მწერლების სასაკლაო

სერგი საჯაია

„და შენ, კაპერნაუმ, თვით ზეცამდე ამაღლებულო, ჯოჯოხეთამდე დაემხობი შენ...“
**მათე**, 11,23;

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული...“
**ი. ჭავჭავაძე**

„... და მიუტანა ცოლსა და შვილებს პოეტის სისხლით ნაყიდი პური“.
**ო. ჭილაძე**

შემობიჯება ესოდენ პატივცემულ საფიხვნოში მავალდებულებს, იმ გულწრფელობით ვაოთხივკუთხო სათქმელი, როგორც ილორის წმიდა გიორგის ხატი (დიდება მის სახელს), დღეს გასხვისებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მომუხლმაგრე ჩვენდა იმედად, მოითხოვს მლოცველისგან...

სამწუხაროდ, უბედურება და მისი სამერმისო შედეგები, რომელიც საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირში ქართული სიტყვაკაზმულობის დასანგრევადაა ჩასანგრებული, გაცილებით სათავზაროა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

მით უმეტეს, რომ ამ დღეებში საინფორმაციო საშუალებათა ჩასაფრებანი, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავენ ეროვნულ-სახალხო სულისკვეთებას, აშუქებენ მხოლოდ სკანდალს, აურზაურს, დაჰყავთ იგი ხულიგნურ გაწევა-გამოწევამდე ავ სათავმჯდომარეო სავარძლისთვის ქვემეხების აგრუხუნებამდე და ა.შ.

არა, რა თქმა უნდა, არაა ასე მარტივად საქმე!..

მან, ვინც ტექნოკრატიული დასავლეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში ეს ყველაფერი დაგეგმა, შეასრულა და ხალხს ასე საძრახად გაუსაჯარისა, იცის, რასაც აკეთებს, როგორ გამოათაყვანოს თავისი სამიზნე, რანაირად მოსწყვიტოს ერი საკუთარ მწერლობას, რა ცრუმოძრაობით შეაზიზღოს კი არა მარტო, როგორ მიუმდგომლოს ის სრულიად საქართველო და ა. შ.

რას იზამ, ჯერჯერობით ზეიმი მათ ქუჩაზეა.

**სწორედ ასეთი მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ამარად დარჩენილ საქართველოში გაბედავს ქვეყნისათვის თავსმოხვეული ხელისუფლება საერთაშორისო ურთიერთობიდან საქართველოს სახელმწიფო ენის გაძევებას და გაუმართლებლად, ყველანაირი დიპლომატიური პროტოკოლის დარღვევით, მას ჩაანაცვლებს მორიგი დიდმპყრობელი სახელმწიფოს სამუშაო ენით.**

ასეთ დროს, როდესაც საზოგადოებას ძილქუში მოერევა და ღირსება გაუბლაგვდება, მწერალმა უნდა აიღოს საერისკაცო სადავე, ალაგმოს ვიღაცის მიერ რატომღაც ჭარბი უფლებამინიჭებული ჯოგების პარპაში ქართველი ერის ღირსებაზე.

ამ ვითარებაში საქართველოს მწერალთა ე. წ. 24-ე ყრილობა (თუ რატომ ე. წ. ამაზე ქვემოთ), რომელიც ჩატარდა 2014 წლის 21 ივნისს, ქართული სულიერების წინააღმდეგ საგანგებოდ ჩასაფრებულ ძალებს სჭირდებოდათ ფაქტიდან გამომდინარე სიცხადედ, რომლის შესაბამისადაც **საზოგადოებრივ მიმოქცევაში უნდა გაისაგნოს ეთნოდივერსიული სტერეოტიპი ქართული მწერლობის კნინობითობის შესახებ** (ი. ჭავჭავაძის სახალხო დებულებას — „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“ უნდა ჩაენაცვლოს სისხლაღრეულთა ახურუშებული ხმაბოდვა (უკაცრავად, მკითხველო): „და მოვიდეს დიდი დედა დიდი შუალამიდან გადაიხსნას დიდი საშო, როგორც კომბოსტო ჩაგავლოს ქეჩოზე თავისი ნახევრადღვთიური ხელები და შეგაბრუნოს იქ, საიდანაც გამომძვრალხარ“ (პ. შამუგია).

ყოველივე ამის გასწვრივ, წესით, უნდა ვხედავდეთ და გავიცხადოთ, რომ აგრესიული გლობალიზმის (ამ შემთხვევაში ტექნოკრატიული დასავლეთის, კერძოდ კი ანგლო-ამერიკანიზმის) დაკვეთა მოითხოვს, მიზანმიმართულად განადგურდეს ქართველი ერის მარადიულმყოფი დედა-ეკლესია და ჩვენი (ქართველთა) გონითი განფენის სივრციდან აქრისტესმხედრებული ეროვნულ-სახალხო მსოფლმხედველობა.

ცხადია, საკუთარი სახელმწიფოს ასაღორძინებლად საჭიროა ერთიანი ეროვნული ცნობიერება, რასაც განაპირობებს ერის ვინაობა და მისგან გამომდინარე სულისკვეთება. ქართული მწერლობა თავისი არსებობის არაერთათასოვანი წლის მანძილზე (მათ შორის, წყეული საბჭოთა კავშირის დროსაც), დიახაც, რომ წამგაუცდენლად აფხიზლებდა ერსაც და ქვეყანასაც.



**დღეს ტექნოკრატიულმა დასავლეთმა არათუ დაგვიპყრო, ყველანაირი ქვეგამხედვაროებით ცდილობს, თავს მოგვახვიოს მის მიერ რეგლამენტირებული აზროვნების წესი და ყოფითი ყოველდღიურობა. ასეთ დროს, ბუნებრივია, ქართული მწერლობა, რომელიც ყოველთვის განაპირობებდამეთქი ჩვენი ხალხის გიორგიანულ და ქრისტესმხედრულ შინაარსს, მისთვის ყელში გაჩხერილი დაბრკოლებაა და, შესაბამისად, უპირველესად გასაცამტვერებელ სამიზნედ დაიდგინა იგი.**

ყველანაირი დამპყრობი ამნაირად იქცევა. გაიხსენეთ მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლები. საბჭოთა ხელისუფლება რუსეთის იმპერიაში მოსახლე უმწერლობო მკვიდრ ხალხებს უქმნიდა კირილიცაზე დაფუძნებულ დამწერლობასა და მათ ცნობიერებაზე გაწვდენილ მწერლობას (მათგან იური რიტხეუ — მიუხედავად საბჭოთა



პროპაგანდის დიდი მცდელობისა და, რა თქმა უნდა, საკუთარი გამორჩეულობისა, მაინც ვერ გახდა იმავე რუსეთში იმ დროის მეორე ვასილ შუკშინი).

ასეთ ხელგამოღებაში, რაკიღა ჩვენ რუსეთზე გაცილებით უადრესი და საკაცობრიო მნიშვნელობის ლიტერატურა გვქონდა და გვაქვს, მისი მთლად მიცხრაკლიტულება ვერ გაიმიზანშეწონილეს, თუმცა ის, რაც შემოგვრჩა, საბჭოთა არტახებში მოგვიქციეს (ამ ვითარებაშიც კი ქართულმა ნიჭმა და ძალისხმევამ ახალი მწვერვალებითა და მთაგრეხილებით გაამდიდრა დროსა და სივრცეში გაკიდეგანებული ქართული მწერლობა. ამის მიზეზი მისი საძალისხმევო ჯიშის, კოლხური უხსოვარდროობა და ლასკარული საკუთარხმიერება გახლდათ).

**განსხვავებით საბჭოთა იდეოლოგიისა, ჩვენს ქვეყანაში დღეს რუსიზმს ჩანაცვლებულ საოკუპაციო ძალას — ტექნოკრატიულ დასავლეთს საერთოდ არ სჭირდება ქართული ლიტერატურის საკაცობრიო სიმაღლეები.** იგი საამრეგიონოდ ითადარიგებს მხოლოდ სათვალსეირო, გამრთობ, გამამდდაბიურებელ, ხალხისა და საზოგადოების გამაჯოგებელ ნაჯღაბნებს.

ასეთი ქუჩისფსკერული გაწიგნებები, ბუნებრივია, ვერ იჭაჭანებენ მწერალთა ისეთ საყდრიონში (გნებავთ, ციხიონში), რომელსაც მესვეურობს რწმენა, ზნეობა, ნიჭიერება, მაღალმხატვრულობა, დახვეწილი გემოვნება, ქვეყნისთვის თავდადება და ა.შ. რადგან მას ვერანაირი ხელისუფლება (თუ ის მთლად არ გაგიჟდა) ვერ გაუბედავს და არც მოუნდომებს თავში წათაქებასა თუ გამოწიხლვას.

**სამაგიეროდ, ისეთი გალანძღული, გააპამპულებული, კაც (ქალ) ღმერთობაზე ხელწაპოტინებული, საქმეში ჩახედულთა მიერ კორუფციაში (ხელმრუდობაში) შემჩნეული, მაშასადამე, ეშმაკისთვის სულმიყიდულთა ერთობა, როგორადაც დღევანდელი მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობა დადგინდა საზოგადოების თვალში, სწორედაც რომ სჭირდებათ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ჩასაფრებულ ძალებს.** ამ მიზეზის გამო ასეთ კავშირს სახალხო მხარდაჭერა არა აქვს. ის კი არადა, ქვეყანაში აგრესიული გლობალიზმის მიერ ხელდასმულ ნამესტნიკურ ხელისუფლებას ყოველ წუთს შეუძლია, ესაუბროს მას არა თუ თითისქნევით, მუჯლუგუნითაც კი.

ცხადია, რომ ტექნოკრატიული დასავლეთი, რომელიც ევროპის ხალხთა კულტურას კი არ მოუძღვება ჩვენთან, არამედ თავისი საოკუპაციო ყოველდღიურობით უფრო ხავერდოვნად გვიპყრობს, ვიდრე მუჟიკური სულსწრაფობა, ორივე შემთხვევაში მიზანი ერთია — **ქართული შინაარსის აღგვა!**

ისტორიასთან მიმოწაფებაში გამეორება ჭკვიანისთვის ცოდნის დედად უნდა იქცეს:

თუ ქართული მწერლობა (ი. ჭავჭავაძე... კ. გამსახურდია, გ. რობაქიძე, მ. ჯავახიშვილი და ა. შ.) საქართველოს თავისუფლებისთვის იბრძოდა, ე.წ. ქართული პროლეტკულტურა, პირიქით, სწორედ ამას უპირისპირდებოდა და ხმაბოდვაში ჩაძირული,




8 gv.

7 gv.

მსოფლიოში უვინაო ინტერნაციონალიზმის გასაბატონებლად იკაპიწებდა მკლავებს. შედეგი?

— ეთნოფაბრიკაციული საბჭოთა საქართველო თავისი დივერსიული სასხლეტებით!..

არაფერია შეცვლილი, — ე. წ. არასამთავრობოები (ეს ახალი სტეფანე შაუმიანები და სერგო ორჯონიკიძეები) ჭაობური დემოკრატიის მორევში პიროვნების უფლებათა დაცვის საბაბით ერთბაშად უნდომებენ ქართველ ერს გათახსირებაში გაურჩხულებას.

**ამას ემსახურება აგრესიული გლობალიზმის მიერ ჩვენს თავზე უკვე ნაცადი ნელი მოქმედების ჭურვად კონსტრუირებული და საზოგადოების ერთ ნაწილში „უბორნიის მწერლობად“ წოდებული ხმაყროყინა მჯღაბნელობა, რომელსაც ავიწყდება, რომ პიროვნება ეროვნული ვინაობის გარეშე, როგორც ზ. გამსახურდია მოსწრებულად აცხადებდა, ცხოველს ემსგავსება.**

ამ ზნეობრივ სარეველათა (сорняк) თვითდამკვიდრებაში საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ბოლო დროის საპამპულო კაცთღმერთობამაც გაიღო წონადი წვლილი.

დღესაც, ისევე, როგორც საბჭოთა დიქტატურის წლებში, საქართველოში კვლავაც ასიმილატორული, ქვეყნის დაუფარავად გადამჯიშებელი იდეოლოგია აურზაურობს — უფრო შეფარულად, შედეგიანად და ჩამძაღლებლად. რაც შეეხება ე. წ. საქართველოს კპ ცკ-ის მეორე (რუსი) მდივნის (თუმცა, რომელი არ იყო მერუსეთე) ინსტიტუტს, იგი გაცილებით უბოდიშო ხელისფათურის უფლებით ჩაანაცვლა აშშ-ის ელჩმა. თუ ადრე კრემლი ქართულ მიწებზე სხვადასხვა, უფრო ხშირად არაგულითადი მიზეზებით შემოხიზნულ ე. წ. უმცირესობებს ავტონომიურ რესპუბლიკებს უქმნიდა, დღეს აშშ-ის ელჩის მოვალეობაა, ადგილზე გააძლიეროს ე. წ. არასამთავრობოებების მხარდაჭერითა და წაქსიანებით ქვეყანაში აგრესიული ვითომ უმცირესობების დიდმპყრობელური ათარეშებები ქართული ჯიშისა თუ ეროვნულ-სახალხო შინაარსის, მამაპაპური სააზროვნო წესის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, მისი გადაუდებელი საქმეა, საქართველო აქციოს ტექნოკრატიული დასავლეთის ზომბად, აცხოვროს ხმაბაძვაში, დაუხშოს პირველადისკენ ყველა გასახედი, აქციოს მეორადის მომხმარებლად, „აბედნიეროს“ პარაზიტულ განცხრომაში და დაუპირისპიროს მეურნე კაცის მეჭირნახულეობას. ამისთვის კი საგულდაგულოდ ინგრევა ერთიანი ეროვნული მიზანი და სულიერი ნიშანსვეტი.

# „პოეზიის დედოფლისა“ და „პოეზიის რაინდის“ მიერ ოკუპირებული მწერალთა კავშირი — მწერლების სასაკლაო

თვალებს ძალით თუ დაიბრმავებ, თორემ, შეუძლებელია, არ დაინახო ის საგანგაშო ვითარება, როცა ქვეყანაში სულ უმნიშვნელო თანამდებობაზეც კი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ანუ აგრესიული გლობალიზმის ადგილობრივი და მოხალისე აგენტურის (იგივე პავლიკმოროზოვული და შვონდერ-შარიკოვული (მ. ბულგაკოვი) ჯაშუშობის) მიერ საგულდაგულოდ შერჩეული, ნაცადი ქართველთმოძულე ინიშნება. ასეთ დროს ისეთი მწერლობა, რომელიც წმიდა ილია მართლის სწავლებით „მამული, ენა, სარწმუნოება“ იხელმძღვანელებს, მიუღებელია მათთვის. ამიტომ საგანგებოდ იინკუბატორებენ (შეადარეთ საბჭოთა კავშირის პროლეტარულ მწერალთა რიგებში გაწვევებს) იმგვარი „ლიტერატურის“ მეხელცდუნეებს, რომელთა მხატვრული გემოვნება შემოიფარგლება ამნაირად გასახეზოგადებული მდგომარეობით, „დე, იყოს, ასე... ვიყოთ ასე საკუთარ განავალში გამომწყვდეულნი“ (პ. შამუგია) ან კიდევ „მაგარ ძღნ..ში ვარ“ (ლ. ბუღაძე).



**ეს აგრესიული გლობალიზმისთვის მომავლის ლიტერატურაა — მიზნობრივად თავსმოხვეული ქართველი ერისთვის. მანამდე კი მისი ხელშეწყობით წინაურდება ისეთი საპამპულო „მწერალთა შემოქმედებითი კავშირი“, რომელსაც მესვეურობენ ერთბაშად „პოეზიის დედოფალი“ და „პროზის რაინდი“. ამ უკანასკნელისთვის კი, როგორც საზოგადოებრივი აზრიც გვიდასტურებს, ქართველ მწერალთა შემოქმედებითი კავშირი მხოლოდ და მხოლოდ სავაჭრო დახლია (ან „საიმისმქნელო“ საამქრო) და არა შემოქმედებითი სივრცე თუ სამოღვაწეო ასპარეზი.**

ბუნებრივია, ქვეყანაში ნამესტნიკური ხელისუფლებისა და მისი საოკუპაციო კონტინგენტისთვის სულზე მისწრება გახლავთ იმგვარად დეგრადირებული კრებითობა, რომლის ძალისხმევით შეიძლება, თავს მოახვიო საზოგადოებას ე. წ. 24-ე ყრილობის მსგავსი გნიასი, სადაც სიტყვაკაზმული მწერლობის გარდა ყველაფერი იყო. სწორედ ამიტომ, ვიმეორებ, ეს ისეთი კრებითობაა, რომელსაც უბოდიშოდ შეაგინებენ, გაატაკიმასხარავებენ, გაიხელისბიჭებენ იქ, „სადაც ჯერ არს“. ისინი საზოგადოებრივი მხარდაჭერით ვერ სარგებლობენ და მათი მუხლმაგრობა ე. წ. არასამთავრობოებებისა თუ აშშ-ის ელჩის კეთილ ნებაზე არის დამოკიდებული. ქართული მწერლობის ამგვარ ოდიოზურ ქურსუმში ჩამწყვდევისთვის მათ ჯოგური კორუფციის ნებართვითაც დააჯილდოვებენ და ასე სულგაყიდულებს იგუებენ. ის კი არადა, როგორც უკვე განვაცხადე, „თავგასართობად „პროზის რაინდის“ წოდებასაც მიანიჭებენ და „პოეზიის დედოფლადაც“ აატახტებენ. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ საგანგებოდ გამოინკუბატორებული ის უწარსულო, უვინაო და უარავნო „მწერლობა“, რომელიც საკუთარი დედის მიმდგომლობით განიცდის ორგაზმს (ისევ და ისევ ბოდიში, პატივცემულო მკითხველო), — მომუხლმაგრდება, გაისაყოველთაოებს ასპარეზს და ჩაანაცვლებს ქალბატონ მაყვალა გონაშვილისა და ბატონ რევაზ მიშველაძის ე. წ. მწერალთა კავშირს. ასეთია გეგმა.

აქ მე იმგვარადვე უნდა ვითერგღრიალო, როგორც 1993 წლის 27 სექტემბერს, მდინარე კოდორზე მომხდურის მიერ საკუთარი ოდაბადედან ჩემი ხალხის დედაწულიანად გაძევებისას, რადგან მკაფიოდ ვხედავ, რომ ქართული მწერლობის გარიგითება-დაკნინებით ეროვნულ მწერლობას ჩასაწალდად მოადგნენ, რითაც ქართველად ყოფნას ამდაბიურებენ.

ამავე დროს დიდი მოკრძალებით, მაგრამ სიტყვის უკან დაუბრუნებლად უნდა ვუსაყვედურო მშობლიური სიტკვაკაზმულობის მეჭირნახულეებს: თ. ჭილაძეს, გ. გეგეშიძეს, გ. დოჩანაშვილს, ბ. ხარანაულს, — ის საფრთხე, რომელზეც მე უკვე გეთავისტკივილეთ, სწორედ მათ შემოქმედებასთან მიერთსხეულების შედეგადაც გახდა ჩემთვის მკაფიოდ დასანახი, ანუ მათი მიმოწაფებითაც გავერკვიე ამ ვერაგობებში. როგორ დავიჯერო,



რომ ამჯერად მათ ვერ დალანდეს იგი და ამ ე. წ. 24-ე ყრილობაზე არმობრძანებით ხელიდან გაუშვეს საშუალება, რათა მათი ბრძნულად გადადგმული ჩვეული ნაბიჯებით გაეკვლიათ გზა ქართველ მწერალთა იმ ნაწილისთვის, რომელთაც იმ დღეს ა. ხორავას სახელობის მსახიობის სასახლეში ავმოსურნე და ქართველთმოძულე ძალების ხელებდაკაპიწება ველარ მოითვალსაწიერეს.

რა თქმა უნდა, საბჭოთა სისტემამ საქართველოს მწერალთა კავშირის შეუგინებლობებს თავისი სისხლიანი ხელები უბოდიშოდ შემოუმარწუხა, მაგრამ ამავდროულად ამავე მწერალთა კავშირიდან იქნევდა სამამულო ხმალს კ. გამსახურდია, ერს აფხიზლებდა მ. ჯავახიშვილი, პოეზიის ბერმუხად იდგა გ. ტაბიძე, ქართულ ზნეობას ამუხლმაგრებდნენ ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე და ა.შ.

სწორედ მათ გვერდით და აქ ჩამოყალიბდნენ მწერლებად ა. კალანდაძე, მ. მაჭავარიანი, გ. რჩეულიშვილი, ძმები ჭილაძეები, გ. გეგეშიძე, ნ. დუმბაძე, გ. დოჩანაშვილი და მრავალი სხვა დიდოსტატი ქართული სიტყვაკაზმულობისა.

კი, ბატონო, კომუნისტურ ძალადობასთან უთანასწორო შერკინებაში ის მარცხდებოდა კიდეც, უფრო მეტიც, შიგადაშიგ გადაუდგამს არც თუ საამაყო ნაბიჯებიც, მაგრამ არასოდეს საპამპულოდ და სატაკიმასხროდ არ გადაქცეულა... ასეთად იგი დღეს ჩამოყალიბდა მიზნობრივად. **ეს მიზანი ქართველ ერს არ დაუსახავს.**

**ახლა რაც შეეხება თვითონ ე. წ. 24-ე ყრილობას და მისი ლეგიტიმურობის ხარისხს: მე, ჩემი ასაკისა და ნამსახურეობის გამო, მრავალი კრების, კონფერენციის, ყრილობისა თუ სახალხო თავყრილობის არათუ მონაწილე ვყოფილვარ, ზოგიერთ მათგანს, მათ შორის, სახალხო მიტინგებს გავძღოლივარ კიდეც.**

**არსად, არასდროს არ მინახავს ის, რაც ამ ე. წ. ყრილობაზე ვნახე.** მოგეხსენებათ, ყრილობის ჩატარებას გააჩნია თავისი სამუშაო წესი (უპრიანი იქნება, თქვენთან ერთად შევიხსენოთ იგი): იმის შემდეგ, რაც უფლებამოსილი პირი გახსნის მას, ირჩევა ყრილობის სამუშაო პრეზიდიუმი, სამანდატო კომისია, სამდივნო. მტკიცდება დღის წესრიგი, მუშაობის რეგლამენტი, მოისმენენ და ამტკიცებენ სამანდატო კომისიის მოხსენებას ყრილობის ჩატარების უფლებამოსილების შესახებ. ამის შემდეგ ქვეყნდება ანუ საჯარისდება საანგარიშო მოხსენება, რომელსაც განხილვის შემდეგ ამტკიცებენ. შეფასება ეძლევა საანგარიშო პერიოდში ხელმძღვანელობის (ამ შემთხვევაში მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობისა და სამდივნოს) მუშაობას. ასევე მტკიცდება სარევიზიო კომისიის ანგარიში.

მხოლოდ ამის შემდეგ ტარდება არჩევნები. მთელი ეს პერიოდი, სანამ ყრილობა მიმდინარეობს, მას წარმართავს საგანგებოდ არჩეული სამუშაო პრეზიდიუმი, რომელთაგან ერთ-ერთი თავმჯდომარეობს რიგრიგობით. ყრილობის წინაშე ანგარიშვალდებულ ყოფილ ხელმძღვანელობას სამუშაო პრეზიდიუმში არაფერი ესაქმება და იგი დარბაზში ზის (არის გამონაკლისი, რო-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

დესაც სამუშაო პრეზიდიუმში ირჩევენ).

**არც ერთი ეს „წვრილმანი“, რომელთაგან ერთიც რომ დაირღვეს, ყრილობა ლეგიტიმურობას კარგავს — იმ დღეს არ შესრულებულა. ე. წ. 24-ე ყრილობის პრეზიდიუმს თავკაცობდნენ (რა უფლებით, რა ხარისხში?!) მ. გონაშვილი და რ. მიშველაძე, რომლებიც მიკროფონთან მათთვის არასასურველი აზრის გამომთქმელს ლამის ხელჩართულ ბრძოლას უმართავდნენ. ძირითადად, ასეთი გახლავთ იმ ე. წ. ყრილობის (უფრო კი „სხადნიაკის“) მსვლელობა, რითაც ის დაემსგავსა მუჟიკურ ხელჩართულობას და არა მწერალთა საპატიო ყრილობას.**

რატომ მოხდა ასე?! როგორ, მწერალთა კავშირის მესვეურებმა არ იციან კრების ან ყრილობის წაყვანა?! იციან, როგორ არ იციან, მაგრამ მათ იმ დღეს, როგორც ჩანს, ხელს აძლევდად აქ მობრძანებული მწერლებისთვის ორგანიზებული ქაოსის თავსმოხვევა, რათა შემდეგ ჩასაფრებულ გაზეთებს ექილიკათ „ქართველი მწერლების არაჯეროვან საქციელზე“. ასეთი გახლდათ დაკვეთა იქიდან, საიდანაც იღწვიან „თანამედროვე მსოფლიო წესრიგისთვის“... იქ სჭირდებათ არა ქართველი ერის თანამდგომი და მოსარჩლე მწერლობა, არამედ წიოკობასა და საძრახობაში მოყოველდღიურე კრებითობა.



მეტსაც გეტყვით, ამ დღეებში სარწმუნო და საქმეში საფუძვლიანად ჩახედულმა წყარომ გამანდო „პოეზიის დედოფლისა“ და „პროზის რაინდის“ არადედოფლური და ნაკლებ რაინდული ქვეშქვეშობა: ერთი თვის წინ მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობისა და მწერალთა აკადემიის რწმუნებულთა შემთანხმებლური მოლაპარაკების თანახმად 24-ე ყრილობის დელეგატის სტატუსი მიეცემოდათ იმ მწერლებს, რომლებიც არსებული წესდების შესაბამისად იყვნენ მიღებული მწერალთა კავშირის რიგებში (იხილეთ მწერალთა კავშირის ცნობარი, თბილისი, „მერანი“, 2012 წ.).

როგორც გაირკვა, „რაინდმაც“ და „დედოფალმაც“ ამჯერადაც პირი უტეხეს შეთანხმებას. მათ სხვადასხვა უკადრისი ილეთით მოახერხეს ასამდე ისეთი მწერლის „ჭურში ჩატყუება“ და ამგვარად ე. წ. 24-ე ყრილობის მუშაობიდან ჩამოცილება, რომლებიც არ იწონებენ მწერალთა მამულიშვილური და შემოქმედებითი მოღვაწეობის მაგივრად კაცლმერთულ ათოხარიკებებს.

ასეთი ქვეშქვეშობით მათგან უმართავი მწერლების ნაცვლად მწერალთა 24-ე ყრილობის ორგანიზატორებმა სათანადო დელეგატის მანდატი უბოძეს ამ ღონისძიების წინმსწრებად მწერალთა კავშირის რიგებში ჯგუფებად, დასტა-დასტა და ბითუმად („оптом“) მიღებულ „წევრებს“, რომელთა უმეტესობას ჯერჯერობით მწერლური ჭირნახული არ მოუდოვლათებია (არაფერი დაუწერია და არც გამოუქვეყნებია. ნიჭიერი ხალხია და აწი დაწერენო, განუმარტავთ ამ საქმის თაოსნებს).

**არა, ბატონებო!.. ეს მარტო ვირეშმაკობა კი არაა, ეს ყალბისმქნელობაა, ანუ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად დასჯადი ქმედებაა ესეც.**

ასეთ ვითარებაში საჭიროა, დაზუსტდეს და გამოქვეყნდეს ამ ე. წ. დელეგატთა სია, რომლებიც მწერალთა შემოქმედებითი კავშირის რიგებში სამომავლოდ შესაქმნელი თხზულებების საფუძველზე მიიღეს.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ ვინ გამოიყენეს ერთჯერადი მოხმარების რაობად ანუ საგნად, მაშასადამე, ე. წ. 24-ე ყრილობის დაგეშილ ხმოსნებად, რომელთა ხელებითაც უხანგრძლივდებათ თვალებში ნაცრის მყრელი ყოველდღიურობა ზნეობრივად ბერწ თანამოსაქმეებს.

აქ ხმამაღლა უნდა განვაცხადო, ეს არ არის ის შემთხვევა, რომელზეც შეიძლება დავა, მერე რა მოხდაო! გათითოკაცებული, ერთიანი მსოფლაღქმითი ნიშნსვეტის არმქონე ქვეყანა და ერი, თუ ის თავის ვინაობაში არ გაერთსხეულდა, უნდა შეეგუოს საკუთარი მარადიულყოფის ნგრევას, რადგან მხოლოდ ქუდზეკაცური გაერთმუშტება უზრუნველყოფს ქართველთა გონითი განფენის სივრცეში უსაფრთხოებათა გამუხლმაგრებას, რაც დედან შინაარსში აწყალუხვებს ეროვნულ ძალისხმევას.

დანაგვიანებული ან გასარევლიანებული ცნობიერება ერს ვერასოდეს შეაქმნევინებს საკაცობრიო ღირებულებას, ამით იგი ყავლგასულობაში დგინდება, ეს კი თვითდასაფლავების წინადღეა; ისევე, როგორც ორგანიზაციული ქაოსი: ის, რომ ამ ე. წ. 24-ე ყრილობამ არ აირჩია ყრილობებს შორის მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელი ორგანო ანუ გამგეობა, ეს ამ თვითმარქვია ყრილობის თაოსანთა გამოჭენებული თვითმხილებაა არა მხოლოდ თაღლი-



თობაში, არამედ ქართული მწერლობის უბოდიშოდ ფეხზე დაკიდების მცდელობაში და თუ გნებავთ, ორგანიზაციულ უმწიფრობაში.

ასევეა სამარცხვინო წინგაუხედაობა ქვეყნისთვის თავსმოხვეული ე. წ. პირველი ქალბატონის (და არა პირველი ლედის, როგორც მას უწოდებენ ხმაბაძვაში მოხვიხვინეები) სანდრა რულოვსის მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საპატიო წევრად დადგენა, რაც საანგარიშო დროში მომხდარა...

ამაზე შორს წასული მლიქვნელობა, მაამებლობა თუ მდარე გემოვნება ძნელია დაასახელო საერთოდ!

ცხადია, მწერლობა განაპირობებს (უნდა განაპირობებდეს) ერის ცნობიერებას, აქედან გამომდინარე, **მე მაინტერესებს, ქალბატონ სანდრა რულოვსის საპატიო წევრად შემობიჯება ქართველ მწერალთა რიგებში მისი რომელი ნაწარმოების საფუძველზე მოხდა!**

თუ ეს მის მიერ ინგლისურად დაწერილი მოგონებები გახლავთ, მასში საქართველოს დედანი შინაარსი, ანუ ქრისტესმხედრული სული ხომ მრუდე სარკეშია წარმოჩენილი?!

როდესაც საზოგადოებას ასეთ მწერლობას აკადრებენ და შემოუბედავენ, ეს იმის ნიშანია, რომ გადაშენების პირას მყოფთა შორის ჩვენთან სასათბურო პირობებია. უფრო მეტიც, როგორც თავადაც რწმუნდებით, იქიდან, საიდანაც „ჯერ არს“ ჩვენს ქვეყანაში მიზნობრივად მოხდა სახელმწიფოს ინტერესებისა და ადამიანის სულისკვეთებათა ხელოვნური და შორსგამიზნული გამიჯვნა.

მათი აზრით, ქართული სახელმწიფო არ უნდა იყოს ქართველი ერისა და ქართველი ადამიანის მარადიულყოფის გარანტი, შესაბამისად, ქართველმა მწერალმაც ქართველი კაცის სატკივარს ყური უნდა დაუხშოს.

საკამათო რად არის ის, რომ მწერალთა შემოქმედებით კავშირს კაცლმერთობის კვარცხლბეკზე შესასკუპებლად არ უნდა ეცალოს მაშინ, როდესაც ქართული ენა ხელოვნურადაა ისეთ ქუჩისფსკერთან მიარტახებული, საიდანაც უკვე გადაშენების სიცხადეა. დიახ, როდესაც თაობა ბედნიერებას დედაენაზე ვერ იერთსხეულებს, იგი არაა ბედნიერი, რადგან ის არ ცხოვრობს საკუთარ ვინაობაში ანუ მოსწყდა დედან შინაარსს. ასეთი საფრთხის წინაშე, რაც შეიძლება, მეტი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და ღირსეულად მოვეკიდოთ (ვუავთანდილოთოთ, იტყვიან ამ დროს) ჩვენს სულიერებას, ამ შემთხვევაში მწერლობას, რომელიც ყველაზე საიმედო საფუძველი და დასტური გახლავთ ეროვნული მარადიულყოფის. პატრიოტიზმს ყავლი არ გაუდის, ის არ ძველდება. ჩვენი სანაქები ერისკაცი და მწერალი თამაზ ჭილაძე ამ რამდენიმე წლის წინ წერდა: „ნუ წარმოვიდგენთ ჩვენს ქვეყანას მხოლოდ მოდელიორებისა და კლოუნების „პოდიუმად“. იმედია, დამერწმუნებით, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კულტურის შოუდ გადაქცევა. ალბათ, ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, რომ სანახაობა და სალაფავი მონების საქმეა, კულტურა კი ხალხის“ (გაზ. „კვირის პალიტრა“, 28 თებ. — 6 მარტი, 2011 წ.).

სამწუხაროდ, საზოგადოება დღეს, მრავალი მიზეზის გამო, ჯეროვნად ვერ აკეთებს სამერმისოდ წასადგომ დასკვნებს., უფრო მეტიც, რჩება შთაბეჭდილება, რომ ეროვნული სულიერებისადმი მტრულად განწყობილი ძალების ეთნო-დივერსიული პროპაგანდის წყალობით მათ არც სჭირდებათ ასეთი განცდა. მათთვის თვითკმარი მდგომარეობაა აშშ-ის „ჰუმანიტარული პასუხისმგებლობის“ მოიმედეობა და ვერ ისიგრძეგანებენ, რომ იგი სსრკ-ის „ინტერნაციონალურ მოვალეობაზე“ უფრო ვერაგია.

ყოველივე ამის გასწვრივ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის დღევანდელი ქმედუუნარო მდგომარეობა განაპირობა იმან, რომ მისი გამგეობის მესადავე ნაწილი გახლავთ ისეთი ჯგუფი, რომლებიც ღვთისა და ერის ხმისთვის ყურისგდებას საგანგებოდ ეწინააღმდეგებიან. მათთვის „მერე რაა“, რომ იქ, „სადაც ჯერ არს“, ქართველი ერი საგანგებოდ დაზუსტებული რეგლამენტის მოსაზღვრულობაში მხოლოდ ფოლკლორულ ფაქტადაა მოაზრებული.

**კიდევ უფრო საბედისწეროა მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მესვეურთა დანაშაული ახალგაზრდა თაობის წინაშე. მან ვერ გახადა საკუთარი რიგები შემოქმედი ახალგაზრდებისთვის მაღალი გემოვნების, საინტერესო, მიმზიდველი და საერისკაცო, შედეგად, ისინი შეატოვა განახირებულ სექტებში მომწერავე სულსაპყართა რიგებს, რომლებიც ვერასდროს ვერ იოცდაცამეტებენ, ანუ არ იქრისტესმხედრებენ.**

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მესვეურთა ზემოთ ხსენებული ოდიოზური საქმიანობის გამო ე. წ. მოდეტრნიზმი და ავანგარდიზმი ჩვენში იმპორირდება არა თავის დედან ანუ ჯანსაღ შინაარსში, არამედ იგი საქართველოში შემოჭენდა სისხლაღრევად, შეშლილობად და ფსიქოპათოლოგიურ სისასტიკედ, გარყვნილებად, სულცდუნებლად და ა.შ. დიახ, ეს გახლავთ ჭკუისმიღმურ ენაზე ახმაურებულ უტიფართა ჯოგი, რომელიც მიზნობრივადაა გაუზრდელებული და გაუსაქმურებული. ამის თვალსაჩინო მაგალითად ისევ და ისევ უნდა შემოგთავაზოთ თავის დროზე ნიჭიერი დამწყები პოეტი პ. შამუგია, რომლის პირველი კრებულის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორია ბატონი რ. მიშველაძე. სამწუხაროდ, მან იგი ვერ შეუნარჩუნა ქართულ მწერლობას და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილი კაცი, რომელიც „ქართველო, ხელი ხმალს იკარს“ უნდა იდგენდეს ჰიმნად, აი, როგორ ცოდვისკითხვაშია ჩაძირული: „ბოლოსდაბოლოს, ღმერთი სხვა არავინაა თუ არა დაკომპლექსებული ეშმაკი...“ („რასაკვირველია, მეც ვიჟიმავებ, ღმერთს რომ შევეშველო...“), „აქებდე იმას, რასაც ჩვენში უთვალავი შესატყვისი აქვს, დიახაც, უთვალავი. მაგალითადრე სირი, შიბლა, დიშლა, ბალაყანა, ტინკი-ვინკი, კუტუ, ჭუჭუ, ჭუჭულიკა, კიტრი, ...“ (ცენზურა ს. საჯ.).

**რამდენად ღრმა და უიმედო ქილქუშში უნდა იყოს საზოგადოება, რომ მან თავისი მწერლობის სადავეები ჩააბაროს ადამიანთა ჯგუფს, რომელთა საყრილობო მოხსენებაში პრინტიც არ დაძრულა იმაზე, რომ აგრესიულმა გლობალიზმმა არა თუ დაგვიპყრო და დაამყარა საოკუპაციო რეჟიმი, ქვეყანას გადაუჯიშა მომავალი, სრულიად საქართველო გადააქცია საეთნოფაბრიკაციო პოლიგონად, საზოგადოებრივ მიმოქცევაში დაამკვიდრა დივერსიული სტერეოტიპები საქართველოსა და ქართველი ერის შესახებ და ა.შ.**

# ვანოს აგენტებს გოგა ხაინდრავა თმის ფერით ცნობს!



ამ წერილის დაწერა მაიძულა ერთობ უცნაურმა ამბავმა, რომელიც ორიოდე დღის წინ შემემთხვა. ბატონ გოგა ხაინდრავასთან მინდოდა ინტერვიუს ჩაწერა პრესის თავისუფლების თემაზე. ეს კაცი ხშირად აქტიურობდა ამ მიმართულებით, არ არის რომელიმე პარტიის თავგადაკლული წევრი და თავად მედია ბიზნესში (რადიო „უცნობი“) მოღვაწეობს. როგორც წესი და რიგია, დავურეკე ბატონ გოგას, ვუთხარი ვინ ვიყავი და რომ ინტერვიუს ჩაწერა მინდოდა. შეხვედრაზე შევუთანხმდი მისსავე (ანუ რადიო „უცნობის“) ოფისში. როცა შეხვედრაზე მივედი, ბატონი გოგა ჩემს დანახვაზე გაოცდა, ერთხანს მიყურებდა გაფართოებული თვალებით, გეგონება, მედუზას თავი დაინახაო და მერე მკითხა, შენ ადრე სხვა ფერის თმა არ გქონდაო? ცოტა არ იყოს დავიბენი, ასეთ შეკითხვებს საზოგადოდ, კარგად აღზრდილი ხალხი, ან არ სვამს, ან სხვა ფორმით სვამს... ყოველ შემთხვევაში, მე თმას და ვარცხნილობას ისე ვიკეთებ, რომ ბატონ გოგას არ ვეკითხები. ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად ბატონი გოგა არ არის იმ ადამიანთა რიცხვში, რომლის აზრიც მაინტერესებს თმის შეჭრის ან შეღებვის დროს. საბოლოოდ, პატიოსნად ვუთხარი, დიახ, ადრე სხვა ფერის თმა მქონდა-მეთქი. აააა — მიპასუხა მან. ამას მოჰყვა დრამატული პაუზა და სრულიად მოულოდნელი გაგრძელება. — მე შენ საერთოდ არ მოგცემ ინტერვიუს, თუ გინდა თეატრსა ან კინოში დაგპატიჟებ, გამომიცხადა მან. რაღა დაგიმალოთ და აქ დავიბენი. — რატომ ბატონო გოგა, გაწყენინეთ რამე? — არა, ქართულ პრესა რეებს წერს ჩემზე საერთოდ არ მაინტერესებს, უბრალოდ, შენ

## გოგა ხაინდრავა: „მე შენ საერთოდ არ მოგცემ ინტერვიუს, თუ გინდა თეატრში ან კინოში დაგპატიჟებ“.

არ გენდობი, როგორც ჟურნალისტს. აქ მეორეჯერ გავოგნდი — შევახსენე, რომ 2007 წელსაც მან მომაყენა შეურაცხყოფა (სრულიად დაუმსახურებლად), როცა ვანოს აგენტი მიწოდა, მაგრამ მაშინ, არა მარტო არ გავაპროტესტე ეს ამბავი, არამედ ინტერვიუშიც კი არ მივუთითე, რომ მას მე აგენტი ვეგონე. რადგან, როგორც მოქალაქე, ჟურნალისტი სიმპატიით ვიყავი განწყობილი 2007 წლის გამოსვლებისადმი და არავითარი სურვილი არ მქონდა ამ ნიადაგზე შემექმნა სკანდალი, მით უმეტეს პრესის ფურცლებზე.

ამის შემდეგ მან ასევე განმიცხადა, რომ „საერთო გაზეთს“ არ მისცემს ინტერვიუს, აღარ არის ინტერვიუს მიცემის განწყობაზე, რაკი მე იქ ვმუშაობ (სწორედ ეს იკითხებოდა მის ნათქვამში). როგორც აღვნიშნე, რაც პირადად მე შემეხება არ მენდობა, როგორც ჟურნალისტს, თორემ თუ სურვილი მაქვს კინოსა თუ თეატრში დამპატიჟებდა. (სამწუხაროდ, ამდენი დრო არ მაქვს, თორემ სიამოვნებით წავიდოდი უკვე დასახელებულ ადგილებში იმ ადამიანთან ერთად, რომელსაც ვუთანხმებ ხოლმე ჩემი თმის ფერს). მოკლედ, ძალიან გაკვირვებული წამოვედი ბატონ გოგასგან და ცოტა არ იყოს განცვიფრებულიც შემდეგ მიზეზთა გამო:

ჯერ ერთი, ამ კაი დედმამიშვილს ჩემი თმის ფერი ახსოვდა და სახელი და გვარი არ ახსოვდა? აი, რას ნიშნავს ოპერატორის და კინოდოკუმენტალისტის მახვილი თვალი?! ამ სიცხეში წერეთლიდან კოსტავას ქუჩაზე რომ გამიყვანა, ტელეფონში ვერ მითხრა, მე შენ და შენს გაზეთს ინტერვიუს არ მოგცემთო? (ისე, კულტურულ ღონისძიებებზე დაპატიჟებაც შეიძლება ტელეფონით) მეორე, სულ ორი ინტერვიუ მაქვს ბატონ გოგასთან ჩაწერილი, აქედან ერთზე მაინცდამაინც დიდი აგრესია არ ჰქონია, რაც შეხება მეორე ინტერვიუს აღარც ის თემებია დღეს აქტუალური, აღარც მაშინდელი პრობლემატიკა და ჩვენში დარჩეს, აღარც თავად ბატონი გოგა ხაინდრავა. მაშინ სულ სხვა პოზიციაში იყო, და მის სიტყვასაც გაცილებით მეტი ხალხი აქცევდა ყურადღებას, ვიდრე დღეს, მაგრამ გამომდინარე იქიდან, სადაც დღეს მოღვაწეობს პრესის თავისუფლების თემაზე მისი აზრი ჩავთვალე, რომ საინტერესო იქნებოდა. ახლა შევეცდები ორიოდე ნაწყვეტი მოვიყვანო 7 წლის წინანდელი იმ ინტერვიუებიდან:

**— ვრცელდება ხმები, რომ ნათელაშვილის მიერ დაგეგმილ შეხვედრაზე ოპოზიციური სპექტრი ხელისუფლების დამხობის გეგმას განიხილავდა..**

— ეს არის სრული სიცრუე. არ ვიცი, ეს ამბავი თქვენ ვინ მოგიტანათ, მაგრამ, ეტყობა, თქვენს წრეში და ინფორმატორებში მერაბიშვილის ბევრი თანამშრომელია.

ამ კითხვის დასმის გამო, როგორც უკვე გითხარით, ვანოს აგენტი მიწოდა.

ამ შეკითხვით მე მაშინ მეგონა, რომ საკმაოდ კარგ ტრიბუნას ვუთმობდი ბატონ გოგას, იმისთვის, რომ აეხსნა მკითხველის გასაგონად თუ რა მეთოდებით ებრძოდნენ მათ და მათ მოძრაობას ნაცები. შეკითხვა დასმული იყო სრულიად ჩვეულებრივი ობიექტური ჟურნალისტური ფორმით და ეს მას უნდა სცოდნოდა (ნაციონალების ჟურნალისტები ასეთ შეკითხვებს შემდეგნაირად სვამდნენ — რატომ დაგეგმეთ სახელმწიფო გადატრიალება და მთავრობის დამხობა თქვენ და ნათელაშვილმა და ა.შ.). როგორც ხედავთ, 7 წლის წინ დასმული ჩემი შეკითხვა დღემდე ასე მწარედ ახსოვს ... 7 წელიწადში შეიძლება მოსისხლე მტრები შერიგებულიყვნენ, ასეთი რა შეკითხვაა, რომ ან მაშინვე გამოიწვია ჩემთვის ვანოს აგენტობის დაბრალება, ან მით უმეტეს ახლა, როცა ვანოს აგენტების ძებნა თუ უნდა კაცს მშვენივრად იცის საიდან უნდა დაიწყოს.

მეორე შემთხვევა კი ასეთი იყო:

ასევე 2007 წლის აქციების მიწურულს, როცა კარვების აღებისკენ წავიდა საქმე და გაირკვა, რომ ეს აქციები პრინციპში უკვე დამარცხებული იყო, მაშინ შევხვდი ბატონ გოგას გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ რედაქტორის დავალებით და ვკითხე როგორ გაგრძელდება თქვენი გამოსვლები, ხომ ხედავთ ხალხის რაოდენობა ყოველდღიურად იკლებს-მეთქი. ასევე გამაოგნებელი პასუხი გამცა — ხალხი საკმარისია, ის კი არა, იმატებს კიდეც, ახალ-ახალი ძალები ერთვებიან და ამას მარტო შენ ვერ ხედავ იმიტომ, რომ ვანოს აგენტი ხარო. მე, არ ვიცი, ჩემი თმის ფერი ვანოს აგენტობასთან იყო თუ არა რაიმე კავშირში, არც ის ვიცი, ასე ყველგან ვანოს აგენტები ელანდებოდა ბატონ გოგა ხაინდრავას თუ ჩემს მიმართ რაიმე თბილი გრძნობები აქვს და ამ გრძნობების გამო აქვს დიდი სურვილი, რომ მე ვანოს აგენტად ჩამთვალოს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჟურნალისტებთან ასე მოქცევა არ არის სწორი და ისიც ვიცი, რომ ბატონ გოგას არ ჰქონდა მორალური უფლება მთლიანად „საერთო გაზეთი“ მოეხსენიებინა უარყოფით კონტექსტში და ეთქვა უარი გაზეთისთვის ინტერვიუზე, თუნდაც იქ ვანოს აგენტი 007 ქეთი ხომერიკი მუშაობდეს.

არ ვაპირებ მორალის კითხვას, და არც ახალგაზრდობას ვურჩევ იმას, რომ ასეთი თავგადასავლების გამო უარი თქვან ჟურნალისტის პროფესიაზე, იმას კი გეტყვით, რომ ჟურნალისტის პროფესიაში ხანდახან ასეთი კურიოზებიც ხდება: შეხვდები მარცხენა ფეხზე ამდგარ რესპონდენტს, დაიწყებს თმის ფერით და ვანოს აგენტობით გააგრძელებს და თეატრში მიწვევით დაასრულებს (მე გეპატიჟები, შენ თუ გაქვს სურვილი წავიდეთო ფორმით). მოკლედ, როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოების ნაწილი მართლა უნდა მიეჩვიოს პრესასთან ურთიერთობის კულტურას და ყველა ჟურნალისტში პროვოკატორს არ უნდა ხედავდეს.

დაბოლოს, სამი რამ მაინტერერესებს ხაინდრავასგან.

**პირველი** - რა ფერის თმა აქვთ იმ ჟურნალისტებს, რომლებსაც ბატონი გოგა ხაინდრავა ენდობა და ინტერვიუზე თანხმდება?

**მეორე** - რატომ აძლევს ინტერვიუს ბატონი გოგა ისეთ გაზეთებს, რომლებშიც შეუძლებელია ვინმე იყოს დარწმუნებული, რომ იქ ვანოს აგენტები არ მუშაობენ?

**მესამე** - რატომ ვგონივარ ასეთი სერიოზული ფიგურა, რომ ჩემს გამო გაზეთის მთელ რედაქციაზე განაწყენდა ბატონი გოგა? რა დავუშავე ასეთი? რას გადამეკიდა?

**P.S. ბატონ გოგას მინდა ვუსურვო წარმატება, აგრეთვე ვუსურვებ, რომ ჩემნაირი ვანოს აგენტები მასთან არასდროს მისულიყვნენ ინტერვიუს ჩამოსართმევად. მე კიდევ 7 წელი არ შევაწუხებ ბატონ გოგას, შეუძლია მშვიდად იყოს...**

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03



# ვისია, ვისია, სამი ტონა ჰეროინი?..

საქართველოს შსს-მ და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად საერთაშორისო ნარკოტრაფიკის ფაქტი გამოავლინეს. დაახლოებით 3 ტონა (2 ტონა 790 კგ) თხევადი ჰეროინის შემოტანის ფაქტზე დაკავებულია საქართველოს ორი მოქალაქე. როგორც გამოძიებამ დაადგინა, სატვირთო ავტომობილი აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან შემოვიდა და თურქეთის მიმართულებით აპირებდა გზის გაგრძელებას.

საქართველოში არსებული




ნარკოტრაფიკის პრობლემის შესახებ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი 2008 წელს დადო აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის ბიურომ. ანგარიშის მიხედვით, სამხრეთ კავკასიაში შემოსული 11 ტონა ნარკოტიკიდან 7 ტონა გადიოდა საქართველოს საზღვაო პორტებიდან, 4 ტონა კი სამ რეგიონში რჩებოდა, აქედან, სავარაუდოდ 2,4 ტონა ჰეროინი საქართველოში რჩებოდა. რა კონკრეტულ კავშირში იყო ჰერიონი საქართველოს იმდროინდელ ძალოვან სტრუქტურებთან ცალკე საკითხია, ამდენად, მხოლოდ გაკვრით ვახსენოთ მხოლოდ ერთი გახმაურებული ამბავი — სოდ-ის ყოფილი თანამშრომლები თემურ რევაზიშვილი და გიორგი ხუხია დეპარტამენტის უფროსებს, ირაკლი კოდუასა და მის მოადგილეს, კახა მისირელს ნარკორეალიზატორებთან კავშირსა და მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებდნენ...

ის წლებია, ვანო მერაბიშვილის უწყება ლამის უნებართვოდ აფრენილ ბუზებს ამწყვდევს გლდანის ციხეში, შსს-ს კი ორი წლის განმავლობაში მხოლოდ რაღაც 18 კილო ჰერიონი აქვს ამოღებული და თავი მოაქვს, ნარკოტრაფიკს ვებრძვიო — გასათვალისწინებელია, რომ საუბარია ტონობით ნარკოტიკზე და არა „თითო ზახოდზე." მხოლოდ ერთი წლის მონაცემი ავიღოთ მაგალითად. 2009 წელს, ევროპელი სამართალდამცავების მიერ, იმ სატვირთო მანქანებიდან, რომლებმაც ერთხელ მაინც გაიარეს საქართველოზე, ამოღებულია 7-იდან 8 ტონამდე ნარკოტიკული ნივთიერება. შემდეგ, როდესაც აშშ-იდან შეაფუცხუნეს სააკაშვილის ხელისუფლება, ძალიან გაგივიდათ თავსო, შეთხზული ბრალდებით ერთ-ერთ სოფელში დააკავეს საბრალო ადამიანები, მათგან ერთი — ავადმყოფი, აი, ჰეროინის „ბარიგებიო". ისე ჭყლოპინებდა ვანო მერაბიშვილი „რუსთავი-2-ზე", 80 წლის მანძილზე (რატომღაც სსრკ ჰქონდა აღებული დროის საზომ ერთეულად) ამდენი ნარკოტიკი არ ამოღებულაო, თითქოს ვინმეს სჯეროდა მისი სიტყვების ან აქ, ან — იქ. ეს იმ დროს, როცა საქართველოზე წელიწადში 9-10 ტონა ჰეროინი გადიოდა, ამოღება კი 0,07-0,09% იყო.

როდესაც ქვეყანას აქვს შესაბამისი აღჭურვილობა და საერთაშორისო მხარდაჭერა, მაგრამ პასიურობის უცვლელ პიკზეა გაშეშებული ნარკოდანაშაულის გამოვლენაში, რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ქვეყნის ხელისუფლებაზე? რა თქმა უნდა, ძნელი არ იყო იმის დადგენა, რომელი ბორნებიდან გადიოდა ჰეროინი საქართველოდან ევროპაში, ვის ეკუთვნოდა და ვინ იყო ტვირთის მფლობელი, მაგრამ რადგან ისედაც იცოდნენ შესაბამისმა სამსახურებმა, რაღა უნდა გამოეძიათ?

გავიხსენოთ გასულ წელს წამოწეული ერთი საკითხიც, რომლითაც თვით აშშ იყო დაინტერესებული როგორც მხარე. საქმე ეხებოდა 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი საბრძოლო მოქმედებების დროს აშშ-იდან საქართველოში გამოგზავნილ მორფინს. პროკურატურა, როგორც ბევრ სხვა საქმეს 2011 წლის ოქტომბრიდან, თითქოს ამ საქმის მოკვლევასაც იწყებდა, მაგრამ როგორ დასრულდა წამოწყებული საქმე, კაცმა არ იცის, ყოველ შემთხვაში, არსად არავის უთქვამს. საქმე ეხება Telegraph-ის მიერ მოპოვებულ და გაავრცელებულ ინფორმაციას, რომ 2008 წლის ომის დღეებში ვაშინგტონის ერთ-ერთი ონკოლოგიური ცენტრიდან ოფიციალურად, თბილისის მერიის (მერი — სხვა საქმეზე (საქმეებზე) ეჭვმიტანილი გიგი უგულავა) სახელზე გამოიგზავნა სამედიცინო ტვირთი ომის დროს დაჭრილი ჯარისკაცებისთვის. ეს იყო ძალიან მაღალი ხარისხის მორფინი, რომელსაც, როგორც წესი, ონკოლოგიური ავადმყოფები ძლიერი ტკივილის გასაყუჩებლად იყენებენ. ტვირთი ერთი კონტეინერით განისაზღვრებოდა, მოიცავდა სრულ კომპლექტს და თავდაცვის სამინისტროს უნდა გადასცემოდა. უცნაურია, მაგრამ ამგვარი დახმარების შესახებ, როგორც თვითონ ბრძანა, ინფორმაციას არ ფლობდა იმდროინდელი პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, იმავე მმართველი პარტიის ერთ-ერთი ცნობილი სახე გიგი წერეთელი. ასევე უცნაურია, განმარტება, რომ თურმე მერიის სახელზე იმიტომ გამოგზავნილა აღნიშნული ტვირთი, რომ სხვა ფორმით გამოგზავნის პრობლემები შექმნილა.

ჯერ როგორი წარმოსადგენია, რომ აშშ-ს რაიმეს გამოგზავნის პრობლემა შექმნოდა საქართველოში პრეზიდენტების, ბუშისა და სააკაშვილის მმართველობის დროს, მერე, როგორღაც მოეხერხებინათ გამოგზავნა და ბოლოს გაერკვიათ, რომ ერთი კონტეინერი მორფინი სადღაც „გაიბნა" და განგაში აეტეხათ? ახლაღა, 2013 წელს, ახალი ხელისუფლების დროს „გახსენდათ" და მოიკითხეს. იმ დროს თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი იყო, რომელზეც ანეკდოტად დადიოდა, ისეთ კაიფში იყო, ომი რომ დასრულდა, მერეღა გაიგო რომ ომი ყოფილაო, თუმცა, კეზერაშვილის უწყებამდე მაინც თუ მიაღწია ძვირფასმა ტვირთმა ისიც კი უცნობია, არათუ დაჭრილი ჯარისკაცებამდე, ერთი მათგანიც კი არ არის თვალის მომკვრელი „რაღაც" მორფინზე...

მართალია, ასეთი ოდენობის ჰეროინი, რომელიც სამიოდე დღის წინ დააკავეს, საქართველოში არასდროს ამოუღიათ, მაგრამ ახალი ხელისუფლების დროს მნიშვნელოვანი რაოდენობის ჰეროინის ამოღების შემთხვევა პირველი არ არის. ირაკლი ღარიბაშვილის შსს მინისტრობის დროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა ნინოწმინდაში სომხეთიდან შემოსული სატვირთო ავტომობილი დააკავა საიდანაც 116 კგ ჰეროინი ამოიღეს. (მაშინ ითქვა, გაკვალულ გზაზე მიდიოდა, მაგრამ ვიღაცამ რაღაცის გამო „ჩაუშვა" საქმეო) საქმის დეტალები, რა თქმა უნდა, არ გახმაურდა, მაგრამ წლების განმავლობაში ნარკოდერეფანში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის საქართველოში უცხო არც ნარკოტიკის გავლა-დატოვება იყო, არც ჰეროინის ნებისმიერი რაოდენობა, ისედაც ცხადი იყო, რომ საქმე ნარკოკარტელებს ეხებოდა, რომლის არსებობის შესახებ მხოლოდ აქა-იქ თუ ამოიღებდა ხმას ვინმე. მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მანქანას, საიდანაც ჰეროინი ამოიღეს, მოლდოვას სანომრო ნიშნები ჰქონდა, მოლდოვას მოქალაქე აცილებდა და მართავდა თურქი მძღოლი, პრეზიდენტი სააკაშვილი კი რამდენიმე დღეში მოლდოვაში მიემგზავრებოდა. და კიდევ, მოლდოვა გივი თარგამაძის საკურატორო ზონა იყო...




არავისთვის იყო დაფარული, რომ 2006 წლიდან, ყველა მოხსენებაში, რომელიც ქვეყნდებოდა გაერო-სა და აშშ-ის შესაბამისი სტრუქტურების საიტებზე და მსოფლიოში ნარკომანიის საკითხებს ეხებოდა, ფიქსირდებოდა, რომ საქართველო გახდა საერთაშორისო ნარკოკარტელის წევრი ქვეყანა, რომელზეც ფუნქციონირება დაიწყო ავღანური ჰეროინის ტრასამ. კი, ათასობით პატიმარი თუ პრობაციონერი იყო აღრიცხული ნარკოტიკის მომხმარებლად, შემნახავად თუ გამსაღებლად, მაგრამ ერთი, რომ ამ ბრალდებებით გასამართლებულ პირთაგან რამდენი იყო შეთხზული ბრალდებით გასამართლებული, საკითხავია; მეორე — საკითხავია, საქართველოს რამდენ ნარკოდამოკიდებულ რიგით მოქალაქეს ჰქონდა (ან აქვს) გასინჯული ჰერიონი და უმთავრესი — 2,5 ტონა ჰეროინის ქვეყანაში დარჩენაზე საუბარი გალატაკებულ ქვეყანაში, სადაც ე.წ სააფთიაქო ნარკომანია „ყვავის", სასაცილოა.

3 ტონამდე თხევადი ჰეროინი იმხელა თანხას უკაკუნებს, თუ გზა „სუფთა" არ არის, ვინ გაუყვება, ანუ გადამზიდავს ვინ გაუშვებს? ლოგიკიდან გამომდინარე, აღნიშნულ ტვირთთან რამენაირი ფორმით დაკავშირებული ყველა პირი დარწმუნებული იყო, რომ „ა" პუნქტიდან გამოსული ჰეროინის ამხელა პარტია „ბ" პუნქტამდე აუცილებლად უპრობლემოდ მივიდოდა და შემკვეთს ჩაბარდებოდა. მაშ, რა მოხდა? უპირველესად ის ვთქვათ, რომ გზა (მთელი თავისი უზრუნველყოფებით) მრავალგზის ნაცადი იყო და სწორედ ამიტომ მიდიოდა დაიმედებულად ამხელა ტვირთი, მაგრამ... მაგრამ ის, რომ „საგამოძიებო-ოპერატიული სამსახურის მუშაობა" ლამაზად ნათქვამი სიტყვებია, ხოლო ე.წ გონივრული ეჭვის მიხედვით კი, ვიღაცამ რაღაცის სანაცვლოდ შეგნებულად გაწყვიტა წლობით ნაჭედი ნარკოსატრანზიტო გზის ოქროს ჯაჭვის ერთი რგოლი...

**დავით ქართველიშვილი**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში**



# ჯოჯოხეთის ფილიალი დედამიწაზე, ანუ ქართული აბუ-გრეიბის კოშმარები

## (ფრაგმენტები ლადო ბედუკაძის წიგნიდან)

შიშველი პატიმრები ერთმანეთზე მიყარეს. ერთი შეხედვით მართლაც ჯგუფური სექსის იმიტაცია შექმნეს...

— ვიდეოკამერა სადაა? გადაუღე ერთი, ამათი დედაც, როგორი „კაი ბიჭები“ არიან, ერთმანეთში როგორ „ჟიმაობენ“. — ხარხარებენ.

ერთი „მოწინავე მუშაკი“ ახალ „გასართობ“ მეთოდს იგონებს. ხელებით და ფეხებით წევენ პატიმარს, სიმაღლეზე აჰყავთ და დაბლა ანარცხებენ. ყრუ ბრაგვანის ხმა. ხარხარი. შეშინებული და დამფრთხალი ადამიანის მზერა.

პოლიციის მიერ დაზიანებით შემოსახლებულთა შესახებ დეპარტამენტისათვის შეტყობინება მაქვს გადასაცემი. სწორედ ამ დროს ჩავდივარ.

— რას შვრებით, კლავთ, თქვენი, მთლად დაკარგეთ ადამიანობა? — ამომასხა.



ლადო ბედუკაძე

ერთმანეთს გაკვირვებულებმა შეხედეს.

ჩემს თავს ვერ ვცნობ. ნეტა, ვინმემ იცოდეს, აქ რა ხდება, რა გახდა ერთი ადამიანი, ვინც ამ სისასტიკეს შეაჩერებს?

დამთავრდა განაწილება. ას ოცი გასანაწილებლიდან, თერთმეტი „მოურჯულებელი“ კვლავ ერთი ან ორი კვირით „ჩატოვეს“ კარანტინში. მომავალ პარასკევს ისევ მოუწევთ ანალოგიური „გასაუბრების“ გავლა.

როგორც იქნა ჩაწყნარდა კივილის და გოდების ხმა. ყველა თანამშრომელმა დატოვა სამორიგეოს და კარანტინის ტერიტორია. განაწილებულები კორპუსებზე სამხედრო მარშით მიჰყავთ. შორიდან ხმა ისმის: თქვენი დედაც, ფეხი აუწყვეთ და ერთხმად! წავიდა სიმღერა. სამწყობრო სიმღერა დასძახეს, ისეთი, ჯარში რომ მღერიან: რა მადლიანად ანათებს..

განადგურებული ვარ.

მაინც ყველა საკანი უნდა ჩამოვიარო. ყველა პატიმარი უნდა ვნახო. პირველად ე.წ. ჩატოვებულებს ვხვდები. თავი დაბლა ჩაუღუნავთ. ტკივილებისგან კვნესიან.

— მაპატიეთ, ბიჭებო. ყველას მაგივრად მე გიხდით ბოდიშს. მოვა დრო, ყველა პასუხს აგებს ჩადენილზე. ექიმი ახლავე მოგხედავთ. გადატვირთულ საკანში არ შეგიშვებთ, სიგარეტს მოგცემთ, რაც მაქვს. ეს ასე არ ჩაივლის, დამიჯერეთ! — ვამხნევებ მათ.

არ ვიცი, ალბათ, ფეხებზე ჰკიდიათ კიდეც ჩემი ბოდიში, ან, შესაძლოა, ცინიზმადაც კი მითვლიან. თუმცა, რა ვიცი, სახეზე ნათლად მამჩნევია დღევანდელი დღის კვალი.

ყველა საკანს ვაღებ, ყველას ვესაუბრები და პრობლემებს ვისმენ. ექიმი გაფრთხილებული მყავს, რომ ჩემს ცვლაში დღის ბოლოს მისგან უკმაყოფილო პატიმარი თუ ვნახე, პასუხს მოვთხოვ. მინდა როგორმე ვანუგეშო, გადავატანინო, შევუმსუბუქო გასაჭირი.

— აბა, ახალი ანეგდოტი ხომ არ იცის ვინმემ? — ვაყოლებ. მეც ვუყვები. იცინიან. კიდევ ერთხელ ვთხოვ, ერთმანეთის ჯანმრთელობას გაუფრთხილდნენ, არ იხმაურონ, არ მისცენ საბაბი „იქ, იმათ“, რომ დასაჯონ. ყველა საკანს შეძლებისდაგვარად, მალულად, სიგარეტს ვუნაწილებ. სიგარეტი აქ ფუფუნებაა, სანატრელი რამ...

სამორიგეოში ვბრუნდები. კორპუსებიდან მონაცემებს გადმოსცემენ პატიმართა მოძრაობის, რაოდენობის შესახებ.

საღამოს ლოცვის დროა. სალოცავი კუთხე მაქვს ოთახში მოწყობილი. ე -2 კორპუსის კონტროლიორ თორნიკეს ვთხოვ კორპუსიდან სამორიგეოში ჩამოვიდეს. „შლუზის“ „გიჟუაც“ აქვეა. ერთად ვლოცულობთ. მხოლოდ ერთ ვევედრები უფალს: არ მინდა, მეც ასე დამიბნელდეს გონება, ასეთი გულქვა გავხდე. დროა შეწყდეს ეს სადიზმი.

ღამის თორმეტი საათია. ვერ მოვიცალე „ფუქსებამდე“ მივსულიყავი. მივალ, ბიჭებს დაველაპარაკები. მაგათ ცოტა პოლიტიკის გაეგებათ მაინც. ვკითხავ, იქნებ იციან რამე. ნეტავ, ოდესმე, გვეშველება? რამდენი ღამე გამითენებია ასეთი საუბრებით.

მაინც არავინ დაგაძინებს: შემოსახლებები, შესაძლოა, მთელი ღამე გაგრძელდეს, „ძებნილები“, ძირითადად, ღამით მოჰყავთ, მერე კორპუსებიდან „დამნაშავე“, „რეჟიმის დამრღვევი“, „გამოხშირული“ პატიმრების დასჯის მიზნით კარანტინში ჩამოჰყავთ... დამნაშავეს ამბობენ, თორემ, მიზეზი თითქმის ყველა შემთხვევაში ერთია: — ხმაური!.. ყავით ვუმასპინძლდები პატიმარ „სტუმრებს“. უხარიათ, დიდი ხანია, ყავის გემო არ გაუსინჯავთ. კარანტინის მორიგე — ქობალია გაფრთხილებული მყავს, თუ რამე შეამჩნია, დარეკოს, თორემ „გამაციმბირებენ“ ჭიქა ყავის გამო.

ცოტა ხნით განსამუხტად დაწესებულების ტერიტორიაზე გავდივარ. სიწყნარეა. ცოტა აგრილებულა. გული ისევ საკნებისკენ მიმიწევს, მინდა მოვიკითხო, როგორ არიან ძველი მეგობრები კარანტინიდან. ვიცი, არ სძინავთ ჯერ. მაგრამ ყველგან ვიდეოთვალია, ყველგან ყურია...

ეზოში ექიმი მხვდება.

— კარანტინიდან დამირეკეს პატიმარი ყოფილა ცუდად. მაინც ახალი ვარ, თქვენ კი არ გეხებათ, მაგრამ მაინტერესებს, სხეულის დაზიანებების ჟურნალში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, ასეთი შემთხვევები როგორ გავატარო, ბატონო ლადო, — მეკითხება ახალგაზრდა ექიმი ქალი, რომელსაც ციხეში მუშაობა სულ ახლახან დაუწყია.

— რა დაზიანებასაც ნახავთ, ის აღწერეთ და გარემოებები ისე აღწერეთ, როგორც ამას პაციენტი გეტყვით, სხვა რა გითხრათ, ქალბატონო, ეს საკითხი მთავარ ექიმთან



კარანტინის კიბე

უნდა შეგვეთანხმებინათ. — ვეუბნები მე.

მახსოვს, ერთხელ, კარანტინის ექიმი გაკვირვებული სახით როგორ მეუბნებოდა: კაცო, ადამიანი სასტიკადაა ნაცემი. ჩამოვარდა ან ფეხი გაუცურდა-მეთქი, როგორ დავწერო, პინკ-პონკის ბურთი ხომ არაა — ჩამოვარდეს. სხეულზე დაბეჟილობები და ნახეთქი ჭრილობები აქვსო.

ოპერები კი მეხმარებიან, საკნიდან პატიმრები გამოჰყავთ, სასურველ ჩვენებებს იძლევიან: ჩამოვარდა, ფეხი გაუცურდა, წაიქცა, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ამ ხარისხის დაზიანებას ვერ დაწერო.

ამ ექიმს, განსაკუთრებულ პატივს ვცემდი, ამიტომაც ვუთხარი:

— ადრეც გაგაფრთხილეთ, ასეთ უზნეობებზე ხელი არ მოგეწერათ. როგორც ადმინისტრაციას „აწყობს“, ისე არ შეგექმნათ პატიმრის ჯანმრთელობის ცნობა და არ „გაგეპრავებინათ“ მათი საქციელი. აწი, თქვენი საქმისა თქვენ იცითმეთქი.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ აქ პატიმრის ცემა ჩვეულებრივი ამბავია. დაარტყი პატიმარს? — რაც მეტად დაარტყამ, უფრო მაგარი ხარ. შეიძლებოდა, კონტროლიორს არ ჰქონოდა პატიმრის ცემის სურვილი, მაგრამ რეჟიმის უფროსის ბრძანება უნდა შესრულებულიყო. ერთგულების და ნდობის დასამტკიცებლად გააღებდა კარს კონტროლიორი და უბრახუნებდა პატიმარს განურჩევლად ასაკისა, სასჯელისა, წარმომავლობისა, იმის მიუხედავად, დააშავა თუ არა რაიმე.

შემდეგ ძალიან ბევრ კონტროლიორს უთქვამს ჩემთვის: რა ვქნათ, ოლეგი (**ოლეგ ფაცაცია — რეჟიმის უფროსი**) ამოდის და გვამოწმებს, ვცემთ თუ არა პატიმრებს, ასე გვიტარებს გამოცდასო.

ბოლო ხანებში განსაკუთრებით ჩემს ცვლაში უწყობდა თანამშრომლებს ასეთ „გამოცდებს“, რადგან იცოდა, მე ვუკრძალავდი ხელქვეითებს პატიმრებისთვის შეურაცხყოფის მიყენებას და ჩემი მორიგეობის დროს სპეციალურად ცდილობდა, გაეკონტროლებინა, როგორ სცემდნენ და ამცირებდნენ მათ.

ის კი არა, ჩემს მოგვარეს სპეციალურად უმოწყალოდ სცემეს, ძლივს გამოვართვი ხელიდან ოფიცერს, მერე დიდხანს ვიყავი აღრენილი ოფიცერზე, რატომ სცემე ჩემი მოგვარე-მეთქი, მაგრამ, პრინციპში, ის მაინც არაფერ შუაში იყო.

უმკაცრესი რეჟიმის პირობებში საკნებში სასჯელის მოხდის დარღვევის შემთხვევები მინიმუმამდე იყო დაყვანილი და, ფაქტობრივად, ცემის მიზეზიც არც არსებობდა, მაგრამ რად უნდოდა მიზეზი. ბოლოს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რეჟიმის უფროსმა ინსპექტორებს და ოფიცრებს გეგმაც კი დაუწესა, ყოველ კვირა, მინიმუმ, სამი პატიმარი კარცერში უნდა მოეთავსებინათ...

იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ხელი არ დაუკარებიათ პატიმრებისთვის, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სიხარულით სცემდნენ და მერე ასევე „მხიარულად“ მიჰყავდათ პატიმრები თვითმკვლელობამდე.

ერთი სიტყვით, ნერვებს უშლიდა ჩემი არსებობა იქ უმეტესობას, მაგრამ ჩემი გაშვების მიზეზებს ვერ პოულობდნენ. მერე, როცა სამსახურიდან წასვლის განცხადება დავწერე და წამოვედი, მითხრეს, სუფრა გაშალეს და იმხიარულეს, იმის აღსანიშნავად, როგორ მოსცილდათ ზედმეტი და უცხო სხეული. მართალიც იყვნენ, რადგან ხშირად მიკითხავს საკუთარი თავისთვის: რა მინდა, აქ რატომ ვარ?! ან რატომ მაჩერებენ? გათავისუფლების მიზეზის პოვნაც არ იყო ძნელი — ქუჩაში მიმავალს უცებ, ჯიბეში აღმომაჩნდებოდა ნარკოტიკი, ან სხვა რამეს მოიფიქრებდნენ, მაგრამ ეს არ ხდებოდა და ყოველთვის მიკვირდა, რატომ?

* * *

მთელ ციხეში ჩემი ხელქვეითი 30 ადამიანი გამორჩეული იყო. პატიმრებს შედარებით ჰუმანურად ექცეოდნენ.

ციხიდან თავდახსნის შემდეგ ბევრს უთქვამს ჩემთვის: შენი მორიგეობის დროს ველოდებოდით, მაშინ თავისუფლად ვსუნთქავდითო, სასამართლო პროცესებს შენი მორიგეობის დროს ვნიშნავდით, რადგან ვიცოდით, არავინ გვცემდა, არ დაგვამცირებდა გაყვანის დროს, სიგარეტის მოწევის უფლებასაც მოგვცემდნენო.

მერე სასამართლოდან მოსულები რამდენჯერ მინახავს კარანტინში 10 კვ.მ ოთახში ქვის იატაკზე რომ ეყარნენ დაღლილები, უიმედოები, დამცირებულები... კარანტინის საკნებში ხომ იმდენი სკამი არაა, ყველა რომ ჩამოჯდეს... ტანსაცმელი მოწმდებოდა, საკანში რაიმე არ შეეტანათ.

6-7 საათის, ანუ სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ ციხეში ახალი ცხოვრება იწყებოდა. 12 საათიდან 7 საათამდე პატიმარი ეკუთვნოდა სოდ-ს და კუდ-ს და გამოსატეხი პატიმარი იმათ ხელში ინაცვლებდა.

მაგალითად, პოლიტპატიმარ ვახტანგ მაისაიასგან ციხეში ზეწოლების შედეგად სასურველი ჩვენება რომ ვერ მიიღეს და ჯაშუშობა ვერ აღიარებინეს, დაიწყეს მისი ღამით გაყვანა საკნიდან და კუდ-ის თანამშრომელთან შეხვედრა ციხის ტერიტორიაზე, რაც სასტიკ დარღვევად ითვლებოდა; თუმცა დარღვევას ვინ უყურებდა, „ზემოდან“ წამოსული ბრძანება იყო შესასრულებელი.

იყვნენ პრივილეგირებული პატიმრებიც. ყოფილა შემთხვევა, არ მცოდნია იმ პატიმრის სახელი და გვარი, რომელიც რაოდენობრივად მერიცხებოდა, ოღონდ ის, შეიძლებოდა, ციხის უფროსის მოადგილის მოსასვენებელ ოთახში ყოფილიყო დაბინავებული და მისთვის ბანანები და შოკოლადები მიჰქონდათ.

დიახ, ციხეებში იყო პოლიტიკური დაკვეთები. დაკვეთებს დიდი ალბათობით იძლეოდა დეპარტამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და ა.შ. დაკვეთები სოდ-იდან, კუდ-იდან, შსს-დან მოდიოდა და მერე იწყებოდა პატიმრების „დამუშავება“.

* * *

სასჯელაღსრულების №8 საპყრობილე ოფიციალურად 2007 წლის დეკემბერში გაიხსნა.

გასაუბრება გავიარე და მე-8 საპყრობილეში დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით ოპერატიული მორიგე-ინსპექტორის თანამდებობაზე საქმიანობას 2008 წლის იანვრიდან შევუდექი.

საპყრობილე თურქულმა კომპანიამ ააშენა. სწორედ იმ კომპანიის დირექტორი იყო თურქი ბიზნესმენი აქსუ, ვითომ წითელი „მოსკვიჩის“ სარკეების „ქურდი“, ზემოთ რომ ვახსენე და რადგან ამ კომპანიას ასეთი სპეციალური ტიპის დაწესებულებების მშენებლობის არანაირი გამოცდილება არ ჰქონია, პატიმართა მოსალოდნელი მასობრივი არეულობის, ბუნტის, ან სხვა ექსცესებისას უსაფრთხოების მოთხოვნები დაცული არ იყო. საკნებში არ მუშაობდა ღილაკი, ზარი, რომლითაც პატიმარს დაწესებულების წამომადგენლის გამოძახება შეეძლებოდა, გამართულად არ მუშაობდა სავენტილაციო და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა. საცხოვრებელი კორპუსები უსაფრთხო ხაზებით და გვირაბებით ერთმანეთთან არ იყო დაკავშირებული და დაცული.

დავდივარ მარტო კორპუსიდან კორპუსზე, სართულიდან სართულზე. ვიკარგები, ისეთი მასშტაბურია აქაურობა, ხანდახან ერთსა და იმავე ადგილას სამჯერ გავივლი ხოლმე. ბუზის გაფრენის ხმა ისმის. ვკითხულობ: აქ პატიმრები არიან?

— არიან, ბატონო ოფიცერო, სავსეა კორპუსი. — ისმის პასუხი.

საოცარია ასეთი გარდატეხა.


მსჯავრდებულთა საცხოვრებელი კორპუსი

ვინ იფიქრებდა, რომ „ძველი ბიჭები“ ამაყად რომ ყელყელაობდნენ ციხეებში, ასეთ მკაცრ რეჟიმს შეეგუებოდნენ. მაგრამ ფაქტია, კატებივით ფრთხილობენ, წყნარად არიან. 2006 წლის მარტის თვიდან ასეა ყველგან, სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში.

წესები მკაცრდება. პატიმრებს გაღვიძებიდან, დილის 7 საათიდან საღამოს 22 საათამდე, ანუ შუქის ჩაქრობამდე, საწოლზე არათუ წამოწოლის, ჩამოჯდომის უფლებაც არ აქვთ. ეს წესები, დროთა განმავლობაში, უფრო მკაცრდება და არაადამიანურ სახეს იძენს. მათ საკანში სიგარეტის მოწევის უფლებაც აღარ ეძლევათ. ახლა საპირფარეშოში ეწევიან რიგრიგობით.

ყველა პატიმარი რაოდენობრივი შემოწმებისას, ე.წ. „პრავერკისას“ აუცილებლად წვერგაპარსული და თმაშეკრეჭილი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაისჯება. დასჯის ფორმები და მეთოდები „მრავალფეროვანია“ — პირდაპირ საკანში ცემიდან დაწყებული კარანტინში რამდენიმეკვირიანი „გამაჯანსაღებელი პროცედურებით“ დამთავრებული.

ნებისმიერ შემთხვევაში, საკნიდან გამოსვლისას, ექიმთან, ადვოკატთან, გასეირნებისას, ხელები ზურგს უკან უნდა ჰქონდეთ და სირბილით გადაადგილდებოდნენ.

ზაფხულში ვენტილაცია საერთოდ არ მუშაობს, თუმცა ვენტილატორიც აკრძალულია, საკნის სარკმლიდან ძალიან მცირე რაოდენობის ჟანგბადი შემოდის, ისიც იქვე მდებარე გლდანის ნაგავსაყრელის აყროლებული სუნითაა გაჟღენთილი...

პატიმრებს ტანსაცმლის, უფრო სწორად, მაისურის გახდა ეკრძალებათ, თუნდაც გასაგრილებლად, იმ მიზეზით, თითქოს ქალი თანამშრომელი სათვალთვალოდან საკანში თუ შეიხედავს, არაეთიკურია, მამაკაცი წელს ზემოთ შიშველი დაინახოს.

საკნის სათვალთვალოდან ვიხედები. ასეთი რამ რუსთავის მე-6 საპყრობილეშიც არ მინახავს. პატიმრები საწოლის იარუსებიდან გადმოხტომას ერთმანეთს ასწრებენ. ერთი, ორი, სამი, დათვლა და სახით სარკმლისკენ, ანუ ზურგით საკნის კარებისკენ, უკან ხელებდაწყობილი ქვავდებიან. დგომის წესები დროგამოშვებით იცვლება ხოლმე. სახით ხან კედლისკენ, ხან — კარებისკენ...

— შესვლას არ ვაპირებ, ან საიდან დამინახეს-მეთქი? — ვიკითხე.

ოფიცრის წარბაწეული, იქედნური გამოხედვა არ დამავიწყდება.

— ეს მე-8 საპყრობილეა, ძმაო, ერთი კაცი მუდმივად უყურებს საკნის მცირე ზომის სათვალთავლო ჭუჭრუტანას, ნიშანს აძლევს თანამესაკნეებს და მერე ხდება ის, რაც ხდება.

— თუ არ შეასრულებენ, მერე რა ხდება?

ოფიცერმა გაიკვირვა და ხელით მანიშნა წავყოლოდი.

მივედით ერთ-ერთ საკანთან.

შევიხედე.

საკანი ცარიელია. კაციშვილი არ ჩანს.

საკანში შევედით. იქვე სამი ორიარუსიანი საწოლი დგას. პატიმრები ორ-ორად საწოლის ქვეშ გასუსული წვანან. დაუსჯია ოფიცერს ურჩობისთვის. მიზეზი? ერთ-ერთმა დროზე ვერ მოასწრო მეორე იარუსიდან გადმოხტომა და მწყობრში ჩადგომა. ამიტომ „ჭკუას მთელი საკანი სწავლობს“.


საკნის სარკმელი

აქ ინდივიდუალურად თუ მთელი შემადგენლობით კარანტინში ჩაყვანა და გასეირნების აკრძალვა დამატებითი სადამსჯელო ზომებია თურმე.

ავადმყოფი პატიმრებისთვის, რომლებსაც გადაადგილება უჭირთ და არ დადიან „სასეირნოდ“, საჭიროა სხვა, ჯანმრთელი პატიმრის საკანში დატოვება. ხან მთელი საკანი მოკლებულია სუფთა ჰაერზე გასვლის შესაძლებლობას.

— „პრავერკა“! ვიწყებთ! — ყვირის ოფიცერი.

კონტროლიორი ყველა საკანთან მიდის და ყველა კამერასთან გაწელილი ინტონაციით ბრძანებას იძლევა: — მოემზადეთ საღამოს შემოწმებისთვის!

საკნები სათითაოდ იღება.

საკნიდან გამოსულ პირველ პატიმარს ხელში ნაგვით სავსე ცელოფნის პარკი უჭირავს.

სხვები კედლის გასწვრივ დგებიან ერთ რიგად, სახით კედლისკენ. საკანში ოფიცერი შედის და დაჟინებული მზერით ათვალიერებს, აკვირდება ყველაფერს...

ფანჯრის გისოსებს სინჯავს, კარადებს სათითაოდ აღებს.

ერთი შეხედვით ყველაფერი წესრიგშია, წვერი გაპარსული აქვთ, „შესაბამისად“ აცვიათ, წესის მიხედვით დგანან, თუმცა ოფიცირის გამჭრიახ თვალს არ ეპარება „სასჯელის მოხდის წესის უპატიებელი შეცდომა“.

— რა გამომიფინეთ აქ, ვისია ეს ჭინჭები! გვარი! — ოფიცერი ღრიალებს.

— ჩემი, ბატონო ოფიცერო. — ძლივს ლუღლუღებს საშინლად გამხდარი, მაღალი, ნახევრად მელოტი პატიმარი.

— რამდენჯერ გითხარი, კარადაში შეყარეთ გარეცხილი ტანსაცმელი-მეთქი, რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, მე შენი....!

ყველას აგინებს, სათითაოდ ურტყამს სახეში. ისე ძლიერად ურტყამს ხელს, ერთ-ერთი პატიმარი დაბლა ეცემა.

— ადექი ფეხზე! მეორედ აღარ განმეორდეს! შენ გაბარებ კამერას, მიხედავ, „ატვეჩაი“ შენ იქნები.

პატიმარი უცებ წამოდგა. პირველად ნასამართლევს არ ჰგავდა.

ოფიცერმა თვალით რაღაც ანიშნა.

პატიმარი მიუახლოვდა:

— კაი რა, რაც მთხოვე, ხომ ვაკეთებ, ასეთი ძალით რატომ მირტყამ, მეტი არ შემიძლია?! ამას ამაღამვე მოვუგვარებ. — უთხრა და ჯიბეში „დანოსი“ — დაკუჭული ქაღალდი ჩაუდო.

ნათელი იყო ადმინისტრაციაზე მუშაობდა და ისიც აშკარა იყო, საქმე პატიმრის გამოტეხვას ეხებოდა.

საშინლად უუფლებონი არიან, საშინლად, მათი ინტერესი აბსოლუტურად უგულებელყოფილია, როგორც პირუტყვის, არაადამიანის.

აკრძალული აქვთ კარებზე დაკაკუნებაც კი. მორიგის გამოსაძახებელი ზარი, როგორც გითხარით, არ მუშაობს, რის გამოც, გადაუდებელი საჭიროების შემთხვევებში, თუნდაც ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესი გაუარესების გამო, პატიმრები იძულებულნი არიან კართან ჩაუსაფრდნენ კონტროლიორს და ჩავლისას ხმადაბლა უთხრან: ბატონო ოფიცერო, პატიმარია ცუდად.

საიდანღაც კაკუნის ხმა გაისმა.

— მე უკვე გაგაფრთხილეთ, კაკუნი არ გავიგო-მეთქი! — დაიღრიალა ოფიცერმა ყველას გასაგონად.

— 77 საკანი. ბატონო ოფიცერო, პატიმარია ცუდად!

საკანი გააღეს.

— აა, შენ ხარ შალვა? ახლავე ექიმს გამოვუძახებ. C-1, B-3-ზე ექიმი ამოვიდეს, პატიმარია ცუდად. — გადასცა რაციით.

— შეფის ახლობელია, — მიხსნის ჩურჩულით.

სააკაშვილისეულ, „აღორძინებულ და გასპეტაკებულ“ ქართულ პენიტენციურ სისტემაში კრიმინალური ელემენტი, რეალურად, მხოლოდ 30 % იყო. იგი სახელმწიფოს თავის სამფლობელოდ აშენებდა და არც აპირებდა ვინმესთვის დაეთმო თავის თავზე უზომოდ შეყვარებულ, ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელ, უზნეო ადამიანს ძალაუფლება, რომელიც ხალხის ჩაგვრაზე, წამება-დამცირებაზე იყო დაფუძნებული. ყოველივე ეს კი ნათლად და სარკესავით ჩანდა პენიტენციურ სისტემაში და ამის დამალვა უკვე აღარ შეიძლებოდა.

სისტემა ემსახურებოდა ადამიანის უფრო მეტად დეგრადირებას, გამწარებას. შედეგად ვიღებდით დანგრეულ ოჯახებს, რეციდივისტებს საზოგადოებაში და ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ საქართველოში თითქოს დემოკრატია ჰყვაოდა და ადამიანები ბედნიერად ცხოვრობდნენ.

დღეს ძნელია იმის თქმა, როდის გადავწყვიტე იმ უბედურებების გამოააშკარავება, რასაც ჩემი თვალით ვუყურებდი, რა უმძიმეს დღეშიც იყვნენ პატიმრები. ჩემთვისაც აუტანელი იყო, როცა, ვთქვათ, ციხის უფროსი ნაბახუსევზე პატიმრების ცემით გამოდიოდა. ეს ციხე აღარ იყო უკვე.

ჩემი თანამოაზრე და თანამშრომელი ენაკვიმატი **ელგუჯა ურუშაძე** საპყრობილეს „საწამებლებს“ ეძახდა ხუმრობით, მაგრამ სიმართლეც იყო ამაში.

სულ ვფხიზლობდი და ვებრძოდი საკუთარ თავს — ის, რაც ხდებოდა, არ გამხდარიყო ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავი და არ შევგუებოდი ყველაფერ ამას.

ისეთი გარემო იყო შექმნილი, კედლებიც შეღებილი იყო ისეთ ფერად, რომ ფსიქოლოგიურად ემოქმედა პატიმარზე და უფრო მეტად დაეთრგუნა იგი. მერე საკნებში თუ საკნებს გარეთ უკვე ფიზიკური ზეწოლა, ძალადობა და დამცირება მიმდინარეობდა.

ერთ-ერთი დირექტორი, მახსოვს, ნასვამი მოვიდა, კორპუსები „შევამოწმოთო“, გასცა ბრძანება და „სასეირნოდ“ გაჰყვა 5-6 თანამშრომელი. „შემოწმება“ ქანცის გაძრობამდე ცემას ითვალისწინებდა. დღემდე ვერავინ იტყვის, რომ ასეთი „გასეირნების“ დროს მე ვახლდი ვინმეს.

მერე გაღიზიანებული და გამწარებული პატიმრები, რომლებიც სხვა გამოსავალს ვერ პოულობდნენ, საკუთარ სხეულს ისახიჩრებდნენ — „ბრიტვით“, „სვარკის“ წიდით, კედელს ურტყამდნენ თავს...

ჩემი ოთახი მეორე სართულზე იყო. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, ყრუ ბრაგუნის მონოტონური ხმა გამიგონია. ისე მქონდა უკვე სმენა გამახვილებული, დარტყმა თავით იყო, მუშტით, ფეხით თუ რკინით, უკვე ვხვდებოდი და გავრბოდი ხმის მიმართულებით. იმ ხმას მივყავდი საკნამდე, კონტროლიორს ვაღებინებდი კარს და ვიწყებდი იმ ადამიანის დაშოშმინებას, ვეძახდი ექიმს, ვასმევდით დამამშვიდებლებს. ცოტა საქმე არ იყო, ადვოკატს თავგაჩეხილი ადამიანი ენახა...

განსაკუთრებული კოშმარი მაინც ღამის „დაკითხვები“ იყო. პატიმრების ახლობლებიც კი მოჰყავდათ და ტუსაღს ეუბნებოდნენ, რომ მის თვალწინ ძალადობას გამოიყენებდნენ მასზე, ანუ გააუპატიურებდნენ. განურჩევლად ყველასთვის შეიძლებოდა მსგავსი „გამოცდა“ მოეწყოთ გარკვეული მიზნის მისაღწევად.

ბევრი მინახავს, პატიმარი პოლიტიკოსებიც, საზოგადოებისთვის ნაცნობი სხვა პირებიც, რომლებიც დირექტორის კაბინეტში ყავას შეექცეოდნენ. ეს კი ბევრ რამეზე მეტყველებდა...

ერთ დღესაც სისტემის მასშტაბით, ყველა, 18-ივე დაწესებულებაში ვიდეოკამერები დაარიგეს. რეალური მიზანი? — პატიმრებისთვის კომპრომატების გადაღება, გაუპატიურების ანუ „გაქათმების“ სცენის, ან იმიტაციის შექმნა.

19 თუ 20 წლის პატიმარი ელდარ ქობალია ერთ ხანს ძლივს დადიოდა და დაჯდომაც არ შეეძლო, „დუბინკით“ იყო გაუპატიურებული მხოლოდ იმის აღიარებისთვის, რომ ის, თითქოს, სტრატეგიული ობიექტის აფეთქებას აპირებდა. ელდარ ქობალია კი, როგორც ეტყობოდა, გონებრივად ისედაც ჩამორჩენილი იყო, ამ ამბის მერე უფრო გამძაფრებოდა გონებრივი სისუსტე. ჩვენთან ზუგდიდიდან მოიყვანეს გაუპატიურებული და მერე რამდენიმე ხანს შემომჩივლებდა ხოლმე, როგორ „გაუკეთეს“ ხელკეტი...

ელდარ ქობალია სააკაშვილის ჯაშუშომანიას ემსხვერპლა.

მომდევნო დღეებში შემოვიდა სოდ-ი, კუდ-ი, მათაც იგივე საზიზღრობა გაიმეორეს და მერე აღარც მინახავს ცოცხალი.

ისე, მის გაუჩინარებას, ალბათ, კარგა ხანს ვერც აღვიქვამდი, „დუბინკა“ რომ არ მომეკითხა. როგორც წესი, ვიბარებდი ხოლმე ციხის „ინვენტარს“. „დუბინკა“ სად არის-მეთქი, რომ მოვიკითხე, გუშინ წაიღეს და გატყდაო, მითხრეს. მოვიძიე, რა, როგორ, რატომ-თქო და მალე გახდა ცნობილი, რომ ელდარ ქობალია გარდაიცვალა. ექსგუმაციამ კი დაადგინა, ქობალიას სიკვდილი გაუპატიურებამ გამოიწვია...

**(გაგრძელება იქნება)**

# „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებულმა ხმები ვაგზლის მოედანზე იყიდა?!

## varskvlavuri skandali telekompania `imedis~ garSemo grZeldeba

### იასენია, არამარტო აფხაზები, ჩვენ ქართველებიც, ძალიან ვამაყობთ შენით, გვიყვარხარ და ბოდიშს გიხდით, თუ გული გატკინეთ...

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას „სამ ტანცუეტ, სამ პაიოტ, სამ ბილეტი პრადაიოტ“, ანუ ვარსკვლავური სკანდალი ტელეკომპანია „იმედის“ გარშემო“, მკითხველის მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დიდმა ნაწილმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ იასენიას გავარდნა უსამართლობა იყო. შემოსული ზარების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ აშკარაა, რომ აფხაზმა გოგონამ ნანა არახამიამ (იასენია) ქართველი მაყურებლის გულები იმთავითვე მოიგო. მას გულგრილი არც ჟიურის წევრები დაუტოვებია. პროექტის დასრულების შემდეგ ჟიურის წევრებმა „საერთო გაზეთს“ გაუმხილეს, რომ მათი ფავორიტი იასენია (ნანა არახამია) იყო. თუმცა, მიუხედავად მაყურებლის და ჟიურის მხარდაჭერისა, იასენია ნახევარფინალიდან პროექტს გამოეთიშა. გაზეთის წინა ნომერში უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ პროექტის მოგება „ორი ვარსკვლავის“ სპონსორს მარიამ კუბლაშვილს ხვდა წილად და ძირითადი პრიზი ოროთახიანი ბინა საბურთალოზე სწორედ მან მოიგო. როგორც ერთ-ერთმა მკითხველმა გვითხრა — ამ სახლში, საკუთარ სამშობლოში იასენიასთვის ოროთახიანი საკუთარი ბუდეც ვერ გაიმეტესო. რეალურად, ეს საზოგადოების ბრალი როდია, რაზეც ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი. სტატიის გამოქვეყნების შედეგად განპირობებული მაყურებლის რეაქცია ცხადჰყოფს, ქართველმა მაყურებელმა სამშობლოს იძულებით მოშორებული აფხაზი გოგონა ძალიან შეიყვარა, რასაც გამარჯვებულზე, ნამდვილად ვერ ვიტყვით. ფინალში ყველა იასენიასა და ლევან ჩიჩუას ელოდნენ. სამართლიანობა მოითხოვს, აქვე აღვნიშნოთ, რომ ძალიან ბევრი გულშემატკივარი შეიძინა ლევან ჩიჩუამაც, რომელსაც მთელი სეზონის განმავლობაში სიტყვიერად ჟიური ყოველთვის აქებდა, როგორც გაირკვა ფავორიტებშიც ჰყავდათ, მაგრამ რატომღაც საქებარი სიტყვების შესაფერის ქულებს არ უწერდნენ, რაც საზოგადოების თვალს არ გამოპარვია. არც ისაა შემთხვევითი, რომ ფინალში, განსხვავებით მისი მეტოქისგან, ლევანის საკმაოდ ულიმღამო ცეკვა დაუდგეს, რაზეც უკმაყოფილება ჩვენთან საუბრისას ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა ინგა გრიგოლიამაც გამოხატა.




შოუ „ცეკვავენ ვარსკვლავები“ უკვე ოთხი წელია, რაც „იმედის“ სატელევიზიო ეთერში გადის. ამ ხნის მანძილზე, აფხაზმა კონკურსანტმა წელს, პირველად, მიიღო მონაწილეობა. იასენიამ ქართველ მაყურებელს პირობა მისცა — თუ გავიმარჯვებ, პირობას ვდებ, მხოლოდ ქართულად ვილაპარაკებო. აფხაზმა გოგონამ, ამით, გარკვეულწილად, აფხაზ და ქართველ ერს შორის ძმობისკენ, მეგობრობისკენ გადმოდგა ნაბიჯი, თუმცა ეს ნაბიჯი ჩვენ ისევ უკან გადავადგმევინეთ.

ერთ-ერთ ეპიზოდში იასენიამ ქართული ტურის დროს აფხაზური ცეკვა შეასრულა, რამაც მაყურებელი აღაფრთოვანა. მაშინ ბევრმა ისიც კი თქვა — წარმოშობით გაგრელი გოგონას ცეკვას პოლიტიკური ელფერი დაჰკრავდაო, თუმცა არაჩვეულებრივად შესრულებულმა ნომერმა, გულგრილი ვერც აფხაზი მაყურებელი დატოვა. ნანა არახამია, რომელიც პროდიუსერმა ნოე სულაბერიძემ იასენიად მონათლა, 21 წლისაა და რუსულ შოუ-ბიზნესის სამყაროში მას დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებენ.

ცოტა რამ მისი ბიოგრაფიიდან: ნანა სამი თვის იყო, როდესაც აფხაზეთში დაწყებული ომის გამო მისმა ოჯახმა გაგრა დატოვა და სოჭს მიაშურა. რამდენიმე წლის წინ კი მოსკოვში გადსახლდნენ, სადაც ცნობილი კომპოზიტორის ვიქტორ დრობიშის კასტინგში მონაწილეობამ ნანა იქაურ მსმენელს გააცნო. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ შოუს დაწყებამდე, მან ერთი კლიპი თბილისშიც გადაიღო. იასენია ქართულად ვერ ლაპარაკობს, თუმცა იმედი აქვს, რომ ამას მალე შეძლებს. სიმღერის ნიჭი პატარაობიდანვე გამოავლინა — როდესაც დედა იავნანას უმღეროდა, იგი, თურმე, ცდილობდა სიმღერას აჰყოლოდა. მომღერალი, რომელიც აღმოჩნდა, რომ ასევე შესანიშნავად ცეკვავს, ტკივილით იხსენებს იმ ამბებს, რაც მის ოჯახს თავს გადახდა. ომმა ოჯახი ორად გახლიჩა — მამის მშობლები, მამიდა და სხვა ნათესავები თბილისში წამოვიდნენ, წარმოშობით რუსი დედის ოჯახი კი აფხაზეთში დარჩა. ამიტომაც, ნანას აფხაზეთთან კავშირი დღემდე არ გაუწყვეტია. დარდობს, რომ მამამისი მშობლიურ კუთხეში ვერ ჩადის და ოჯახს შინ მშვიდად დაბრუნება არ შეუძლია. ქართველი ჟურნალისტების შეკითხვაზე, რას ჰმატებას მას „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობა, ასე უპასუხა:



იასენია

„ძალიან ბევრს. მე ხომ ქართველი ვარ, ამიტომაც საქართველოში ყოფნა მაბედნიერებს — ჩემს სახლში ვარ! თანაც როდესაც ასეთ სითბოს ვგრძნობ, შეუძლებელია, არ აღფრთოვანდე. უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, უფრო მოწესრიგებული გავხდი. ყველასი უზომოდ მადლიერი ვარ. პროექტის მსვლელობისას იასენიას აფხაზი გულშემატკივარიც ეხმიანებოდა: „მწერენ, მირეკავენ, მეუბნებიან ჩვენო ნიჭიერო, შენით ვამაყობთ, გგულშემატკივრობთო. აფხაზეთში ძალიან ვუყვარვარ ხალხს“.

კულუარებში ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ გამარჯვებული, აფხაზი მომღერალი იასენია გახდებოდა. ძნელი იყო ამას არ დასთანხმებოდი, რადგან ჟიური მას ყოველთვის მაღალ შეფასებას და ქულებს უწერდა. ბევრი იმასაც ამბობდა, რადგან იასენია აფხაზია მას გაამარჯვებინებენო. მართლაც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა ტელესივრცეში კვლავ მომგებიან თემად რჩება. თუკი აფხაზი გოგონა გაიმარჯვებდა, ამით აფხაზების გულსაც მოვიგებდით, თუმცა იასენიას საპროტექციო ნამდვილად არაფერი სჭირდა, იგი არაჩვეულებრივად ცეკვავდა. იასენია ჟიურის წევრების უმრავლესობის ფავორიტი იყო. ნახევარფინალიდან გავარდნის დღეს, მას, ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა სოფო შევარდნაძემ ასე მიმართა: „ძალიან ნიჭიერი ხარ, ყოველმხრივ შემკული. ერთ-ერთი ფავორიტი მონაწილე იყავი ჩემი და ამ პროექტს ძალიან გაუმართლა რომ შენ აღმოგაჩინა, დათანხმდი და მიიღე მონაწილეობა. იცოდე რომ აქ ყველას ძალიან შეუყვარდი და ყოველთვის ყველა გელოდება“.

მიუხედავად, იასენიას ძლიერი მონაცემებისა. პროგნოზი არ გამართლდა და იასენია პროექტს ფინალამდე გამოეთიშა. როგორც ამბობენ, იგი ძალიან განაწყენდა, მაგრამ ეთერში უკმაყოფილება არ გამოუთქვამს. „ცეკვავენ ვარსკვლავების“„ ფინალში კიდეც იმღერა და მისთვის განკუთვნილი საჩუქარი მეწყვილეს — ლევან ახვლედიანს დაუთმო.

ბუნებრივია, მაყურებელი უსამართლობამ გააღიზიანა, აქვე გთავაზობთ ჩვენი გაზეთის მკითხველის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომელიც მათ წინა ნომერში გამოქვეყნებული სტატიის პასუხად გაგვიზიარეს:

**თინა ჯ.**: „რაც „ცეკვავენ ვარსკვლავებში“მოხდა, ეს დიდი სიმახინჯე და ჩვენი სირცხვილია. გარდა წმინდა ეკონომიკური დანაშაულისა, რაც თქვენს წერილში წავიკითხე, იკვეთება სხვა ნიშნებიც, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 619528
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13053120
ამონაწერის მომზადების თარიღი: 30/05/2013 13:54:15

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს Luxury Cosmetics
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვ. ბოჭორიშვილის ქ., №37, ბ. 11
ელექტრონული ფოსტა: m_kublashvili@ymail.com
საიდენტიფიკაციო კოდი: 404447318
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 30/05/2013
მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრი
საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 08001006108, მარიამ კუბლაშვილი, დირექტორი, .

პარტნიორები

| | წილი | ანგარიშის ნომერი |
|---|---|---|
| 14595529, , მიხაელ ლუბარსკი, ისრაელი, | 70.00000000% | 404447318-SH-00001 |
| 08001006108, მარიამ კუბლაშვილი, | 30.00000000% | 404447318-SH-00002 |

გირავნობა

ყადაღა/აკრძალვა:
რეგისტრირებული არ არის
საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:
რეგისტრირებული არ არის

http://public.reestri.gov.ge 1(2



სერიოზულია. თავად განსაჯეთ, 4 წელია ეს შოუ მიდის. პირველად მოხდა ის, რომ შოუში მონაწილეობის სურვილი აფხაზმა გოგონამ გამოთქვა. ნაცვლად იმისა, რომ ქართველებს გულის რაღაც სიმი შეგვრხეოდა და ქართული სითბო გვეჩვენებინა, მას ხელი ვკარით. არ ვამბობ, პროტექცია უნდა გაგვეწია და ტურიდან ტურში დაუმსახურებლად გადასულიყო-მეთქი. კონკურსის მიმდინარეობამ აჩვენა, რომ მას საპროტექციო არაფერი სჭირდა. უბრალოდ, გულდასაწყვეტია ის, რომ სააკაშვილის დროს დაწყებულმა ანტიეროვნულმა მოძრაობამ კიდევ უფრო გაგვაუცხოვა და დაგვაშორა აფხაზს და აფხაზეთს".

**ეთერი ვ.:** „შვილო, გაუგონარი რამ მოხდა. დიდი მადლობა ამ წერილისთვის, თქვენ ხალხს თვალები აუხილეთ. როდემდე უნდა გვაყარონ თვალში ნაცარი? შანსი მოგვეცა, რომ ამ არაჩვეულებრივი მონაწილეს მეშვეობით ჩვენი და აფხაზი მოსახლეობის გულები შეერთებულიყო. აკი კიდეც თქვა იასენიამ, მე ქართველი ვარ, აქ ყოფნა მაბედნიერებს, ეს ჩემი სახლიაო. ჩვენ კი როგორ მოვიქეცით? — თავისი სახლიდან უკან გავაბრუნეთ. ხშირად ვამბობთ, ჩვენ უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთიო. მხოლოდ აქა იქ ისმის, რომ აფხაზი უნდა დავიბრუნოთ, უფრო სწორედ ერთმანეთს უნდა დავუბრუნდეთ, ერთის და მეორეს შემთხვევაშიც, გადარჩენის სხვა გამოსავალი, არ არსებობს. უერთმანეთოდ ვერ გადავრჩებით. ახლა, მაინც არ უნდა გაგვეაზრებინა, რომ სისხლისმიერი ნათესავი ერთმანეთის მეტი სხვა არც გვყავს და არც გვეყოლება? რატომ არ ფიქრობდნენ ამ განწყობაზე შოუს ორგანიზატორები, ჟიურის წევრები?"

**ნათელა ჩ.:** „ძალიან დამწყვიტა გული იასენიას გავარდნამ. მან სურვილი გამოხატა, საქართველოში, ამ პროექტში მიეღო მონაწილეობა, ჩვენ კი როგორ მოვიქეცით? იმის მაგივრად, რომ მისთვის გულის კარები გაგვეღო, გულგატეხილი გავუშვით. მან ჩვენსკენ გამოიხედა, ანუ ამით ხომ აფხაზეთმა — თითოეულმა აფხაზმა გამოიხედა ჩვენსკენ, მაგრამ ჩვენ უკან გავახედეთ. ამ გადაწყვეტილებით კიდევ უფრო დავშორდით აფხაზეთს."

**გურამი კ.:** „წავიკითხე თქვენი გაზეთი და აღშფოთებას ვერ ვმალავ. იასენიას ვგულშემატკივრობდი არამხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩვენი დაკარგული სხეულის ნაწილის შვილია, არამედ იმიტომაც რომ შესანიშნავად ცეკვავდა. უსამართლობა იყო მისი გავარდნა. ეს ქალი (მარიამ კუბლაშვილი) კი თურმე, როგორც თქვენ შეატყობინეთ საზოგადოებას, კომპანია „დეშელის" გენერალური დირექტორი და 30% წილის მფლობელი ყოფილა, ჩვენ კი შეგვაცოდეს დედ-მამამ სახლიდან გამოაგდო ამ შოუში მონაწილეობის გამოო. რა სჭირდა მაგას შესაცოდი? მადლობა თქვენ, რომ სიმართლეს ემსახურებით და ჩვენც გაგვაგებინეთ ეს სიმართლე. ამას სათანადო რეაგირება უნდა მოჰყვეს, თორემ ასე მუდმივად ამ მოჯადოებულ წრეზე ვიტრიალებთ და საშველი არ იქნება".



„საერთო გაზეთი" დაინტერესდა როგორ მიაგნო პროექტის ორგანიზატორებმა ნანა არახამიას და ჟიურის ერთ-ერთ გამორჩეულ წევრს რეჟისორ **ლევან წულაძეს** დაუკავშირდა:

**— ბატონო ლევან, ოთხი სეზონის მანძილზე, წელს პირველად, „ცეკვავენ ვარსკვლავებში" მონაწილეობა აფხაზმა მონაწილემ ნანა არახამიამ მიიღო. როგორ მოხვდა იგი პროექტში?**

— მე არ ვიცი, ნაკლებად ვიცი, ეს მენეჯერებმა იციან.

**— ვინ იყო თქვენი ფავორიტი პროექტში?**

— პირდაპირ გეტყვით, ჩემი ფავორიტი იასენია იყო.

**— ხშირად ამბობდით, რომ იასენია ფინალში გინდოდათ გეხილათ.**

— დიახ, მეც, ხალხთან ერთად, ასე მეგონა, რომ იგი ფინალში იქნებოდა იმიტომ, რომ ერთ-ერთი ყველაზე კონცენტრირებული, ძალიან მონდომებული და ყველაზე კარგად მოცეკვავე იყო, ეტყობოდა, რომ ტურიდან ტურამდე ძალიან იზრდებოდა და ასე მეგონა, რომ იგი ფინალში იქნებოდა. თუმცა, ვინც ფინალში გავიდა მათაც ვბალეშჩიკობდი — ქალბატონ ადვოკატსაც და თი-ელ-საც. მაგრამ, მეგონა, რომ იასენია ერთ-ერთი ფინალისტი იქნებოდა.

**— თქვენც უწინასწარმეტყველებდით მას გამარჯვებას?**

— რატომაც არა.

**— აფხაზებთან რთული დამოკიდებულება გვაქვს, ამ გადაწყვეტილებით ჩვენი ძმები აფხაზები კიდევ უფრო ხომ არ გავანაწყენეთ და დაახლოების ნაცვლად მათ კიდევ უფრო ხომ არ დავშორდით?**

— არ ვიცი, აბა, რა გითხრათ. ქართველმა მაყურებელმა გაიცანით ეს არაჩვეულებრივი გოგო და მანაც გაიცნო ქართველი მაყურებელი. ძირითადი, რაც ვარსკვლავისთვის აუცილებელია, ეს ამოცანა შესრულდა. მანქანას მოიგებდა თუ ბინას, ეს სხვა თემაა. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა ასე მომხდარიყო, მაგრამ მთავარი მიზანი შესრულდა — ჩვენ იგი გავიცანით.

**— მაგრამ იგი აქ ხომ გამარჯვებისთვის მოვიდა? პირობაც დადო თუ გავიმარჯვებ, მხოლოდ ქართულად ვილაპარაკებო.**

— ???

**— როგორც რეჟისორს მინდა გკითხოთ, რამდენად მნიშვნელოვანია როგორ ცეკვას დაუდგამ მონაწილეს? ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა გვითხრა, რომ გული დაწყდა, რადგან მარიამს უფრო ემოციური დადგმა ჰქონდა, თი-ელ-ს კი უღიმღამო.**

— ეს, რა თქმა უნდა, ბევრ რამეს წყვეტს იმიტომ, რომ გარდა მოძრაობისა და სიზუსტისა, არის კიდევ ენერგია რომელიც მოდის, ეს ძირითადია და საბოლოოდ, მაყურებელზე ძალიან მოქმედებს.

**— თი-ელ-ისთვისაც ცოტა უფრო ენერგიული ცეკვა რომ დაედგათ, შეიძლება სხვა შედეგიც მიგვეღო?**

— შეიძლება, რა თქმა უნდა, მისთვის უკეთესი ნომერი რომ დაედგათ, შედეგიც უკეთესი იქნებოდა. როგორც მე გავიგე, თავად ლოს-ანჯელესში, სადაც ეს შოუ დაიბადა, ნომრებს თავად მოცეკვავეები დგამენ. ამიტომ, უფრო მოტივირებულები არიან, რომ ცეკვა უკეთესი და უკეთესი იყოს.

**— ეს ხომ გამარჯვებისთვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია?**

— რა თქმა უნდა, კი.

**— ჩვენთან ვინ წყვეტს ვის როგორი ნომერი დაუდგას?**

— არ ვიცი, ალბათ, ქორეოგრაფები, არაჩვეულებრივი ხალხია, მაგრამ ხშირად, შემსრულებელზეც ბევრია დამოკიდებული. რაღაც მომენტებში მეგონა, რომ შემსრულებლებს მეტი შეეძლოთ, ვიდრე აკეთებდნენ.

**— რატომ დატოვა პროექტი მიშა მესხმა?**

— არა, არაფერი ისეთი, მართალი გითხრათ ეგ ყველაფერი ნაკლებად ვიცი.

**— ნახევარფინალში სმს-ების გამოგზავნის წესი შეიცვალა. რატომ, ვინ გადაწყვიტა ეს? ადრე ასეთი პრეცენდენტი არ ყოფილა.**

— ალბათ, უფრო მეტი ობიექტურობისთვის, რაც ბოლოსკენ უფრო მნიშვნელოვანია.

**— ბატონო ლევან, თუ იცოდით, რომ მონაწილე მარიამ კუბლაშვილი სილამაზის ცენტრ „დეშელის" გენერალური დირექტორი იყო?**

— არა, არ ვიცოდი, ძაან გამეხარდა, ახლა გავიგე.

**— ჟიურის წევრებს მონაწილეებზე ინფორმაციას არ გაწვდიან?**

— არა, არანაირად. ყოველშემთხვევაში მე არ მაქვს

**— მაშინ არც ის გეცოდინებოდათ, რომ მარიამი „იმედის" მეორე პროექტს „ორ ვარსკვლავს" სპონსორობდა?**

— რომელ მარიამზე ამბობთ?

**— კუბლაშვილზე. მისი კომპანია „დეშელი" „ორ ვარსკვლავს სპონსორობდა".**

— ძალიან კარგი. არა, არც ეს არ ვიცოდი. ვინც მოიგო იმაზე ამბობთ? მერე რა მოხდა?

**— იურისტების თქმით, ეს ინტერესთა კონფლიქტია და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მაყურებლის მასხრად აგდებაა, ხოლო მონაწილეები მასთან არათანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ.**

— ააა, ალბათ, მაგიტომ შეცვალეს ნახევარფინალში სმს-ების წესი და ერთი ნომრიდან მხოლოდ ერთი ზარი მიიღებოდა, ასე ხომ ვერაფერს იზამდა? ბოლოში ხომ წესი შეიცვალა და მნიშვნელობა აღარ აქვს რისი პრეზიდენტიც არ უნდა იყო, ერთი ზარი მიიღებოდა.

**— ანუ თქვენ თვლით რომ წესები ამიტომ შეიცვალა?**

— არ ვიცი, შეიძლება, ისედაც არაფერზე არ ვარ ინფორმირებული და ეს ჩემი საქმე არც იყო.

* * *

წესები ხომ შეიცვალა და ყველაფერი მოგვარდაო, აღნიშნა ბატონმა ლევანმა, მაგრამ ასე მარტივად როდია საქმე. როგორც გავარკვიეთ, წესების შეცვლა მონაწილეებმა მოითხოვეს, რის საფუძველზე, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ არა ძნელად მისახვედრი. თუმცა არავის ეგონოს, რომ წესების შეცვლამ „დეშელის" გენერალურ დირექტორს გამარჯვებისკენ მიმავალ გზაზე ხელ-ფეხი შეუკრა. სინამდვილეში, ქალბატონმა მარიამმა აქაც იმარჯვა. შოუს მსვლელობისას ხშირად გაიგონებდით დუტა სხირტლაძისგან მაყურებლისადმი მიმართულ ფრაზას —ამ პროექტში გამარჯვებულს თქვენ ირჩევთ, ამიტომ გააქტიურდით, გამოგზავნეთ სმსებიო. მას შემდეგ რაც წესები შეიცვალა და თითო ნომრიდან მხოლოდ ერთი ზარის მიღება გადაწყდა, სანდო წყაროს ინფორმაციით, ჩვენთვის კიდევ ერთი დეტალის შე-



სახებ გახდა ცნობილი. ამ პერიოდში, ვაგზლის ტერიტორიაზე, მობილურის ნომრების გამყიდველებთან ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა, რომელიც 5 ათასი ნომერის ყიდვას ითხოვდა. ბუნებრივია, 5 ათასი ცალი ახალი ნომერი ერთდროულად დილერებს არ აღმოაჩნდათ, თუმცა, ბაზარზე არსებული ნომრები მთლიანად შეიძინა, შემდეგ ახალგაზრდამ გამყიდველებს მობილურის ნომერი დაუტოვა და უთხრა: როგორც კი ნომრებს მიიღებთ, მაშინვე ამ ნომერზე დამირეკეთო. ამ ინფორმაციის გადამოწმება ჩვენც ვცადეთ და ვაგზალზე ამ ტერიტორიას ვეწვიეთ. რამდენიმე გამყიდველმა მართლაც აღნიშნა, რომ დადიოდა პიროვნება, რომელიც 5 ათასი ნომრის ყიდვით იყო დაინტერესებული. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ეს ნომერი შპს **Luxury Cosmetics**-ზე იყო გაფორმებული, რომლის იურიდიული მისამართი ბოჭორიშვილის ქუჩა №37 გახლდათ. მკითხველი რომ არ დაიბნეს, ეს სილამაზის ცენტრ „დეშელის" საფირმო სახელწოდებაა, რომლის გენერალური დირექტორი მარიამ კუბლაშვილი გახლავთ. ჩვენ ამ ნომერზე დავრეკეთ და სილამაზის ცენტრი „დეშელი" ვიკითხეთ, პასუხი დადებითი იყო. ახალგაზრდა კაცმა გვიპასუხა, რომ იგი ამ კომპანიის თანამშრომელია (ეს ის პიროვნებაა, რომელიც ვაგზალზე დარბოდა და 5 ათასი ცალი ნომრის ყიდვას გეგმავდა, რათა მის უფროსს სმს-ები თავადვე გაეგზავნა საკუთარი თავისთვის ავტ.). ახალგაზრდა კაცი არ დაგვზარდა და მარიამ კუბლაშვილის მობილურიც მოგვცა და ისიც გვაუწყა, რომ იგი ქალაქში არ იმყოფება. ამის მერე ძნელია სამართლიანობაზე, ობიექტურობაზე ილაპარაკო. ფაქტია, რომ გამარჯვებულმა მარიამ კუბლაშვილმა ჯერ სხვა გადაცემის სპონსორობით, მერე კი ვაგზალზე შეძენილი 5 ათასი ნომრით ფინალის მოგება შეძლო.

* * *

სტატიის გამოქვეყნების შემდეგ „დეშელის" აღმასრულებელი დირექტორი გიორგი (სამწუხაროდ, გვარის დადგენა ვერ მოხერხდა, როცა მასთან გასაუბრების სურვილი გამოვთქვით, მან დარეკილ ზარებს აღარ უპასუხა) დაგვიკავშირდა. თუმცა მან ბოლოს ჩვენთან შეხვედრას თავი აარიდა. აქვე, მოკლედ კომპანიის შესახებაც ვიტყვით ორიოდ სიტყვას: კომპანია „დეშელი" საქართველოში 2013 წლის ნოემბრიდან გამოჩნდა და მისი გენერალური დირექტორი ადვოკატი მარიამ კუბლაშვილია. კომპანია როგორც ჩანს, ჩვენთან პოპულარობით არ სარგებლობს, შედეგად, მათ კლიენტების მოსაზიდად საინტერესო ხერხი აირჩიეს, მახეში მეც გავები. გთავაზობთ, ერთ-ერთი კლიენტის მონაყოლს:

**ქრისტინა ნ.:** „ახალგაზრდა გოგომ დამირეკა — ქალბატონო დალი აქციაში მოხვდით და უნდა მობრძანდეთო. ვუპასუხე, არ ვარ დალი-მეთქი, მითხრა, მაგას არ აქვს მნიშვნელობა ალბათ, სახელი მეშლება, აქციაში ხართ მოხვედრილიო. ამის მერე სამჯერ დამირეკეს, სმს-ით შეტყობინებაც მომივიდა და მივედი. კონსულტანტმა როცა პროცედურა დაასრულა, მითხრა ახლა ფასებს გაგაცნობთო, მანამდე ვერ დავაცდენინე. დავხედე, 3 ათასი ლარი ეწერა. დღეს ვერ გადავიხდი-მეთქი, უტეხად მიპასუხა — ხელს რა გიშლითო. თანხა არ მაქვს-მეთქი. ეგ რა პრობლემაა განვადება გააკეთეთო. ვუპასუხე, ბანკთან ურთიერთობას ვერიდები, ისედაც ახლობლებს გამოვუტანე რაღაცები-მეთქი. ხოდა, მითუმეტეს, ახლა, თქვენს თავსაც გამოუტანეთო. სასტიკად ვიუარე, ბანკში ბევრი განვადება მაქვს და აღარ მინდა კიდევ ერთი განვადების დამატება-მეთქი. როგორ, თქვენ თვეში 30-50 ლარი არ გემეტებათ საკუთარი თავისთვისო, ვერ დამალა მრისხანება. რომ ვერაფერს გახდა, ცოტა ხანში კონსულტანტის ზედამხედველი შემოვიდა და ახლა მან შემომთავაზა ფასდაკლება და თან განვადება, ძლივს დავაღწიე თავი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საშინლად შეურაცხყოფილი დავბრუნდი. ძლივს დავიხსენი თავი. არაფრით არ გამომიშვეს სანამ ათი მახეში გასაბმელი ადამიანების სია არ დამატოვებინეს".

**P.S. ამ ყველაფრის მერე, ჩემი აზრით, უხერხულია და, არც მორალური უფლება აქვთ, ტელეკომპანია „იმედმა" მარიამ კუბლაშვილს ხალხის რჩეული უწოდოს. გაგრელი გოგონა, რომელმაც თქვა — ეს ჩემი სახლიაო და სამშობლოში დაბრუნების განწყობით ჩამოვიდა, ჩვენ უკან გავაბრუნეთ, ჩვენსკენ მობრუნებული კიდევ უფრო შორს გავახედეთ. ვფიქრობ, ამისათვის და პროექტში დატრიალებული არაერთი უმსგავსობისთვის მას ბოდიში უნდა მოვუხადოთ და ვუთხრათ, რომ არა მარტო აფხაზები, ჩვენც ვამაყობთ, ვგულშემატკივრობთ და გვიყვარს იგი.**

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ფხოვის საკრალურ დროთა მისტერია

## ქრისტეს დრო ფხოვის ხეობაში (წერილი XIII)



კობა არაბული

* * *

ქრისტეს დრო ფხოვის თემში ოცი საუკუნე იდგა! ამ დროს თემი ადის ცნობიერების სრულიად ახალ მწვერვალზე: ქრისტემდელი და ქრისტეს შემდგომი კულტურათა და რელიგიათა შერწყმით...

ო ორი ათასი წელი უძლებდა ეს ბრწყინვალე, თავისუფალი, ეგალიტარული თემი [დაცული კონფისკადორებისა და ყოველგვარი ძალადობისაგან] დროთა და მოვლენათა წარღვნებს– გამორჩეული თავისი უნიკალური სამეურნეო სისტემებით და ცხოველთა ჯიშებით, რჯულის კანონებით, რიტუალთა უნიკალობით, საომარი ხელოვნებით, "კაი ყმის" და ქალის კულტით, ხალხური მედიცინით, ხელსაქმით, რკინისა და სევადის ოსტატობით, ბუნების საიდუმლოს ცოდნით, წინაპართა ხსოვნასთან კავშირით, დროთა და მოვლენათა საკრალური ხედვით, საყმოს /თემის/ წევრთა თანასწორი-თავისუფალი იერარქიით...

სამწუხაროდ, ხევსურეთი XX-საუკუნეში აყარა და დაანგრია კაცობრიული ისტორიის ყველაზე სასტიკმა, ბარბაროსულმა "კასტამ"– ბოლშევიკების სახელმწიფომ! ამ "ჰიქსოსების"ეს დანაშაული საბედისწერო ჭრილობაა ქართველი ერისთვის...

ხევსურთა სამაგანძურო თემმა სცადა დაბრუნება და საკუთარი თავის აღდგინება ძველ მიწაზე, მაგრამ ფატალურ დროში ["უჟამო ჟამთა დგომის დროს"] ეს ვერ შეძლო...თუმცა უფალმა შეუნახა ანდრეზული ცოდნის გარკვეული ნაწილი, სული და აურა, რომელიც გამოსჭვივის "დამარხული" ისტორიის ნანგრევებიდან.

ფეს საუკუნე, ხევსურ ქადაგთა მიერ, დაწყევლილ დროდ და ეშმაკის საუკუნედ სახელდება...

სამწუხაროდ, დღემდე ვერც ერთმა ხელისუფალმა ვერ გააცნობიერა თემთა და კუთხეთა ეს ტრაგედია, სამწუხაროდ ჩვენი ყოველგვარი მცდელობაც "კედელზე შეყრილი ცერცვი" აღმოჩნდა... რაც შეიძლება ჩვენი ქვეყნის ფატალურ ბედისწერად იქცეს XXI-საუკუნეში!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

* * *

ახლა კვლავ პირველსავე სიტყვას მოვიდეთ:

ოთხი დრო უდგას ფხოვის საყმოს ანდრეზულ ხსოვნაში: ქრისტემდელი და ქრისტეს შემდგომი.

ქრისტემდელი ჟამნი განიყოფებიან ორად: წარღვნამდელი და წარღვნის შემდგომი: ანუ დრო "ადამის ჟამის" და ნოესი: ამ ორი ჟამის კაცნი და მოვლენანი ცხადად ჩანან ფხოველთა თემის ხსოვნაში:

"ადამის ჟმის" ძლიერი და მოუქნელი ადამიანის არსებობას ადასტურებს აქ მითი... მითი ადასტურებს აგრეთვე: "წინა ჟამის" — ანუ ქრისტემდელი წინარე ჟამის ["წარმართული"] არსების არსებობას, რომელიც "ნოეს კიდობნის" ცივილიზაციას მოჰყვა! ეს არის სრულიად ახალი "ჰომო ნოვუსი", რომელიც მკვეთრად უპირისპირდება: "ადამის ჟმის" გადმონაშთებს — და, ფაქტობრივად, ანადგურებს მათ... შესაძლოა სწორედ ამ დროს ასახავდეს კოპალა-იახსარის ომები დევ-დედაბრებთან და "ჩაბალ-ხეთებთან"..

აგრეთვე, ფხოვის საკრალურ სივრცეში იკვეთება წარღვნების კვალი: "დაქო-ეხები", "ჭიშ-ეხები", "აჭე-ეხები", "ვეშა-წყაროები". "ვეშაპის ეხები," გველის კულტი და — შუბანის სალოცავი (ნოეს კიდობნის გველი, ლუდის კულტი და უძველესი მედიცინა შედის ლიქოკის თემში).

ქრისტეს დროში დარჩა ყველა ის მოვლენა, რომელიც შე-



მოვიდა წარღვნამდელი და წარღვნის შემდგომი ცივილიზაციებიდან, ნაწილმა განიცადა მეტამორფოზა, ნაწილი უცვლელად დარჩა.

* * *

საყურადღებოა ერთი, ჯერ კიდევ აუხსნელი, სიზმარეული მოვლენა: ქრისტეს დროში კარგად შემორჩა ფხოვის თემს დევების ჭირდილი, დევების სინდრომი (შიში),

და დევების გზა კართანასთან, ირემთ კალოზე, გომეწარზე, საკერპოზე, ფხიტუზე, ხევაის კარაზე, ფსითხზე, გველეთის ხევზე, უკან ახოზე, როშკაზე, ციხე-გორებზე და ა.შ...აგრეთვე:

დევისგან გაჩენილი ხბოები...

დევი და ქალები...

დევ-დედაბრები...

მზე-მომსწვრალი ეშმაკები...

ზეცრიელნი-ხმელთ გადმოსული იუდანი...

ქვეცრიელნი,— ზეპურ ამოსულნი —ეს აუხსნელი და ახსნადი არსებანი(და მოვლენანი) ცხადად აყალიბებენ თემის ემოციურ ფონს და აზროვნებას, და გვიცხადებენ საკუთარ წარმომავლობას(თუ დავაკვირდებით).

* * *

ფხოვის ანდრეზულ სივრცეში მოძრაობენ არსებანი, რომელთაც შუბლზე ერთი თვალი უზის და ღამე გამოდიან... ზოგ შემთხვევაში დევებთან გაიგივებულია "მჭედლობა და მჭედელთ გორები", "საკერპოები", ფალოსურ-დიონისური მისტერიები: ისინი /დევები/ წვებიან ქალებთან(!..)რაც მათ შეძრწუნებას იწვევს.

ზოგჯერ პირუტყვი აჩენს დევის ჰიბრიდულ ნაყოფს, რომელსაც ღამით, სანეხვე ჯინით გარეთ გაათრევენ და "პატრონს" აბარებენ .../

ფხოვის საყმოში მოძრაობს ორი ტიპის დევი: ერთი უძველესი "ადამის ჟამის" დროინდელი

და ერთი გვიანდელი, რომელიც რამდენიმე ქართულ სიტყვასაც "ფლობს" – რაღაცას ეკითხება ("ხუა გაქუ?") და ისმენს ადამიანებისაგან, ზოგჯერ ფარულად სვამს სალოცავში მდგარ "სალუთო" ლუდიან კოდებსაც კი...

ერთი ტიპის "დევს" გარდასახვა შეუძლია და ადამიანს ეჩვენება (ელანდება) პირუტყვის: ვერძის, ვირის, თუ ხბოს სახით; შესაძლოა მეზობლის, ან ახლობელი ნათესავის სახითაც გამოეცხადოს...

გუდამაყრელ კაცს გზაში ვერძი ხვდება, კისერზე ისვამს და სახლში მიჰყავს: „—ვერძის ყვერნი მეგონეს და დევის ყვერნი ყოფილიყვნესო". სოფლის სალოცავს რომ მიახლოებია, ვერძი გამქრალა და კაცი რამდენიმე ხანს უგრძნობლად "დებულა" (ამ ტიპის ანდრეზული ინფორმაცი ბევრია).



დევი ფლობს ჰიპნოზურ ენერგიას: მას შეუძლია უზარმაზარი საგნების გადაადგილება, ადამიანების უგრძნობლად გადაგდება სრულიად სხვა ადგილზე... როგორც ვთქვით, დევებს აქვთ თავისი "გზები", სადაც "ხორციელნი" ერიდებიან სიარულს...

—ამ მისტიურ მოვლენებს აქვს თავისი ახსნა, რაც ცალკე ესეის თემაა.

"წინა ჟმის" ადამიანი და დევნი განირჩევიან ერთმანეთისაგან...

ამ დროს, ფხოვის საყმოში თემის ზნეობრივი სივრცის და საყმოს დასაცავად ჩამოდიან "ხთიშვილნი" და "კავშირს იჭერენ" "ხორციელთან"– ფხოვის ანდრეზულ დროში იბადებიან "ღთის ნასახნი,, და არსებობენ "ხთის შვილად" გარდაქმნილი ხორციელნი, ხოლო საყმოს საზღვარს იცავენ "საფარველ დადებული" მეომარნი და ღვთისშვილნი ერთდროულად!

ზოგადად, ხუთი ენიგმური ძალა იცავდა ფხოვის საყმოს:

-ღვთიშვილნი...

-ქადაგთა და ხევისბერთა კასტა...

-მკურნალთა და დოსტაქართა კასტა.

-უხორცო მისტიერ მეომართა კასტა.

-რჯულის კანონთა სიმტკიცე და ანდრეზული საკრალური ცოდნა, ანუ თემის, საყმოს მეხსიერება,—ეს იყო ფხოვის თემის ხანგრძლივი სიმყარის მიზეზი.

* * **

ქრისტეს შემდგომი დროც განიყოფებიან ორად: ნოეს შემდგომ და ქრისტეს წინარე "წარმართულ დროს" მოსდევს ქრისტეს ათასწლეული: ქადაგის სიტყვით, ეს არის უფლის დრო, "ანუ დღე დღესინდელი", ჩვენი წუთისოფლით.....

ფხოველ ქადაგთა და მესულთანე ნათელმხილველთა სიტყვით: XX – საუკუნით მთავრდება "უფლის დრო" და იწყება (დგება) სატანის საუკუნე! — ეს მეტად სახიფათო დროა კაცთა მოდგმისთვის: ჟამი "მეორე მოსვლის," ანუ იგივე "აპოკალიფსი" — ფხოვის ქადაგთა ხედვა და იოანეს "გამოცხადება" სრულიად ესადაგება ერთმანეთს!...

ეს არის "უჟამო ჟამი" — როცა დედამიწაზე ჩერდება ღვთის განგებულება და "ღვთის კამალაზე" ანგელოსთ ეშმაკნი ასწრებენ გადმოსვლას, და ეს "ეშმაკნი" მთლიანად ფარავენ ადამიანის საარსებო "ხმელს" (ხმელეთს)... და ხმელეთის დიდ ნაწილს მოიცავენ "სიმურის წყალნი" — წარღვნა...

ხოლო ყოველივე ამის მიზეზად (როგორც ბიბლიაში) აქაც ცხადდება ადამიანთა ზნეობრივი დაცემა: სექსთა შებრუნება, ზნეთა და თვისებათა ცვლა, კაცობრიობის მიერ უფლის ღალატი...

ამდენად: მოვლენანი, რომელთაც მოიცავენ წარღვნამდელი და წარღვნისშემდგომი, ქრისტემდელი და ქრისტესშემდგომი დრონი — შრეებად ლაგდებიან ფხოვის ანდრეზულ სივრცეში: განიყოფებიან და კვლავ ერთდებიან და ჟონავენ ერთმანეთში — პალიტრაზე დაღვრილი ფერებივით: და გამოსცემენ სხვადასხვა დროთა "მუსიკას"...

ქრისტეს დროში იფილტრება და მჟღავნდება წარღვნამდელი "ორივე ჟამის" რასათა მოძრაობა, კულტურათა და რელიგიათა დანალექი, აგრეთვე (ქადაგთა ხილვებში) წინასწარ ცხადდება ჯერ არ დამდგარ დროთა მისტერია...

ყოველივე ეს აღბეჭდილია ფხოვის ანდრეზულ მეხსიერებაზე, როგორც ფირზე – შეიძლება ითქვას, რომ ეს არის უნიკალური (უნივერსალური) "ფერადი ფირი" – იმერიის დასაბამიერი ცხოვრების "ჰოლოგრამა"

შავ-თეთრი მირაჟებით, რომელსაც გამჟღავნება სჭირდება!..

* * *

კავკასიის ზოლზე, იბერიის უძველეს თემებში, თანდათან ჩნდება "საფარველ დადებული"— "პეტროგლიფური" ქვები, რომელთაც ერთგვარი ასტრალური, აპოტროფეული ნიშნები ახატია და კოსმოგონიურ (ლოგოსურ) საიდუმლოს ინახავენ, რჩება შეგრძნება, რომ ეს ქვები აღნიშნავენ მოძრაობას მზიდან და მზისკენ და კოსმიურ წრებრუნვას...

ეს ქები, სხვებზე უწინარეს, ჩვენ შევამჩნიეთ (ავთანდილ არაბულმა და ამ წერილების ავტორმა) და აღვწერეთ "მყივანა წისქვილებში"(1984 წ). ერთ წერილში მე ვთქვი, რომ ისინი არიან: „მზის და მთვარის ტაძრებიდან ჩამოცვენილი ქვები და ჩაშენებული გვიანდელი ციხე—კოშკებისა და საკულტო ნაგებობების კედლებში", მაგრამ ეს იმას არ ნისნავს რომ ეს მართლაც ასეა, ანდაც არ შეიძლება რომ ასე იყოს!..

მე როცა ვახსენე "მზის ტაძრები," "ფალოსის ქვები" და ანთროპომორფული სხეულები, ერთერთმა ანთროფომორფულმა "პეტროგლიფმა" ხმა ამოიღო გუგულივით და იკითხა: „რა უნდოდა აქ-ფხოვში მზის ტაძრებს და ფალოსის ქვებსო?!" ეს კითხვაც არსებობს, —მართლაც რა უნდოდა და საიდან მოვიდნენ ისინი აქ?!— ხახმატის, გველეთის, საჩალის წვერის, კარატის სალოცავებში, სადაც ჯერ კიდევ სამანებივით უყუდია "კუტმალალის" და ფალოსის ქვები...სადაც "ჩლიქმირგვალს" სწირავდნენ და დღემდე შემორჩა ქალის გაშვილიერების და მზის მისტერიები!..

....ასეა, არის ადამიანების კასტა, რომლებიც, თითქოს რაღაცას ხედავენ და ვერ ხედავენ, არსებობს სულიერი და მისტიური ხედვის დალტონიზმი, მაგრამ არის ფსიქოტიპი, ადამიანის ჯიში, რომელსაც შეუძლია გაიგონოს გუგულის ნათქვამი: „რას მერჩოდი თვალი რომ გამომთხარე, გაზაფხული ხომ თქვენთვის მე მომყავდაო?!"

მთავარია, მიწიდან გამქრალი და სივრცეში აღბეჭდილი ნასოფლართა და ნატაძრალთა შემჩნევა, დროში დამარხული მოვლენების დანახვა, თორემ მთვარეს ტურებიც ხედავენ...

* * *

როგორც ვთქვით ქრისტე პირველსავე საუკუნეებში დგება ფხოვის საკრალურ დროსა და სივრცეში "ჰაო-ხიხის" სახელით...

ქრისტეს დედის სახე ფხოვში— "დედა ბურაულის" სახელით დგება – ესეც ქადაგის (ხუცესის) საიდუმლო სიტყვაა და ქრისტეს დედის მისტიურობაზე (და "სადაურობაზეც") მიანიშნებს.

"დედა ბურაული" – შემცველია ქარიზმული საიდუმლოსიც – მას ამ სახელით "საფარველი ადევს" და "ბურუსით იმოსება" – იგი მიუთითებს მოვლენის სიძველეზე: და ქრისტეს (და ღვთისმშობლის) დამკვიდრების რთულ დროზე – პირველსავე საუკუნეებში;

ქრისტეს დრო ფხოვის თემში, ეტყობა, ქრისტეს პირველივე მოციქულთა (ანდრია პირველწოდებულის და კანაანელის) შემოსვლიდანვე დგება: მცხეთის კარით და ჩრდილოეთის კარით — (კოლხეთის, სვანეთის, დვალეთის, ალანეთის) გავლით (იხ. ლ. მროველი) შედის იგი ამ უძველეს "საყმოში" და ფუძნდება გერგეტზე, ხადუს მთაზე – ცროლზე, მაყაწალზე, საჩალის წვერზე, კარატის მთაზე, ხახმატისა და გუდანის უძველეს სალოცავებში – მზის სარიტუალო ცენტრებში!

ხოლო ვინ არის "ბერი ბაადური" რომელიც გერგეტიდან ჩამოდის ფხოვის საკრალურ ცენტრში, აარსებს და მირონს აძლევს "საღვთო გუდანის ჯვარს" – სადაც მზის, ანუ ("ათენგენის") რიტუალი ღვივის?!

- "შენა ხარ პირველი კოლხელი, რომელმაც გისაღირსლა მირონი გუდანის ჯვარო..." – ბევრი საიდმლოს შემცველია ეს მისტიური სახუცო ფრაზა...

იქნებ სწორედ ანდრია პირველწოდებულისა და ქანაანელის წარგზავნილთაგანია ბერი ბაადური, რომელმაც მირიანის და ნინოსი უწინარეს დაამკვიდრა აქ პირველი იუდაურ-იერუსალიმური ქრისტიანული რწმენა...და არც მახვილის "წარმართვა" დასჭ ირვებია მას!

"ჰაო-ხოხი" (როგორც "დედა ბურაული") ქრისტეს რჯულის პირველ მორწმუნეთა საიდუმლო საკრალური სიტყვაა, შეფუთული ("საფარველ დადებული") ქრისტეს რჯულის მდევართა და მწვალებელთა "დასათრიმლად".

მინდა მკაფიოდ ვთქვა:



—V-საუკუნეში სახელმწიფო-ბიზანტიური რელიგია ებრძვის ფხოველთა იერუსალიმურ რჯულს ქრისტესას, დამკვიდრებულს ჯვრის სახით!

XII-საუკუნეში კი თამარის ლაშქარი ფხოვში ებრძვის ტახტის მემკვიდრე დემნას, რომელსაც მხარს უჭერენ ფხოველნი!- ამას ამბობს ანდრეზი. იგი ქვემო ფხოვში (ფშავში)ღვთიშობლის ადგილზე სვამს თამარის კულტს, ხოლო თეთრი გიორგის კულტს ცვლის ლაშა გიორგის სახით.

* * *

ფხოვის საყმოში:

ქრისტეს დედა, ანუ "დედა ბურაული" ადგილის დედის, (ნაბაკურის, თელამეშის) ადგილში დგება!

სოფლებს ერქმევა "მარიამ წმიდები", "დედოფლის სოფლები" და ყველა წმინდანთა სახელები.

ხეობებს და მთებს — "ანგელოზთა მთები და ხეობები." მთლიან ფხოვის საყმოში ჯდება ჯვარი, ქრისტეს რჯულის პირველი იერუსალიმური იპოსტასი (ატრიბუტი) – (ფხოვის ცნობიერებამ დღემდე "ხატის" მნიშვნელობას არ იცის)!

უუძველესი "ჯვარი" ჯდება პურზე, სამოსზე, ავეჯზე,-ბორჯღალთან ერთად. სალოცავებს ერქმევა – "ჯვარნი"! -

შემდგომ "წმინდა გიორგის ერწყმის მთავრე" და ყველა თემში დგება წმინდა გიორგის ნიში!

ორშაბათი – მთვარის დღე (თეთრი გიორგი) ფხოველთათვის რჩება უქმედ! მხოლოდ /კარატეს მთაზე/ კოპალა – იახსარის და პირქუშის კულტს ვერ ცვლის წმინდა გიორგის კულტი: ისინი ერთგვარ "დუალმისტურ" სახეს იღებენ...

ყველა მთავარ საკულტო ცენტრებში (გუდანი, ხადუ, ზეისტეჩო და ა.შ) დგება მორიგე ღმერთი...

ქრისტე — საკრალური (სახუცო) ტექსტის მიხედვით— "ღვთის კარზე მოკარვე კვირაეა" – "დიდება დიდს კვირაესა ღვთის კარზე მოკარვესა"...კვირაეს საბრძანისი ატაბეა!

მორიგე მამა ღმერთი – არის "დღე დღესინდელი"...

"დიდება ღმერთსა,
მადლი ღმერთსა – დღესა დღესინდელსა,
დიდება მზესა, მზის მყოლთა ანგელოზთა,
დიდება დიდს კვირაესა
ღვთის კარზე მოკარვესა..."

– აი,ათენგენის" საკრალური ჰიმნი – საგალობელი მზის და უფლის...

ფხოვში განსხვავებულად ყალიბდება მზის და მამა ღმერთის გარდასახვის პროცესი ქრისტეს რწმენაში და სამების (სანების) პოსტულატი! სამება თითქოს ცალკე დგას!!! – ფხოველი ხევისბერნი მას ცალკე იხსენებენ, როგორც განყენებულ სალოცავს – თითქოს ვერ აცნობიერებენ: მამა ღმერთის, ძე ღმერთის და სული წმიდის ერთ არსებას.

როცა ანგელოზნი, წმინდა გიორგი და კვირაე "ბურბულეთის მთაზე" მზის ბურთით ბურთაობენ – ეს მზეთა ქრისტეს დროში გარდასახვის ფხოურ-იბერიული მისტერიაა!

* * *

ამ წერილის დასასრულს მინდა ვთქვა, რომ ფხოვის მითებში კარგად იკვეთება დრამატული კლიმატური გრადაციები, რასაც თან სდევდა საზოგადოებრივი და რელიგიური პროცესები: ფხოვის საყმოს ცნობიერების ცვლა, რამდენადმე კლიმატური კატაკლიზმების თანხვედრია.



როგორც ჩანს უძველესი მზის და მთვარის "ზიკურატები," სულკალმახის მზიური კოშკები და ქრისტეს პირველი ტაძრები ფხოვის მწვერვალებზე (სანე, ფხიტუ, საჩალე, კარატე, ხადუ, ცროლი, მახაწალი, გერგეტი, ბეთლემი და სხვა) "ზამთრის არ ცოდნის", ანუ უთოვლობის ჟამს იგებოდა...

ანდრეზული გადმოცემის მიხედვით უწინ – ძველ დროში, აქ თოვლი არ სცოდნია და როცა პირველად მოსულა თოვლი ხალხს ფქვილი ეგონა და ასაკრეფად გაქცეულა... ეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობაა ანდრეზთა წიაღში შეფუთული — "თოვლი ფქვილი ჰგონია" – იმდენად წაშლილა ზამთრის ხსოვნა საყმოს (თემის) მეხსიერებიდან...

... და შემდეგ მოსულა ისეთი თოვლი და ზამთარი, რომ "მთებზე გულაღმა დაწოლილი ჩიტი ცას ბრჭყალებით მიბჯენია"... მითმა ტყუილი და "ხუმრობა" არ იცის, ამდენად ეს ინფორმაცია მეტად საგულისხმოა...

ამ დროს მწვერვალებზე ხადუს მთაზე (ცროლზე), მახაწალზე, ფხიტუზე, კარატეზე, ციხეგორზე (და სხვა) ტაძრები ქრება — მათ "საფარველი ედება" – უფლის მიერ (რომელსამე დრომდე), და ეს მოვლენა ანდრეზშივეა ახსნილი, როგორც ადამიანთა გაურწმუნების, ზნეთა და თვისებათა ცვლის, მოვლენათა შებრუნების – შედეგად მოვლენილი სასჯელი.

ამ საზოგადოებისთვის სრულიად უცნობმა კლიმატურმა მოვლენებმა მთლიანად შეცვალა ქრისტეს წინარე და ქრისტიანული ფხოვის დემოგრაფიული და არქიტექტურული სივრცე (ლანდშაფტი) – მწვერვალებიდან "საკულტო კერებმა" ჭალის პირებში და მთის ძირებში ჩამოინაცვლეს და მცირე საკულტო ნიშებად და ბაზილიკებად (დარბაზებად) იქცნენ...

ხოლო საყმოს ანდრეზულ მეხსიერებაში დარჩა ის დრო, როდესაც ცროლის მთაზე "ქვებიც კი თბილი იყო", "ცეცხლი და სანთლები თავისით ინთებოდა" – და მლოცველს ოფლი სდიოდა...

* * *

ფხოვის ანდრეზული ცოდნის მიხედვით: ფხოვის თემი ორჯელ, ორი სხვადასხვა კლიმატური მოვლენისგან აყრილა:

ერთხელ "გამყინვარებისგან" —როდესაც ფხოველთ ბოლო დოლი, სანეს მთაზე, ივლისში "ათენგენობის დროს" რაკზე (გამყინვარებულ თოვლზე) ჩაეტარებია და მერე აყრილან! ესეც საგულისხმო სიგნალია: "ივლისში გამყინვარებული სანეს მთა" და დოლი – ყინულზე (რაკზე).

მეორეჯერ, საშინელი სიცხის შედეგად აყრილა ფხოვი: "შვიდი წელი ცვარი არ ჩამოვარდნილა ციდან" – მთებს ალმური ასდენია, ნამდვილი "ილიონი" დამდგარა! — თემი მაშინაც აყრილა და წასულა...

თუ რომელ დროთა კლიმატური კატაკლიზმებია ამ მითებში აღბეჭდილი – საკვლევია...

შესაძლოა ქრისტეს წინარე და ქრისტეს პირევლი საუკუნეებიც იყო უთოვლო – როცა მწვერვალთა სალოცავებში "ქვებიც კი თბილი იყო" და ცროლის ტაძარში ცეცხლი და სანთლები თავისით ინთებოდა... თორემ გამყინვარების ჟამს ვერ აიგებოდა ვერც გერგეტი და ბეთლემი...

მერე დაეცა მძიმე ზამთარი და ქარიშხალმა ყველაფერი შთანთქა.

აი, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი (სხვა მოვლენათა შორის), რამაც მწვერვალებზე სალოცავების ნგრევა და პრეისტორიულ თემთა (კუთხეთა) დემოგრაფიული კატასტროფა განაპირობა...

ჩვენ თუ მოვუსმენთ მითებს და ვისწავლით მათ ახსნას, ჩვენთვის ბევრი რამ ნათელი გახდება: სიგნალებს წარსულიდან და მვლიდან მტები გამოგცემენ!

ახლა შეიძლება ითქვას კვლავ იწყება დროთა შებრუნება და ჭალის ტყეები მწვერვალებზე ადიან, ხოლო გერგეტის მყინვარი დნება...

შესაძლოა იბერიაში და ფხოვის თემში დროთა ცვლის სრულიად სხვა კლიმატური ფაზა ჩამოდგეს, ანუ ვითარცა რუსთაველი ბრძანებდა— "დრო მოვიდეს შარშანდელი".

**(გაგრძელება იქნება)**

„საერთო გაზეთის“ სტუმარია **კახა კუკავა**



# კახა კუკავა:

## თქვენ იცით, მაგალითად, რომ ნინო ბურჯანაძის პარტია „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ საერთოდ არ მონაწილეობდა ამ არჩევნებში და რასაც ნინო ბურჯანაძე უკეთებდა რეკლამას, სინამდვილეში, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ იყო?

**— თქვენი გადაწყვეტილების შესახებ, რომ დროებით პოლიტიკას ჩამოსცილდებით, უკვე შევიტყვეთ, მაგრამ რამ გადაგაწყვეტინათ ეს ნაბიჯი გადაგედგათ?**

— პარტიას სჭირდება ახალი სტრატეგია, რათა უფრო რეალისტური შედეგები ვაჩვენოთ მოცემულ სიტუაციაში.

მოცემული სიტუაცია გულისხმობს იმას, რომ საქართველოში არ არის ჩვეულებრივი ვითარება. აქ არის ოლიგარქიული მმართველობა, ოლიგარქიული სტრუქტურა ისეთივე, როგორიც, მაგალითად, მე-20 ს-ის 60-70-იან წლებში იყო ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ან აფრიკის ბევრ ქვეყანაში, როდესაც ფულით იყიდებოდა ყველაფერი.

ნახეთ უკვე, არჩევნებისთვის „გუდვილმა“ და „მაკდონალდსმა“ ფასდაკლებები გამოცხადეს, ასეთ დროს მე რითი უნდა გამეწია კონკურენცია, ან ჩემს პარტიას, როცა ეს მაფიოზები, კრიმინალური ფული, ჭყონიების იქნება თუ სხვა უამრავი ბიზნესმენის, პოლიტიკაში არის ჩადებული. ამას ჩვეულებრივი საარჩევნო წესით წინააღმდეგობას ვერ გაუწევ. როგორ უნდა მოხდეს ამ სისტემის რეფორმა, დანგრევა და დაშლა და რამდენად არის ეს, რეალურად, შესაძლებელი, ამაზე ყველა ერთად უნდა ჩამოვყალიბდეთ.

ყველაფერი დღესავით ნათელია. ბიძინა ივანიშვილმა ჩაატარა ექსპერიმენტი. ის არ არის უჭკუო ადამიანი და ყველაზე ცუდი კანდიდატურა შეარჩია თბილისის მერად. მან ეს ექსპერიმენტი წარმატებით ჩაატარა. შექმნილ ვითარებაში ჩვენ გავაგრძელოთ კედელზე თავის ბრახუნი, უაზრობაა. ამ საქმეში ჩადებული იყო 100 მლნ. დოლარი და ამ ფულს წინ ვერავინ ვერ დაუდგებოდა.

ჩვენი კაპიტალი ფინანსურ ბაზარზე ნულის ტოლია. მილიარდერები – ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში ტრიალებენ და იოლად ყიდულობენ სატელიტ პარტიებსაც.

ჩვენი ბლოკი პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველო“ და „ახალი მემარჯვენეები“ დაიჩაგრა იმის გამო, რომ, პრაქტიკულად, ჩვენ ვიყავით ერთი საარჩევნო სუბიექტი, რომელიც არც ერთ და არც მეორე ძალასთან არ ვიყავით კულუარულ გარიგებაში. სხვა ძალებმა არჩიეს კულუარული გარიგებები და მიიღეს შედეგები.

**— ბოლო დღეებში სოციალურ ქსელში გივი თარგამაძესთან ერთად გადაღებული თქვენი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატი ქალბატონის ფოტოები გავრცელდა. ამასთანავე, ის აღნიშნავს, რომ მერის კანდიდატურაზე ნაციონალების კანდიდატს ნიკა მელიას უჭერდა მხარს. იქვე წერდნენ თქვენსა და სააკაშვილის ფარულ გარიგებებზე. რას იტყვით ამაზე?**

— თქვენ ნინო ბორჩხაძეზე ლაპარაკობთ. დიახ, მან მხარი დაუჭირა „ნაციონალურ მოძრაობას“. ჩვენ პარტიაში გვყავს ადამიანები, რომლებიც „ოცნების“ კანდიდატებს მიემხრნენ. მაგალითად, ხელვაჩაურის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება ამის თაობაზე. ჩვენ, პარტიამ, რამდენიმე დღის წინ უკვე ვთქვით, რომ ეს არის მათი პირადი პოზიცია და ისინი ამას აკეთებენ პარტიის მიღმა. ჩვენი პარტიის ხელვაჩაურის თავმჯდომარემ ბატონმა ღოღობერიძემ პარტია დატოვა და ხმამაღლა განაცხადა, რომ მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“, ბორჩხაძემ თქვა, რომ მხარს უჭერს „ნაციონალურ მოძრაობას“.

პარტიის ვებ-გვერდზე დევს ჩვენი პოზიცია. ჩვენ ვაცხადებთ, რომ არც „ოცნებას“ და არც „ნაციონალებს“ მხარს არ დავუჭერთ. ეს არის, როგორც პარტიის, ასევე მთლიანად ბლოკის პოზიცია. იმ 1500 კანდიდატიდან, რომლებიც ჩვენ ამ არჩევნებზე გვყავდა, თუ ვინმეს აქვს იმის სურვილი, რომ მხარი დაუჭიროს „ოცნებას“, „ნაციონალებს“ ან სხვებს, ეს არის მათი პოზიცია და როცა პარტიას დატოვებენ, ჩვეულებრივად შეუძლიათ ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის გვერდით დადგნენ. ბორჩხაძის პოზიცია მისი პირადი პოზიციაა და პარტიასთან ამას არავითარი შეხება არ აქვს. სხვათა შორის, ის არც ყოფილა პარტიის წევრი. უბრალოდ, კანდიდატი იყო. არჩევნების დასრულების შემდეგ კი პროცესი დასრულდა და შეწყდა.

**— თქვენ პარტიის ახალ სტრატეგიაზე საუბრობდით. რა სტრატეგიაა ეს, როგორ და რა ფორმით აპირებთ პარტიული საქმიანობის გაგრძელებას?**

— ახალ სტრატეგიაში მე ვგულისხმობდი იმ მეთოდებს, როგორ უნდა დავპირისპირებოდით ოლიგარქიულ მმართველობას, რომელსაც, ცხადია, მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობით ვერ შევძლებდით. ამიტომ სხვა მეთოდებია მოსაძებნი.

**— „ნაცმოძრაობა“, როგორც ოპოზიციური ძალა რომ აღარ არსებობდეს, თქვენი აზრით, ვინ იქნებოდა პირველი ოპოზიციური პარტია, რომელიც მთავარ ოპოზიციურ ძალად აღიქმებოდა?**

— „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიცია არ არის. ჩვენ მათ ოპოზიციად არ აღვიქვამთ. არც სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები არიან რეალური ოპოზიციონერები. ისინი არიან ერთი და იგივე სისტემის კლანები, როგორიც არის, მაგალითად, „კოზა ნოსტრა“, სადაც კლანები ებრძვიან ერთმანეთს, სინამდვილეში კი ერთნი არიან და მათ სიცილიური მაფია ჰქვია. საქართველოშიც ეს არის ერთი მაფია. „მოქალაქეთა კავშირი“, „ნაცმოძრაობა“ არის ერთი და იგივე მაფია, კლანები, რომლებიც გადატრიალების შედეგად მოვიდნენ, ქვეყნის ბიუჯეტი ხელში ჩაიგდეს და როცა ამბობენ, რომ მათ შორის დაპირისპირება არსებობს, ეს არის კლანური დაპირისპირება თანამდებობების და გავლენებისთვის. ეს არ არის დაპირისპირება იდეების და იდეოლოგიების გამო და თქვენ ხედავთ კიდევაც, ყველა საშინაო თუ საგარეო საკითხზე ერთი და იგივე პოზიცია აქვთ.



აქედან გამომდინარე, „ნაცმოძრაობა“ ოპოზიცია არაა.

ჩვენ წარმოვადგენთ სისტემის ოპოზიციას, არა რომელიმე მინისტრის, ან გავლენის ჯგუფის ოპოზიციას, როგორც ჩვენთან არის მიღებული, არამედ ჩვენ ვართ სისტემის ოპოზიცია. ესაა განსხვავება ჩვენსა და მათ შორის.

**— რა ნიშნით შეარჩიეთ საარჩევნოდ პოლიტიკურ ბლოკში „ახალი მემარჯვენეები“, რომლებიც თქვენგან სრულიად განსხვავებული მიმართულების ძალა იყო?**

— ჩვენი მიზანი ის იყო, რომ, რეალურად, თუ გვინდოდა, „ოცნების წინააღმდეგ“ ბრძოლა, ყველა არასაპარლამენტო ოპოზიცია უნდა გაერთიანებულიყო ერთ ბლოკში. იყო სწორი იდეა, თუმცა ვერ განხორციელდა, რადგან არასაპარლამენტო ოპოზიციის ცალკეულ ჯგუფებთან „ქართულმა ოცნებამ“ მიაღწია კულუარულ გარიგებებს. ამიტომ ჩვენ „ახალი მემარჯვენეები“ იდეოლოგიური თანხვედრის გამო კი არ ამოგვირჩევია, უბრალოდ, ისინი დასთანხმდნენ ჩვენ იდეას ბლოკის თაობაზე. სხვებმა, როგორც გითხარით, კულუარული შეთანხმებები გამართეს მმართველ ძალასთან.

**— მაგალითად, ვინ გააფორმა კულუარული შეთანხმება, რომელმა პოლიტიკურმა ძალამ, შეგიძლიათ ეს დაასაბუთოთ?**

— მაგალითად, **ნინო ბურჯანაძემ იყიდა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, მაგრამ ამის შესახებ მედიას ინფორმაცია არ მოუწოდებია და არც ცესკოს შეუშლია ხელი მისი რეგისტრაციისთვის.**

თქვენ იცით, მაგალითად, რომ ნინო ბურჯანაძის პარტია „დემოკრატიული მოძრაობა—ერთიანი საქართველო“ საერთოდ არ მონაწილეობდა ამ არჩევნებში? და რასაც ნინო ბურჯანაძე უკეთებდა რეკლამას, სინამდვილეში, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ იყო?

იცოდით ამის შესახებ?

**— ?**

— ნინო ბურჯანაძე გახლავთ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე.

დიახ, მოხდა ასე, „შავი“ ფული დატრიალდა და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარედ აირჩიეს ნინო ბურჯანაძე, თუმცა არჩევნების დროს ეს დამალეს და თქვეს, რომ ეს იყო ბურჯანაძის პარტია.

აი, კონკრეტული მაგალითი.

თუ პრესა ან ტელევიზია საზოგადოებას ინფორმაციოას არ მიაწვდის, ვერასდროს გაიგებს ხალხი და ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა.

**— ნინო ბურჯანაძე პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგა?**

— დიახ, გადადგა.

ჩემი პარტიის მაჟორიტარმა ფოტო გადაიღო გივი თარგამაძესთან დილით და საღამოს უკვე იცით და ნინო ბურჯანაძე ორი თვეა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარეა და ეს არავინ არ იცის. ხომ ხვდებით, როგორ ხდება ყველაფერი.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ ყოველთვის ხელისუფლების სატელიტი იყო. ის კვლავ ხელისუფლების სატელიტად დარჩა და ნინო ბურჯანაძემაც ეს გარიგება მიიღო.

**— ხომ არ ნანობთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში რუსული ორიენტაციის პოლიტიკური გზა აირჩიეთ, ამან არ გაამართლა, როგორც ჩანს და თქვენ, როგორც იტყვიან, „აბსაიტში“ აღმოჩნდით?**

— არა მგონია, გადამწყვეტი მომენტი იყოს. გადამწყვეტია ის, რომ ჩვენ რა ფსონიც დავდეთ, იმის აქციები დაეცა. ბოლო ათი წელიწადია უარი ვთქვით ყველანაირ ფინანსურ წყაროებზე, მთავრობებთან კულუარულ გარიგებებზე და ფსონი ქართულ საზოგადოებაზე დავდეთ, რომ ის პრინციპებს დააფასებდა.

ქართველმა ამომრჩეველმა პრინციპები დააფასა ორ პროცენტად.

საქართველოში დღეს პრინციპების და იდეოლოგიის ფასი ბაზარზე 2%-ია.

***კახა კუკავას მოწოდებული ინფორმაციის დასაზუსტებლად დავუკავშირდით „დემოკრატიული მოძრაობა—ერთიანი საქართველოს“ პრესსამსახურის უფროსს ბაკურ ბაკურაძეს.***

**— გამარჯობა, ბაკურ, კომენტარი მინდა გთხოვოთ.**

— მითხარით, რა თემაზე.

**— რა თქმა უნდა, პარტიის თემაზე.**

— რა საკითხზე, კონკრეტულად, რადგან მე ქალაქში არ ვარ და არ ვიცი, ვიქნები თუ არა საქმის კურსში.



**— ერთი პოლიტიკოსის ინტერვიუს ვბეჭდავთ, სადაც ამბობს, რომ ქალბატონი ბურჯანაძე...**

— რომელი პოლიტიკოსის?

**— კახა კუკავას.**

— ბოდიში, მაგრამ კუკავას ნაბოდვარზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# საქართველო კავკასიაში დასავლეთის დასაყრდენი ხდება

*გვესაუბრება „ევრაზიის ინსტიტუტის“ ექსპერტი, პოლიტოლოგი* **გიორგი ვეკუა.**

**- ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ფაქტს როგორ შეაფასებთ. ზოგიერთი ამბობს, რომ ეს უფრო ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმება იყო, ვიდრე პოლიტიკური.**

- არავითარ შემთხვევაში. ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება არის ევროკავშირის და ზოგადად, დასავლეთის პოლიტიკის გამოხატულება, რომლის მიზანია მსოფლიოში დომინირება და საკუთარი „ფასეულობების“ თავზე მოხვევა მთელი მსოფლიოსთვის. საქართველოს და მთლიანად კავკასიის ტერიტორიას გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია ისეთი „დიდი მოთამაშეებისთვის“, როგორებიცაა დასავლეთი, რუსეთი და ა.შ.

კავკასიის მასშტაბით საქართველო თანდათან ხდება დასავლეთის დასაყრდენი კავკასიაში ფეხის მოსაკიდებლად, ისევე როგორც თავის დროზე ქართლ-კახეთის ტერიტორია იყო რუსეთის დასაყრდენი კავკასიაში დამკვიდრებისთვის. ეკონომიკური თვალსაზრისით ეს ხელშეკრულება არათუ სარგებელს ვერ მოუტანს საქართველოს ეკონომიკას, არამედ დიდი რისკების შემცველიცაა.

**— როცა საქართველოს ევროსტრუქტურებში გაწევრიანებაზე არის საუბარი, როცა ნატოზე მიდის მსჯელობები, თქვენი აზრით, უმჯობესი პოლიტიკური მიმართულება საქართველოსთვის რომელი იქნებოდა და რატომ?**

— ე.წ. ევროატლანტიკური კურსი სრულიად უპერსპექტივოა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. ეს იცის ქართული პოლიტიკური ელიტის დიდმა ნაწილმაც, მაგრამ მათ უბრალოდ არ შეუძლიათ გადაუხვიონ იმ გზას, რომელიც 90-იან წლებში გაბატონდა საქართველოში, შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირში გამოჩეკილი ე.წ. რეფორმატორების აქტიურობის შედეგად, რომლებსაც წარმართავდა დასავლეთი.

დღეს ნებისმიერი მეტ-ნაკლებად აქტიური პოლიტიკოსი საქართველოში გაბმულია დასავლური სპეცსამსახურების, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების დახლართულ ქსელში, საიდანაც თავის დაღწევა მათთვის ძალზე რთულია, პრაქტიკულად შეუძლებელი. თუკი რომელიმე მათგანი რეალურად დააპირებს ამის გაკეთებას, მაშინვე ამუშავდება განშტოებული სისტემა და ეს პოლიტიკოსი მარგინალად იქცევა.

და პირიქით, თუ ქართველი პოლიტიკოსი ერთგულად ასრულებს ევროპელი „პარტნიორების“ (უფრო სწორად კი, პატრონების) მითითებებს, მას მწვანე შუქი ენთება ქართულ პოლიტიკაში.

თეორიულად რომ ვიმსჯელოთ, რა თქმა უნდა, საქართველოსთვის გაცილებით უფრო ბუნებრივი და მომგებიანია დაახლოებით იმავე კურსის არჩევა, რომელსაც ატარებს მეზობელი სომხეთის რესპუბლიკა - რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობები, ამავე დროს დასავლეთთან პარტნიორული კავშირების შენარჩუნებით.




მაგრამ ამის განხორციელება, როგორც ვხედავთ, საკმაოდ რთულია. პრობლემა ისიც არის, რომ თავად რუსეთში ძალზე ძლიერია პროდასავლური ძალები, მათ შორის ხელისუფლებაში, რომლებიც არ აძლევენ რუსეთს საშუალებას, მისივე საკუთარი ინტერესები ბოლომდე გაატაროს კავკასიის რეგიონში. ჩვენ ვხედავთ, რომ ხშირად რუსეთიც ვერ ან არ იჩენს სათანადო აქტიურობას იმისთვის, რომ განამტკიცოს პოზიციები საქართველოში.



**- საქართველო რუსეთისთვის საჯილდაო ქვაა, სავაჭრო მონეტა თუ თავის სატკივარი?**

- დიახ, საქართველო გადაიქცა დასავლეთის იარაღად რუსეთის და არა მარტო რუსეთის, არამედ სხვა ქვეყნების (მაგალითად, ირანის და ა.შ.) წინააღმდეგაც. ეს პროცესი ბოლომდე არ დასრულებულა. რაც უფრო მეტად მოხდება საქართველოს შეყვანა სხვადასხვა დასავლური სტრუქტურებში, მით უფრო მეტად გადაიქცევა საქართველო იარაღად და ინსტრუმენტად და მით უფრო მეტად იქნება უგულვებელყოფილი თავად საქართველოს ფუნდამენტური და ობიექტური ინტერესები.

რაც შეეხება რუსეთს, როგორც აღვნიშნე, მას ჯერჯერობით არ ძალუძს ბოლომდე დაუპირისპირდეს დასავლეთს, ამიტომ ვერ ახერხებს საქართველოში აშშ-ევროპისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას. ერთადერთი, რაც რუსეთმა შესძლო, იყო ის, რომ ორ რეგიონზე (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) კონტროლი დააწესა და იქ სამხედრო ბაზები განალაგა. ასევე, მოსკოვი ცდილობს შეანელოს დასავლურ სტრუქტურებში (მათ შორის, ნატო-ში) საქართველოს შეყვანის ტემპი. ეს არის და ეს.

**- როგორც თქვით, არც რუსეთში არის სტაბილური და ერთგვაროვანი ვითარება. კონსერვატორებსა და ნეოკონსერვატორებს ფაშისტურ ორგანიზაციებთან ერთად პროდასავლელები და თვით ანარქისტებიც ემატებიან.**

- გეთანხმებით, ეს მართლაც ასეა. დღეს თავად რუსეთში ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ რუსეთის ხელისუფლებაში არსებობს ე.წ. მეხუთე კოლონა, ანუ პროდასავლელი პოლიტიკოსების და მენეჯერების ჯგუფი. პირველ რიგში, ისინი კონცენტრირებული არიან ეკონომიკური და საფინანსო ბლოკის უწყებებში, ბანკებში და სხვა, საიდანაც დიდ ზეგავლენას ახდენენ რუსეთის პოლიტიკურ კურსზე. ასევე დიდწილად მათ ხელშია კონტროლი მას-მედიის საშუალებებზე.

უფრო მეტიც, რუსული პოლიტიკის ზოგიერთი ფიგურა ალაპარაკდა ე.წ. მეექვსე კოლონაზეც, ანუ ისეთ პოლიტიკოსებზე, რომლებიც, მეხუთე კოლონისგან განსხვავებით, თითქოსდა პატრიოტულ და ანტიდასავლურ პოზიციებზე დგანან, მაგრამ სინამდვილეში ამ კურსის ჩუმ საბოტაჟს ეწევიან. ეს ტერმინი შემოიტანა, მაგალითად, ცნობილმა რუსმა ნაციონალისტმა ალექსანდრ დუგინმა.

დუგინი და სხვა რუსი ნაციონალისტები სასტიკად აკრიტიკებენ ამ „მეექვსე კოლონას“ და მოუწოდებენ პრეზიდენტ პუტინს, რომ გამოვიდეს მისი ზეგავლენიდან და საბოლოოდ დადგეს ანტიდასავლურ პოზიციებზე. მაგრამ პუტინი ჯერჯერობით კვლავ ბალანსირების პოლიტიკას განაგრძობს და არ სურს მკვეთრად დაუპირისპირდეს დასავლეთს.

თუმცა, აქ ერთი მომენტიცაა, რომ თავად რუს ნაციონალისტებს და ანტიდასავლურ ძალებს არ აქვთ ჩამოყალიბებული მკაფიო იდეოლოგია, თუ რა სურთ მათ და საითკენ უბიძგებენ რუსეთს. ანტიდასავლურ ფლანგზე ერთმანეთს უპირისპირდებიან მემარჯვენე რუსული ნაციონალიზმი მონარქისტული შეფერილობით, რომელიც ნატრობს მეფის რუსეთის მსგავსი იმპერიის აღდგენას, მემარცხენე ინტერნაციონალიზმი საბჭოთა კავშირი 2-ის აღდგენის ლოზუნგით, ევრაზიონიზმი და სხვა მიმართულებები.

მათ შორის მიმდინარეობს კამათი არა მხოლოდ შიდა პოლიტიკის, არამედ საგარეო პოლიტიკის კუთხითაც. მაგალითად, ზოგი მათგანი მომხრეა იმისა, რომ რუსეთი მთლიანად დასავლეთს კი არ დაუპირისპირდეს, არამედ მხოლოდ ამერიკას და დიდ ბრიტანეთს (ე.წ. ანგლოსაქსები), ხოლო ევროპასთან (გერმანია, იტალია, საფრანგეთი და სხვა) შექმნას ერთიანი კავშირი, რომელიც გადაჭიმული იქნება ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე. ზოგი მხარს უჭერს ჩინეთთან სტრატეგიული ალიანსის შექმნას და ა.შ.



თუ არ მოხდა ამ განსხვავებული პოზიციების რაღაცნაირად დაწმენდა, შეჯერება და დაახლოება, ანტიდასავლური ვექტორი რუსეთში კვლავ დაქსაქსული იქნება. რაც შეეხება საქართველოსთან კავშირს, ჩვენი ღრმა რწმენით, კავკასიაში რუსეთის გააქტიურების გარეშე საქართველო კვლავ დარჩება დასავლეთის ხელში ბრმა იარაღად, რაც კიდევ არაერთ უბედურებას მოუტანს მას.

**— რას გულისხმობთ?**

— მაგალითად, დღეს საქართველოში მასმედია ამკვიდრებს აზრს, რომ თითქოს დასავლეთი მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. სინამდვილეში, უკვე იკვეთება იმის ნიშნები, რომ ეს მხოლოდ დეკლარაციებია და საქმე სრულიად სხვაგვარად არის. საქართველოს მოსახლეობა მალე, მაქსიმუმ რამდენიმე წელიწადში ნათლად დაინახავს, თუ როგორ უბიძგებს დასავლეთი საქართველოს მთავრობას აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო აღიარებისკენ და მათთან, როგორც „თანასწორ პარტნიორებთან“ სულ უფრო მრავალხმრივი კავშირების დამყარებისკენ. დე-ფაქტო აღიარებას წლების შემდეგ გარდაუვლად მოყვება დე-იურე აღიარებაც.

ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. არანაკლებ მძიმე შედეგები გველის ჩვენ ე.წ. „დასავლური ფასეულობების“ დამკვიდრებით, რაც ნაწილობრივ უკვე აისახა ასოცირების ხელშეკრულებაში და მთელ რიგ კანონებში, რომელიც საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო ამ ბოლო თვეებში.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მრავალი ასეთი კანონის გატანა მოხდება უახლოეს 5-10 წელიწადში. ის დაპირება, თითქოს ევროკავშირი და დასავლეთი „პატივს სცემს“ „ტრადიციულ ღირებულებებს“ და არ აპირებს სხვა მოთხოვნების დაყენებას, გათვლილია ძალზე გულუბრყვილო ადამიანებზე, რომლებსაც არ აქვთ ინფორმაცია ევროკავშირის პოლიტიკის ფუნდამენტური მიმართულებების შესახებ.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# ტრაგიკული ისტორია ქალბატონისა, რომელსაც უდანაშაულო მეუღლის დაცვა არ აპატიეს და მრავალშვილიანი დედა და ბებია მრავალწლიანი სასჯელისთვის გაწირეს

წინამდებარე სტატიაში შემოგთავაზებთ იმ ადამიანის ისტორიას, რომელსაც უდანაშაულო მეუღლის დაცვა არ აპატიეს და მრავალშვილიანი დედა და ბებია ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით მრავალწლიანი სასჯელისთვის გაწირეს. მძიმე ავადმყოფმა ქალბატონმა ორი წელი ციხეში გაატარა და მხოლოდ ავადმყოფობის გამო სასჯელის გადავადების შედეგად დააღწია თავი საპყრობილის კედლებს. მან ყოველი წლის აპრილში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა უნდა ჩაიტაროს და დასკვნა წარუდგინოს, როგორც პროკურატურას, ისე სასამართლოს. დალი ხაინდრავა თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს, მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადახედვას ითხოვს და ათასობით ჩვენი თანამოქალაქის მსგავსად, მოთმინებით ელის ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნას, რომელიც ახალი ხელისუფლების მთავარი დანაპირები იყო, თუმცა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

**ᲓᲐᲚᲘ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐ:**

„2008 წლის ივნისში დამაკავეს ძველი თბილისის პოლიციის I განყოფილების თანამშრომლებმა. მინდა გითხრათ, რომ მხოლოდ ეს ორი თანამშრომელი, უბნის ინსპექტორ-გამომძიებლები გიორგი დარჩიაშვილი და გიორგი ყველაშვილი იყვნენ ბრალდების მოწმეები, მათ გაჩხრიკეს ჩემი სახლი და ნარკოტიკი „აღმოაჩინეს". დარჩიაშვილი უმაღლესი განათლების არმქონედ არის დაფიქსირებული საქმის მასალებში, ხოლო ყველაშვილს საშუალო განათლებაც კი არ ჰქონდა. ამ დაკავებიდან მოკლე ხანში დარჩიაშვილმა თავი მოიკლა, ხოლო ყველაშვილი ნარკოტიკით დააკავეს. 35 გრამი ნარკოტიკი წინდაში ჰქონდა, ასევე ამოუღეს შპრიცი ნარკოტიკით და თავადაც ნარკოტკის ზემოქმედების ქვეშ იყო. ეს ყველაფერი ციხეში ყოფნისას ტელევიზიით ვნახე. პოლიციელებმა თავიდან ჩემი მეუღლე რეზო წიკლაური იკითხეს, ის რომ არ დახვდათ ხელმძღვანელობას დაუკავშირდნენ, სახლში მხოლოდ მისი მეუღლეა და მითითება მიიღეს, რომ მე წავეყვანე. მერე რა დაგეგმეს, საიდან აღმოჩნდა ჩემს სახლში ნარკოტიკი არ ვიცი. ალბათ, თვითონ ჩადეს, ყველაშვილი თუ ასე დადიოდა ნარკოტიკით, „ჩადება" რაღა პრობლემა იყო, თუ ჩემი მეუღლის დაჭერა უნდოდათ, მე რა შუაში ვიყავი? დაკითხვა თუ უნდოდათ, სახლში დავეკითხე. მართალია ნარკოტიკი (ჰეროინი) მე „მომაწერეს", მაგრამ ვერ დამიმტკიცეს რომ ჩემი იყო, რადგან არც მომხმარებელი ვიყავი და არც რეალიზაციაში ვიყავი შემჩნეული. ნარკოტიკის უკანონო შეძენა-შენახვა დამაბრალეს. პროკურორი ლერი სარაიდაროვი სისტემატურად დადიოდა ჩემთან ციხეში და მთხოვდა, მიშველეთ და მე თქვენ დაგეხმარებითო. საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე რეზო ნადოი) 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯა, სააპელაციო სასამართლომ ექვსი წლით შემიმცირა სასჯელი. განაჩენი უზენაეს სასამართლოში გავასაჩივრე, რომელმაც ხელახლა განსახილველად დააბრუნა სააპელაციო სასამართლოში, რადგან ჩემს მიმართ მტკიცებულება არ იყო და ვადა მისცა იმის გამოსაკვლევად, ვის ეკუთვნოდა „ამოღებული" ნარკოტიკი. ჩემი საჩივარი დავით სულაქველიძემ, იური ტყეშელაშვილმა და პაატა სილაგაძემ განიხილეს და მოითხოვეს, რომ მხოლოდ მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში დატოვებდნენ განაჩენს ძალაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ხაინდრავა გაათავისუფლეთო".



ᲓᲔᲓᲐ-ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲔᲑᲘ

დალი ხაინდრავას განცხადებით, პოლიციამ მისი სახლიდან უამრავი ძვირფასეულობა, ნივთები და ფული წაიღო, რაც ოფიციალურ დოკუმენტში გაატარეს, იმასთან შედარებით ზღვაში წვეთია. პოლიციამ მას „ბმვ"-ს მარკის ავტომანქანაც ჩამოართვა. დღეს ეს ყველაფერი გამქრალია, მათ შორის ოფიციალურად დაფიქსირებულიც, ვინ რა მიითვისა მათმა მფლობელმა არაფერი იცის. იგი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი ხსენებული პოლიციის ხელმძღვანელობის გაკეთებულია პროკურორთან შეთანხმებით.

**ᲓᲐᲚᲘ ᲮᲐᲘᲜᲓᲠᲐᲕᲐ:** „ამ უკანონო დაკავების გამო ნერვიული სტრესი მივიღე, წელს ქვემოთ მოვწყდი, კი არ წამიყვანეს, წამიღეს და მატარეს საავადმყოფოებში. „კაპეზემ" (წინასწარი დაკავების იზოლატორი) ჩემს მიღებაზე უარი თქვა, ამ მდგომარეობაში ვერ მივიღებთო. „არამიანცის" საავადმყოფოს რომელიღაც ექიმს დააწერინეს, რომ შეიძლებოდა ჩემი მიღება. ერთი სიტყვით, აიძულეს „კაპეზეს" ხელმძღვანელობა, რომ მივეღე. როგორც გითხარით, უზენაესმა სასამართლომ საქმე უკან დააბრუნა და ამის მერე დაიწყო პროკურორმა ლერი სარაიდაროვმა სასჯელაღსრულების ქალთა დაწესებულებაში სიარული. სამუშაო საათების მერე მოდიოდა და სთხოვდა დაწესებულების უფროსს მედიკო ალანიას შევეხვედრებინე. იგი გარიგებას მთავაზობდა, თუ „დანაშაულს აღიარებთ", სამედიცინო ექსპერტიზას ჩაგიტარებთ, დაიწერება დასკვნა, რომ მძიმე მდგომარეობაში ხართ და ე.წ. აქტიროვკით გაგათავისუფლებთო. უარი ვუთხარი, ამაში თქვენი დახმარება არ მჭირდება, მე ისედაც მძიმე ავადმყოფი ვიყავი (დიაბეტი, მაღალი წნევები, ტრომბი), თქვენ უარეს დღეში ჩამაგდეთ, ჩემი დიაგნოზი დასკვნაში თქვენი ჩაწყობის გარეშეც ჩაიწერება-თქო. არ ჩადენილი დანაშაული როგორ მეღიარებინა? ხომ ვიცოდი როგორ დადიოდა პოლიცია და „არიგებდა" ნარკოტიკს დასაჭერი ხალხის სახლებში თუ ჯიბეებში. ჩემი მეუღლისთვის „ჩასადები" საერთო სარდაფში „ჩადეს", რომელიც სულ ღიაა და ორი შესასვლელი აქვს, ქუჩიდან და ეზოდან. მოსამართლეებსაც ვეცოდებოდი, რას ერჩიან ამ ქალს, არაფერი უმტკიცდებაო".

**- მართლაც რას გერჩოდნენ ქალბატონო დალი?**

- გარკვეულ პირებს (პოლიციის ჩინოსნებს) ჰქონდათ ინტერესი ჩემი ოჯახისა და მეუღლის მიმართ. ერთი იყო ფულადი ინტერესი, მაშინ საშაურმეებს ვფლობდი სააკაძის მოედანზე, რიგები იდგა, ესენი გვითვალთვალებდნენ და შემოსავლებს ითვლიდნენ. მეორე მიზეზი კი ჩემი ჩემი მეუღლის მიმართ დაპირისპირება იყო. იგი ორჯერ დააკავეს ნარკოტიკთან დაკავშირებით და ორივეჯერ გამართლებით გამოვიდა. მიზეზს ეძებდნენ, რომ როგორმე გამოეჭირათ, ციხეში შეებრუნებინათ და ის გამამართლებელი გადაწყვეტილებები გაებათილებინათ. რეზო წიკლაურს ორივეჯერ „დაუდეს" ნარკოტიკი, მაგრამ ეს მალევე გაირკვა. 2004 წელს ჩემმა ქალიშვილმა ნათიამ (ის მაშინ 8 წლის იყო) დაინახა როგორ შემოვიდა და დაყარა შსს-ს აგენტმა ქალმა ნარკოტიკი იატაკზე, ხოლო მისმა მხლებელმა პოლიციელმა ფეხით შეაცურა მაგიდის ქვეშ, რომ მერე იქიდან „ამოეღო". ბავშვმა ეს ყველაფერი თქვა პროკურატურაში. „ნაციონალები" მაშინ ახალი მოსულები იყვნენ ხელისუფლებაში, იმიჯს უფრთხილდებოდნენ თორემ იგივე მოხდებოდა, რაც ჩემს შემთხვევაში მოხდა. როგორც გითხარით, პროკურორს გარიგებაზე უარი ვუთხარი, ბოლომდე გამართლებული უნდა გავიდე ციხიდან-თქო. ამის შემდეგ კიდევ იყო რამდენიმე მცდელობა, ადვოკატიც მომიგზავნეს, აღიარე „დანაშაული", რომ როგორმე გააღწიო აქედან, შენს მდგომა-



ᲠᲔᲖᲝ ᲜᲐᲓᲝᲘ

რეობაში მყოფი დიდხანს ვერ გაძლებ, მოკვდებიო. ათი დღის ვადა მომცეს, დავთანხმდი, მართალია, დამნაშავე არ ვარ, მაგრამ გარიგებაზე თანახმა ვარ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დრო მაქვს რომ ჩემი სიმართლე დავამტკიცო-თქო. სამედიცინო ექსპერტმა სოსო ბახტაძემ თქვა, ასეთი არაფერი მინახავს, უამრავი მძიმე ავადმყოფი პატიმარია, მაგრამ უფლებას არ გვაძლევს პროკურატურა, რომ ეს დავწეროთ. დალი ხაინდრავა მართლაც მძიმე ავადმყოფია, მაგრამ მისთვის ობიექტური დასკვნა რომ დავწეროთ, ამის შესახებ ოჯახის წევრები კი არა, პროკურორი გვეხვეწება, თანაც გვაჩქარებსო. პროკურატურამ მერე რაღაცეები შეცვალა, არც ვიცი ხელი რაზე მომაწერინეს, ისიც მეეჭვება ჩემი ხელმოწერა თუ არის იმ დოკუმენტზე, რომლითაც სახელმწიფოს ვჩუქნი „კონფისკირებულ" ქონებას, ეს არ იყო ჩვენს პირობაში. კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩატარება მინდოდა. საბუთები წესიერად არც წამაკითხეს, ისე ჩქარობდნენ, ერთი სული ჰქონდათ ჩქარა გამოვეგდე ციხიდან. ერთი წელი და ათი თვე ვიჯექი, იმ პერიოდში მოხდა „მატროსოვზე" ქალი-პატიმრების ბუნტი. მათ მიმართ ერთი წელი „შტრაფნოი" გამოცხადდა, სასამართლო პროცესები არ ტარდებოდა. მეც მოვყევი ამ რეპრესიაში, ჩემი საქმის სასამართლო განხილვაც შეჩერებული იყო, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობა რომ მიმძიმდებოდა, საავადმყოფოში გავდიოდი მკურნალობას. ბოლოს ჯანმრთელობის გამო გამათავისუფლეს. ისევ მსჯავრდებულად ვითვლები, თუ გამოვჯანმრთელდი, წესით ციხეში უნდა დამაბრუნონ. რა გამომაჯანმრთელებს, ქრონიკული ავადმყოფი ვარ, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გადაადგილება მიჭირს.

დღემდე არ ვიცი რატომ წაიღეს ჩემი სახლიდან ფული, ძვირფასეულობა, ავტომანქანა, თვითონაც არ იციან. პროკურორმა მითხრა, არ არსებობს ეს ყველაფერი და როგორ უნდა დაგიბრუნოთო, თვითონ დაინაწილეს და შეჭამეს. რატომ უნდა მეჩუქებინა ყველაფერი სახელმწიფოსთვის ხუთი შვილის დედას და ხუთი შვილიშვილის ბებიას, ვალი მქონდა თუ რა? საოპერაციო ვარ, მაგრამ უსახსრობის გამო ვერაფერს ვახერხებ. ციხიდან გამოსულს აღარაფერი დამხვდა, სახლი იპოთეკით იყო დატვირთული, ციხეში არსებობა ხომ მინდოდა. თავშესაფარი არ მქონდა, ერთი წელი პატარა ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით მთელი ოჯახი, საშაურმეებიც აღარ მაქვს, რადგან საბურთალოს ქუჩაზე დაინგრა ის შენობები, ბინა უნდა მოეცათ, თუმცა ჯერ არ აშენებულა. ჩემს ციხეში გაშვებასა და გაუბედურებაში დიდი „წვლილი" მიუძღვის ძველი თბილისის პოლიციის განყოფილების უფროსის მაშინდელ მოადგილეს, გოგიტა ჰქვია, გვარი არ მახსოვს. ჩემს დაჭერამდე რამდენიმე ხნით ადრე შემხვდა და დამემუქრა, თუ მშენებარე კორპუსში ბინას ან კომერციულ ფართს არ მომცემ შენს ქმარს დავიჭერ, ბინა არ მაქვს, ბანკმა წამართვაო. ათ დღეში დამიჭირეს. მერე გოგიტა კახეთში გადაიყვანეს სამუშაოდ, იქიდანაც გაუშვიათ, ახლა სადღაც დაცვაში მუშაობს.

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

2004 წლიდან მოყოლებული ჩემი მეუღლის გამო მუდმივად ტერორში ვიყავი, თუ რაიმეზე პრეტენზიას გამოვთქვამდი, მისი დაჭერით მემუქრებოდნენ. ჩემთვის ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც არაფერი შეცვლილა. ამ უბედურების შემოქმედი ხალხი თანამდებობებზე რჩებიან, მაგალითად, რეზო ნადოი სასამართლოდან მთავარ პროკურატურაში გადაიყვანეს. ვინც არ არის თანამდებობაზე, იმათზეც ზრუნავენ, რომ უკან დააბრუნონ, თუნდაც იგივე გიორგი ყველაშვილი, რომელიც ციხიდან გამოუშვეს და ახლა თურმე პოლიციაში დაბრუნება უნდა. ისეთი გავლენიანი მფარველი ჰყოლია, ალბათ ამასაც მიაღწევს.

ოჯახური ტრაგედიის გამო ალბათ, ყველაზე მეტად მაინც პატარა ნათია ხაინდრავა (ის დედის გვარს ატარებს) დაზარალდა. როცა დედა დაიჭირეს იგი მაშინ 12 წლის იყო, სკოლაში ველარ დადიოდა, რადგან მათი ბინა ახოსპირელის ქუჩაზე დალუქული იყო, ოჯახი ხან სად აფარებდა თავს და ხან სად. ნათიას ორი წელი გაუცდა, თუმცა ვერც დედის ციხიდან გამოსვლის



შემდეგ შეძლო სკოლაში (№67 სკოლა) სიარული ისევ უბინაობის გამო. ოჯახმა გადაწყვიტა ბავშვი როგორმე მოემზადებინა და მას ექსტერნად ჩაებარებინა საატესტატო გამოცდები. ნათიამ გამოცდები წარმატებით ჩააბარა, თუმცა ნიშნები რატომღაც არ დაუწერეს. არადა, ვინც მისგან გადაიწერა გამოცდების დროს, იმ ბავშვებმა უპრობლემოდ მიიღეს ნიშნები. რატომ დაჩაგრეს ისედაც ტრამვირებული ბავშვი პედაგოგებმა, ამას მარტივი ახსნა ჰქონია, სკოლის დირექტორ ქეთინო სამადაშვილს თვალში არ მოსვლია ბავშვის პოლიტიკური „გემოვნება". როგორც ნათიას მშობლებმა გვითხრეს, გოგონა 2012 წელს „ქართული ოცნების" კოორდინატორი იყო, მიტინგებსაც აქტიურად ესწრებოდა. ქალბატონ სამადაშვილს რამდენჯერმე გაუფრთხილებია, „ქართული ოცნების" მაისურით სკოლაში არ მოხვიდეო. ქეთინო სამადაშვილი დირექტორობამდე ამავე სკოლის მასწავლებელი იყო, მისი ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი ვანო მერაბიშვილის ახლობელი ყოფილა. როგორც სკოლაში ამბობდნენ სამადაშვილი დაუახლოვდა „ძლევამოსილი" ვანოს ახლობელს და მისი დახმარებით დირექტორობას გამოჰკრა ხელიო, თუმცა ჩვენ ამ ინფორმაციის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ. „დარწმუნებული ვართ ეს ქალბატონი ნაციონალების კადრია. ნათია არ დაემორჩილა დირექტორის მოთხოვნას, ძალიან პრინციპული ბავშვია, მით უმეტეს იცოდა როგორ მოექცნენ ნაციონალები დედამისს და საერთოდ ჩვენს ოჯახს. სახლშიც ხშირად ვამბობდით, რომ სააკაშვილის რეჟიმი დიდხანს ვერ გასტანდა, მაგრამ იმას როგორ ვიფიქრებდით, რომ ისევ სამადაშვილს დატოვებდა დირექტორად ახალი ხელისუფლება. 2013 წლის გაზაფხულზე, გამოცდების დროს სამადაშვილმა ნათიას უთხრა, რამდენჯერ გაგაფრთხილე, მაგრამ ვერაფერი გაგაგებინე, არ გიწერ ნიშანს, ახლა რაც გინდა ის ჰქენი, თუ ატესტატის მიღება გინდა, შენმა ახლობელმა, რომელიც ამ ქალბატონს მილიონერი ჰგონია, სკოლა გაგვირემონტოსო. სად გვქონდა ამის ფული, შეურაცხყოფილმა ნათიამ თავი მოიწამლა, ეს პოლიციაშიც დაფიქსირდა, 4-5 დღე იწვა იაშვილის სახელობის კლინიკაში. ვესაუბრეთ შოთა ხაბარელს, რომელიც კრწანისის რაიონის მაჟორიტარია, გავახსენეთ ნათია, რომელსაც კარგად იცნობდა, დახმარებას დაგვპირდა, ოღონდ ნუღარ დამირეკავთ, როცა ყველაფერს გავარკვევ, მე თვითონ დაგიკავშირდებით. ვიცით ძველი დირექტორი როგორ მოხსნეს და დანიშნეს სამადაშვილი, მაგას ხომ არ დავუწყებთ საუბარს, რესურსცენტრის უფროსს ჩავაყენებთ საქმის კურსში და ის მიხედავს ყველაფერსო. ხაბარელს ისიც ვუთხარით ნათიამ თავი რომ მოიწამლა და ყველაფერი „ქართული ოცნების" გამო რომ მოხდა. არანაიარი რეაგირება, ელემენტარულად ერთხელაც კი არ დაურეკია. ვიღაცის ხუშტურების გამო ბავშვმა ერთი წელი ტყუილად დაკარგა. ყველამ იცოდა ნათიამ თავი რომ მოიწამლა, მასწავლებლები საავადმყოფოში რომ მოდიოდნენ, ყველა ლანძღავდა სამადაშვილს, როგორ შეიძლება პოლიტიკური შეხედულების გამო ბავშვს გადაეკიდო და დაღუპო, მითუმეტეს გოგონაო. ყველაზე გულსატკენი ის არის, რომ „ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა, რომლებიც კარგად იცნობდნენ ნათიას, კმაყოფილები იყვნენ მისი მუშაობით, უსამართლოდ დასჯილი ბავშვის დასახმარებლად, რომელმაც მართლაც წარმატებით ჩააბარა ყველა გამოცდა, ხელიც კი არ გაანძრიეს", აცხადებენ ნათიას მშობლები.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



ასეც ვიცოდი. იმის შემდეგ, რაც ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების გამო გული დამწყდა, პირველი რეაქცია და მოსაზრება ის გამიჩნდა: ამ საქმეს ნაცები „ოცნებას" დააბრალებენ-მეთქი.

კიდევაც გამოჩნდა ერთ-ერთი „ნაციონალის" მოსაზრება ფეისბუკში „გილოცავთ ბიძინას მეორე ტრუპს.

თათუხაშვილი.

კიწმარიშვილი,

ვინ იქნება შემდეგი..."

ტვინგახურებულმა ერეკლე დეისაძემ როგორ უნდა გაჯობოთ? – „არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ ნაცებზე მეცინება, ჟვანიას გაზით გაგუდვა რომ ჯერათ და კიწმარიშვილის თვითმკვლელობაზე ეჭვი შეაქვთ"-ო, რომ ამბობს.

ამ მომენტში (15 ივლისი, 23 სთ, 2014 წ.) საინფორმაციო საშუალებების მიერ ვრცელდება ინფორმაცია, რომ ეროსი კიწმარიშვილი 5 ტყვიით თავში დაცვამ საკუთარ ავტოფარეხთან იპოვა.

1988-90 წლებში იყო საქართველოს ნაკრების წევრი ალპინიზმში; 1989-90 წლებში ონის რაიონის სოფელ უწერის ამბულატორიის გამგე; 1990-93 წლებში ქალაქ რუსთავის ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი; 1993 წელს გაზეთ „რუსთავის ახალი გაზეთის" გამომცემელი. 1993 წელს დააფუძნა სადაზღვევო კომპანია "რინკო"; 1994-2004 წლებში სამაუწყებლო კომპანია " რუსთავი 2"-ის, დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი. 2000-04 წლებში სატელეკომუნიკაციო კომპანია " ჯორჯია ონლაინი" (ამჟამად კავკაზუს ონლაინი) დამფუძნებელი. 2002 -04 წლებში გაზეთი "24 საათის", გამომცემელი; 2004 წ საქართველოს სავაჭრო- სამრეწველო პალატის პრეზიდენტი. 2004-07 წლებში საქართველოს საგანგებო დავალებათა ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (ნიუ-იორკი, აშშ); 2008 წელს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში. 2009 წელს „ფონდ 2020"-ის პრეზიდენტი. 2009-11 წლებში ტელეკომპანია "მაესტროს" მმართველი კომპანიის დამფუძნებელი. 2010-12 წლებში პოლიტიკური მოძრაობის " ქართული პარტია" დამფუძნებელი და პოლიტიკური მდივანი.

2014 წლის 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნებში რუსთავის მერის პოსტზე იყრიდა კენჭს.

ეროსი კიწმარიშვილს სიცოცხლეშიც ყველა აღიარებდა, როგორც ნიჭიერ ადამიანს, პროფესიონალტელემენეჯერს, მაგრამ დღეს ბევრი ლაპარაკობს, რომ მას პოლიტიკაში „არ გაუმართლა", ან შესაბამისი ფხა ვერ გამოიჩინა...

პოლიტიკაში გამოჩენისას, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ისედაც უამრავი მტრის გარემოცვაში მყოფს, კიდევ მეტი მტერი გამოუჩნდა. თვით ჟურნალისტიკას შეფარებული ე.წ. კლანების დაპირისპირების ობიექტადაც არაერთხელ ქცეულა...

სხვა მოსაზრებებით, ეროსი კიწმარიშვილი მევალეებმა მოკლეს, ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მისი გარდაცვალების მიზეზი ბიზნესწილების გადანაწილებას მოჰყვა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი კი აცხადებს: ...„ყველას მოვუწოდებ, წინასწარ სპეკულაციებისგან თავი შეიკავოს იმიტომ, რომ ყველა დაინტერესებულია ჭეშმარიტება დადგინდეს, მიზეზებთან დაკავშირებით"...

ეროსი კიწმარიშვილმა 15 ივლისს „პრამიტაიმთან" ინტერვიუში თქვა:

„... ასათიანი და მისი მეუღლე (იგულისხმება მაკა ასათაიანი და კოტე გოგელია) სააკაშვილის პერიოდში მე მოვიყვანე, როგორც ინვესტორები, მაგრამ მათ მე გადამაგდეს.

...სააკაშვილი ტელევიზიებში ნაჯახით შერბოდა ხოლმე და ახლა ცდილობენ თავად არ გამოჩნდნენ".

იმის მიუხედავად, რომ ეროსი კიწმარიშვილმა თავისი „პირმშო" ტელევიზიის „მაესტროს" დაბრუნებაზე დიდი დრო და ენერგია დახარჯა, ტელევიზია მაინც ვერ დაიბრუნა, თუმცა მის სახელთან ყოველთვის იქნება დაკავშირებული დღესაც „ნაციონალების" მთავარი „გამპრავებელი" და რუპორი „რუსთავი-2".

დღეს, როცა ქართული საზოგადოება და საერთოდ, მოსახლეობა დაჟინებით მოითხოვს კანონიერების აღდგენას, „რუსთავი-2" ძველი მფლობელებისთვის დაბრუნების თაობაზეც დაისვა საკითხი.

აქ ყველაზე ინფორმირებული ეროსი კიწმარიშვილი იყო და ნაცები ხელს რომ ხელისუფლებისკენ იშვერენ, ავიწყდებათ თავიანთი ჩასვრილ-ჩაბინძურებულ საქმეები, რომელთა გამოააშკარავებას კიდევ ბევრი ნაცის გისოსებში გამომწყვდევა მოჰყვებოდა!...

არაოფიციალური ვერსიის თანახმად, რომელიც „საერთო გაზეთს" ექსკლუზიურად მოაწოდეს, ეროსი კიწმარიშვილს დაქირავებულმა მკვლელმა ესროლა, რადგან უახლოეს დღეებში ის პროკურატურაში ვიზიტს აპირებდა იმ ზეწოლებზე რეაგირებისთვის, რასაც მასზე მისი ძველი მეგობრები, „ნაციონალები", ახორცილებდნენ...

**ირანდა კალანდაძე**



# „კათარზისი“ – სახლი სიკეთისა და სათნოებისა

დღესდღეობით უამრავ სოციალურ პრობლემასთან ერთად ერთ–ერთ უმთავრესად მოხუცთა მდგომარეობა ითვლება. მინიმალური პენსია, რომელსაც მოხუცები იღებენ, ხშირად მხოლოდ წამლის შეძენისთვის იხარჯება. უმეტეს შემთხვევაში არც ამისთვის არის საკმარისი. ზოგიერთ მათგანს საკუთარი ჭერიც კი არ გააჩნია და ლუკმა-პურის შოვნასთან ერთად ღამის გასათევ ადგილზეც უწევთ ფიქრი.

პრობლემა დღეს არ შექმნილა, ამიტომაც ჯერ კიდევ 1990 წლის 31 მარტს დაარსდა საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირი „კათარზისი“, რომელიც წარმოადგენს სოციალური დახმარების კომპლექსურ ცენტრს. აქ თავმოყრილია ის გადაუდებელი დახმარებები, რომლებიც აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის: უფასო სასადილო, აფთიაქი, თავშესაფარი, წინასწარი სამედიცინო დათვალიერების კაბინეტი და სხვა.

**გვესაუბრება „კათარზისის“ პრეზიდენტის მოადგილე ქალბატონი ნანა მუსხელიშვილი.**

– ჩვენ ვართ არასამთავრობო ორგანიზაცია. სტაბილური, მუდმივი დაფინანსება არ გვაქვს, შემოწირულობებით ვარსებობთ. გვყავს სპონსორები, გარკვეული სიხშირით რომ თანხას გვირიცხავენ. აქ სადილი ყოველდღე 310 ადამიანზე კეთდება, რისთვისაც გვჭირდება 385 ლარი დაახლოებით, 1.20 ლ ერთ ადამიანზე.



**– ვის შეუძლია თანხის გადმორიცხვა?**

– ნებისმიერ კერძო პირს შეუძლია თავისი სახელით გადმოგვირიცხოს თანხა. „ავერსი“, „პეეს-პე“, ზოგიერთი ორგანიზაცია 1992-1995 წლიდან გვსპონსორობს, თუმცა ჩვენი ძირითადი შემომწირველები არიან ქართველი ბიზნესმენები და საქართველოში მოქმედი ორგანიზაციები.

**– არსებობს თუ არა ისეთი პრობლემა, რომლის აღმოსფხვრელად სახელმწიფოსგან დახმარებაა აუცილებელი?**

– ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის არის საკანონმდებლო ბაზა. შეიძლება გაჩნდეს კითხვა: მერე რა, თუ ბიზნესორგანიზაცია თავისი თანხებიდან ან პირადი ანგარიშიდან გადმოგვირიცხავს თანხას. რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში. ვთქვათ, ჩვენ 100 ლარი გვაჩუქა ბიზნეს-ორგანიზაციამ. ეს ორგანიზაცია ამ თანხის გამო ჩვეულებრივად იბეგრება, ანუ ჩვენთან გადმორიცხული 100 ლარი 125 უჯდება. ვფიქრობ, შეიძლება ოქროს შუალედის მოძებნა, რომ ბიზნესისთვის, ელემენტარულად, მასტიმულირებელი იყოს საქველმოქმედო ორგანიზაციებს თანხა გადაურიცხოს.

**– ზოგიერთ მოხუცს შეიძლება ჰქონდეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, მაგ. დიაბეტი. როგორ ადგენთ კვების რაციონს, ის ყველასთვის ერთია?**

– ერთი და იგივეა. მენიუში მარხვის დროს აუცილებლად არის სამარხვო საკვები. თუ დიეტა აქვთ დანიშნული, ყურადღება უნდა მიაქციონ. დიაბეტიანებს, როგორც ვიცი, შეზღუდვა აქვთ ჭამის სიხშირეში. ჩვენთან პირველი ყოველთვის არის ცხელი სადილი; მეორე- ბურღულეული; ხან სოსისი, ძეხვი, მოხარშული კვერცხი; მესამე- ბოსტნეულის სალათა. ნებისმიერ ადამიანს, რა დაავადებაც არ უნდა ჰქონდეს, შეუძლია ამ მენიუდან შეარჩიოს და მიირთვას.

**– თქვენს თანამშრომლებზეც მოგვიყევით.**

– ჩვენთან სასადილოში პრობაციონერები არიან, რომელთაც მიმაგრებული სამუშაო აქვთ მისჯილი. არიან მოხალისეები უმაღლესი სასწავლებლებიდან, რომლებიც ნებისმიერ საქმიანობაში გვთავაზობენ დახმარებას. გვყავს ექიმი, გვაქვს სატრენაჟორო დარბაზი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერები. შტატში 32-33 თანამშრომელია.

**– მოხუცებს დღე-ღამის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეუძლიათ აქ ყოფნა?**

– 14-ადგილიანი თავშესაფარი გვაქვს მხოლოდ ქალბატონებისათვის. პირობები არ გვაქვს ღამე მამაკაცებიც დარჩნენ. დღისით ერთად თამაშობენ ნარდს, ათასგვარ გასართობს იგონებენ. დილიდან დაღამებამდე ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოსვლა.

**– მომავალში რა გეგმები გაქვთ?**

– ერთი სართული გვაქვს მოსაწყობი. ვფიქრობთ, რომ ის იქნება თავშესაფარი. მანამდე კი თანხა გვაქვს მოსაძიებელი. დაახლოებით, 600კვმ-ია მოსაწყობი. ეს არის ჩვენი ნომერ პირველი პროექტი, პერსპექტივა, რომელზეც ვიწყებთ მუშაობას.

**– რამდენადაც ვიცი, კონკურსებსაც ატარებთ.**

– დიახ, გვაქვს. მოხუცების კონკურსში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი. რაც შეეხება თავად გამარჯვებულებს, ჟიური ავლენს, რომელიც დაკომპლექტებულია მოწვეული სტუმრებით. „კათარზისის“ წარმომადგენელი ჟიურიში არ არის არასდროს. ჟიურის ჰყავს თავმჯდომარე. ეს კონკურსი 10 წელია არსებობს. სპონსორია სააქციო საზოგადოება „თელასი“, ხოლო თავმჯდომარე ვალერი ფანცულაია. რაც შეეხება დანარჩენ წევრებს, ვცდილობთ, რომ იყოს მუსიკოსი, მოცეკვავე. 3 ძირითადი ნომინაცია გვაქვს: სიმღერა, ცეკვა და სასცენო ხელოვნება. სასცენო ხელოვნებაში შეიძლება იყოს ლექსი, იუმორისტული ჩანახატი და ა.შ. ამიტომ ვცდილობთ, რომ ჟიურის წევრებიც ამ სფეროდან შევარჩიოთ.

***„კათარზისში“ ზოგიერთი მოხუცი ნათესავებისგან მალულად დადის და ამის გამო ინტერვიუზეც უარს აცხადებს. მათ არ სურთ ახლობლებმა გაიგონ, რომ აქ დადიან. ზოგს საოცრად სევდიანი ცხოვრებისეული ისტორია აქვს.***



**ნინელი სულაბერიძე:**

– ახალგაზრდობაში ბრმანაწლავის ოპერაცია გავიკეთე. რადგან ოპერაცია გვიან გავიკეთე, საშვილოსნოზეც პრობლემები შემექმნა და უშვილო დავრჩი, ამიტომ შვილიან კაცს გავყევი ცოლად. რომ გავთხოვდი გერი მეათე კლასში იყო. სამედიცინო ინსტიტუტში ვკითხულობდი ლექციებს, პროფესორი ვარ. 54 წლის ასაკში გამომიშვეს სამსახურიდან. ჩემმა ქმარმა სიკვდილის წინ ანდერძი დატოვა. მისი სიკვდილის შემდეგ ოროთახიანი ბინა მე უნდა დამრჩენოდა, ჩემი სიკვდილის შემდეგ კი გერს. გერმა ჩემთან ცხოვრება არ მოისურვა და 2000 წელს ბინა გავყიდე, თანხის ნახევარი რომ მიმეცა მისთვის. ახლა კარავში ვცხოვრობ. დღისით აქ მოვდივარ საჭმელად, ვერთობი, ტელევიზორიც გვაქვს, ექიმიც გვყავს. მძიმე ავადმყოფი ვარ, ნერვიულობაზე ტოქსიკური ჩიყვი დამემართა. „კათარზისში“ კარგი პირობებია, კმაყოფილი ვარ.

„კათარზისი“ ზრუნვის გარდა თითქოს ოჯახურ გარემოსაც ქმნის მათთვის. ნათესავებისგან მიტოვებული ეს მოხუცები ნუგეშს ერთმანეთთან ურთიერთობაში ეძებენ.

ვინაიდან ეს ორგანიზაცია შემოწირულობებით არსებობს, კარგი იქნებოდა თითოეულ ჩვენგანს გამოგვეჩინა მცირეოდენი გულისხმიერება და დავხმარებოდით ამ მართლაც თბილ და საყვარელ მოხუცებს.

**„კათარზისის“ რეკვიზიტებია:**

**ს.ს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი, კოდი BAGAGE22.**

**ანგარიშის ნომერი: GE62BG0000000299506400.**

ესაუბრა
**თამარ გულიაშვილი**


## ქოზიფას მამათა მონასტრის
## განვითარების ფონდი




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001

# ღია წერილი თესალონიკიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილს

**ბატონო ირაკლი,**

მოგმართავთ თესალონიკში სამსახურის საძებნელად გადმოხვეწილი ერთი ჩვეულებრივი ქართველი ქალი.

2008 წელს მომივიდა კონფლიქტი ბორჯომელ „ნაციონალებთან", რის შემდეგაც დავკარგე სამუშაო, მალე იძულებული გავხდი, დამეტოვებინა საქართველო და თესალონიკში დამეწყო სამსახურის ძებნა. ვიშოვე კიდეც, რა თქმა უნდა, დაბალხელფასიანი და ძალიან არაპრესტიჟული სამუშაო, მაგრამ ქართველი ემიგრანტის ბედი ეს ყოფილა და მეც შევეგუე.

თავიდან, რა თქმა უნდა, გამიჭირდა, მაგრამ ბერძნებთან შეგუებაზე არანაკლებ გამიჭირდა შეგუება თესალონიკელი ქართველი ემიგრანტების იმ კატეგორიასთან, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობას" უჭერდნენ მხარს. მიკვირდა, ეს ხალხი აქ იმიტომ ცხოვრობს, საქართველოში რომ არც სამუშაო იშოვება, არც პენსია და სხვა სოციალური დაცვაა მოწესრიგებული-მეთქი, ასეთ ფონზე, დავიჯერო, ვერ ხვდებიან, რომ მთავრობაა დამნაშავე, თუნდაც იმაში, რომ ეს ხალხი უკან, სამშობლოში ვერ ბრუნდება-მეთქი? ასეთი კითხვა ვისაც არ დავუსვი, ყველამ ზუსტად ერთნაირი ტექსტებით მიპასუხა. მოგვიანებით გავიგე, რომ თესალონიკის, ასევე დანარჩენი საბერძნეთის ემიგრაციის უმეტესობა, ყველა არჩევნებში, როგორც წესი, ხმას აძლევდა „ნაციონალურ მოძრაობას". ძალიან გამიკვირდა, მაგრამ ვიფიქრე „„ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები, ეტყობა, კარგად მუშაობენ-მეთქი.

ჩემს ჩამოსვლამდეც და ახლაც თესალონიკში პერიოდულად იმართება კულტურული ღონისძიებები. ხან კონცერტს ვატარებდით, მოკლედ, ხელიდან არ ვუშვებთ ერთად შეკრების საშუალებას. მე, როგორც ბორჯომის თოჯინების თეატრის ყოფილ დირექტორს (15 წელი ვიმუშავე დირექტორად), სერიოზული გამოცდილება მქონდა ასეთი კულტურული აქციების ორგანიზებისა და, ბუნებრივია, ჩავერთე. მანამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ღონისძიებები საქართველოს საკონსულოს მხარდაჭერით, მათ შორის, ეკონომიკური მხარდაჭერით იმართებოდა. მოულოდნელად გაირკვა, რომ ამ აქციების ფინანსურ უზრუნველყოფას აკეთებდა რამდენიმე ადამიანი, რომელსაც გული შესტკიოდა როგორც ზოგადად ქართული ემიგრაციის ბედზე, ისე თითოეულ ემიგრანტზე კონკრეტულად.

ეს ყველაფერი იმდენად ბუნებრივი ჩანდა და ემიგრანტებიც ისე იყვნენ მიჩვეულნი ასეთ ცხოვრებას, არც კი მიფიქრია, თესალონიკის ემიგრაციიისთვის რაიმე გამოყოფილი რაიმე დაფინანსება არსებობდა საქართველოს საკონსულოში. სრულიად მოულოდნელად გავიგე, ამ დაფინანსების შესახებ, თუმცა ეს დაფინანსება რა მიმართულებით მიდიოდა, ამ საკითხით დაინტერესება მაშინ ზედმეტად ჩავთვალე იმდენად, რამდენადაც ემიგრაციას ათასი პრობლემა აქვს და ვიფიქრე, ალბათ, სხვა რომელიმე უფრო მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად იქნა ეს ფული გამოყენებული-მეთქი. ამასობაში მოახლოვდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და , ჩემდა გასაოცრად, ნაციონალების კანდიდატმა ბაქრაძემ თესალონიკის ემიგრაციიდან პრაქტიკულად, იმდენივე ხმა მიიღო, რამდენსაც წინა არჩევნებზე იღებდნენ „ნაციონალები". ამან ძალიან გამაკვირვა, ჯერ ერთი, ემიგრანტთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც ნაციონალების რეჟიმს გამოექცა საქართველოდან. მეორეც, ძალიან გამაკვირვა იმ ამბავმა რომ მე და რამდენიმე ათეულ ემიგრანტს (ვის შესახებაც ზუსტად იცოდნენ, „ქართულ ოცნებას" მივცემდით ხმას), უარი გვითხრეს არჩევნებში მონაწილეობაზე იმ მოტივით, რომ ადრე უნდა დავრეგისტრირებულიყავით. თუმცა ყველა წინა არჩევნებში სრულიად უპრობლემოდ ვაძლევდით ხმას. ცხადია, ამ ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირება ჩვენ არ გაგვჭირვებია, გარდა ამისა, მქონდა სხვა ინფორმაციაც, რამაც საბოლოოდ გადამაწყვეტინა რამდენიმე პოსტი დამედო ფეისბუკზე, ამან გამოიწვია პრესის დაინტერესება ჩემით. ასე გავიდა ჩემი პირველი ინტერვიუ, სადაც ვთქვი, რომ, პრინციპში, უპატრონოდ ვართ, ჩამოდიან საქართველოდან ენჯეოები, რომლებიც თავისი საკუთარი ინტერესების გარდა სხვას ვერაფერს ხედავენ, ხოლო ჩვენი საკონსულოს არსებობას, ფაქტობრივად, ვერ ვგრძნობთ-მეთქი. რამდენიმე კვირის შემდეგ ნახეს სიუჟეტი სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ბატონი კოტე სურგულაძისა და მისი უწყებისთვის გადაცემული იქნა ოთხასი ათასი ლარი (ანუ შარშანდელი დაფინანსების ტოლი თანხა), რომელიც უნდა მოხმარებოდა ემიგრაციასთან მუშაობას. ამას მოჰყვა ჩემი მეორე ინტერვიუ, სადაც, პრინციპში, მხოლოდ კითხვა დავსვი, სად მიდის ეს ფული, ამ თანხის არსებობის შესახებ პირველად მესმის-მეთქი (ეს მართლაც ასე იყო). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამდაგვარი საკითხები აინტერესებდათ ასევე ემიგრაციის წარმომადგენლებს, რომლებიც დიასპორის დღეებს დაესწრნენ საკუთარი ხარჯით, მაგრამ მათ არ მიეცათ საშუალება რაიმე ეთქვათ საჯაროდ, მეტიც, ისინი არც პრემიერ-მინისტრთან ალაპარაკეს, ბოლოს კი ბანკეტზეც არ მიიწვიეს! მეორე ინტერვიუს იმხელა აგრესია მოჰყვა ბატონი კოტეს მხარდამჭერების მხრიდან, რომ გავოგნდი. გამოქვეყნდა (ძირითადად, სოციალურ ქსელებში) ათასნაირი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ, თურმე, ეს ფული არსებობს, რამდენიმე ანსამბლს ათხოვეს საცეკვაო ტანსაცმელი და ა.შ. ასევე გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ საერთო რაოდენობის რა თანხა დაიხარჯა თესალონიკის ქართულ ემიგრაციაზე. უცნაურია, მაგრამ არ გამოქვეყნებულა და ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოვიძიეთ ინფორმაცია იმის თაობაზე თუ კონკრეტულად სად წავიდა ეს თანხა. ანუ რა დაჯდა თუნდაც ის ინვენტარი, რომელიც თხოვების წესით გადაეცა ჩვენს ანსამბლებს.



აქვე მინდა მთელი ქართული ემიგრაციის ერთი დიდი სატკივარი მოგახსენოთ. საბუთების მოწესრიგება იმისთვის, რომ მუშაობის უფლება მოგვეცეს ძალიან რთული ამოცანაა ჩვენთვის. ვადის გასაგრძელებლად რამდენიმეჯერ გვიწევს ათენში ჩასვლა, გარდა ამისა, საჭირო ხდება ადვოკატთან კონსულტაციების გავლა, ხშირად გვიწევს ადვოკატისთვის ფულის გადახდა არა მარტო კონსულტაციებში, არამედ ამ საბუთების მოწესრიგებაშიც ხშირად გვჭირდება დახმარება და ადვოკატის დაქირავება. ამისთვის უნდა ჩავიდეთ ხოლმე ათენში, ესეც გარკვეულ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, მოკლედ, ძალიან ვწვალობთ. და ძვირიც გვიჯდება. იქნებ, საქართველოს საკონსულოს თესალონიკში მოეხერხებინა და ხელშეკრულება დაედო რომელიმე საადვოკატო ფირმასთან, რომელიც ამ საბუთების საკითხს ნაკლებ ფასში და ნაკლები პრობლემებით მოგვიგვარებდა. ეს საბუთები და მათთან დაკავშირებული სირთულეები გახლავთ ჩვენი ნომერ პირველი პრობლემა, რაც შეუძლებელია არ იცოდნენ საქართველოს საკონსულოს თანამშრომლებმა. აქამდე ამ მიმართულებით, ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა და რამდენადაც მე ვიცი, არც 2014 წლის 400 ათას ლარში არა არის ასახული.

მეორე ძირითადი პრობლემა,. რაც ყველაზე ძალიან აწუხებს ემიგრაციას, არის ამანათების გაგზავნის ფასი. მაშინ როცა იმ ამანათებში დევს ბერძნების გამონაცვალი, მეორადი, ჩვენთვის გასამრჯელოდ ნაჩუქარი, რომელსაც ვუგზავნით ჩვენს ოჯახებსა და ახლობლებს საქართველოში, ამანათებს გზავნის გადამზიდავი კომპანია, მაგრამ ძალიან ძვირი ჯდება ამანათის გამოგზავნა. ამ ამანათების საკითხშიც შეუძლია ჩაერიოს საკონსულოს და მოაწესრიგოს ფასები, ამის პრეცედენტები აქ უკვე არსებობს. თუ გამოიჩენს რაიმე სახის დახმარებას ჩვენი საკონსულო, ერთი დიდი სასიკეთო საქმე იქნება, ემიგრაციისთვის გაკეთებული.

ბატონო პრემიერ-მინისტრო, არ მინდა ჩემი წერილი ისე იქნას გაგებული, თითქოს რაიმე ჯავრი მჭირდეს ბატონი კოტე სურგულაძის, ან ვგულშემატკივრობდე რომელიმე მეორე ბატონ კოტე სურგულაძეს, უბრალოდ, მინდა გითხრათ რომ არც ისე კარგად არის საქმე, როგორც თქვენ გეუბნებიან და რა სახის ყურადღება და რა სახის მხარდაჭერა გვჭირდება ქართველ ემიგრანტებს თესალონიკში, ამ წერილით ამის შესახებაც მოგახსენეთ მხოლოდ.

ბატონო ირაკლი, ხშირად ვიმეორებ, ხოლმე რომ საქართველოს თქვენისთანა პრემიერ-მინისტრი არ ღირსებია. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად რაიმეს იღონებთ და გულთან ახლოს მიიტანთ ჩვენს გასაჭირს.

**ლია ფიქარიშვილი**
**ტელ.: 6955973706**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი.***

**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**—შეიძლება თუ არა ნასამართლობის მოხსნა სასამართლო წესით?**

—შეიძლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 288–ე მუხლის 1–ლი ნაწილის მიხედვით,

ნასამართლობის მოხსნის საკითხს სასჯელმოხდილი პირის შუამდგომლობით განიხილავს გადაწყვეტილების მიმღები პირველი ინსტანციის სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე.

ამავე მუხლის მე–2 ნაწილის მიხედვით, ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შემთხვევაში შუამდგომლობის ხელახლა დაყენება შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ.

* * *

**—აქვს თუ არა უფლება დაზარალებულს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება?**

—დაზარალებულს უფლება არა აქვს, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება.

თუმცა, საპროცესო შეთანხმება დაზარალებულს არ ართმევს უფლებას, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი.

* * *

**—უნდა გადავიხადო თუ არა სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში ალიმენტის მოთხოვნის სარჩელთან დაკავშირებით?**

—თუ მხოლოდ ალიმენტის გადახდაა თქვენი მოთხოვნა, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებით.

* * *

**—ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი. მეუღლეს, რომელთანაც ათი წელია ვცხოვრობ, სურს ჩემთან განქორწინება. საარსებოდ არ გამაჩნია არავითარი სახსარი. მუშაობა არ შემიძლია. მშობლებიც გარდაცვლილი მყავს . არ მყავს და–ძმა, რომელიც დამეხმარებოდა. ჩემი ერთადერთი მარჩენალი იყო მეუღლე. რის გაკეთება შემიძლია სამართლებრივად? რას მირჩევთ?**

- საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ასეთ შემთხვევაში თქვენ განიჭებთ მეუღლისაგან სარჩოს მოთხოვნის უფლებას. კერძოდ;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1129-ე მუხლის მიხედვით, იმ მეუღლის თხოვნით, რომელსაც უფლება აქვს, მიიღოს სარჩო მეორე მეუღლისაგან, სასამართლო ვალდებულია, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განსაზღვროს იმ სახსრების ოდენობა, რაც უნდა გადახდეს მეორე მეუღლეს.

* * *

**—-შეიძლება თუ არა ქონებრივი დავა განიხილოს არბიტრაჟმა?**

— შეიძლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს.

* * *

**— გარდაიცვალა პაპაჩემი. მისი ქონება გადაიფორმა მთლაიანდ ბიძაჩემმა, რადგან მამაჩემი გარდაცვლილი იყო. ფაქტიურად, ჩვენ - მე და დედა, დავრჩით უბინაოდ. რის გაკეთება შეგვიძლია?**

- მიუხედავად იმისა, რომ მამათქვენი გარდაცვლილია, თქვენ, მისი შვილი სარგებლობთ წარმომადგენლოიბის უფლებით და ის ქონება, რაც უნდა მიეღო მამათქვენს, ცოცხალი რომ ყოფილიყო, თქვენ უნდა მიგეღოთ. სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია, რა სახის მემკვიდრეობასთან გვაქვს საქმე - კანონისმიერ თუ ანდერძისმიერთან. თუ კანონისმიერი მემკვიდრეობაა, თქვენ უნდა მიგეღოთ, ჩვეულებრივ სამკვიდროს ნახევარი, თუ ანდერძისმიერია, ანუ თუ პაპათქვენმა ანდერძი დატოვა მისი სამკვიდროს ბიძათქვენისთვის დატოვების შესახებ, ამ შემთხვევაში სარგებლობთ სავალდებულო წილის უფლებით და უნდა მიგეღოთ დატოვებული ქონების ნახევრის ნახევარი.

როგორც წერილიდან ჩანს, სამკვიდროს მიღების 6 თვიან ვადაში ბიძათქვენმა მოახერხა სამკვიდროს მიღება სანოტარო წესით. დაგრჩათ სასამართლოში სარჩელით მიმართვის უფლება. სავარაუდოდ, პროცესს მოიგებთ.

* * *

**—შეიძლება თუ არა ბებია იყოს შვილიშვილის მემკვიდრე?**

—სამწუხაროდ, ცხოვრება არ მიდის ჩვენი გათვლებით და ხდება ამგვარი ტრაგედიები. თუ შვილიშვილი ბებიაზე ადრე გარდაიცვლება, ბებია ითვლება მის მემკვიდრედ, თუ არ არსებობენ პირველი რიგის მემკვიდრეები — მშობლები, შვილები, მეუღლე.

# დაასახელეს ქვეყნები, სადაც ყველაზე მდიდარი ტურისტები ცხოვრობენ



ტურიზმის შემოსავალი, ექსპერტების შეხედულებით, ქვეყნის კეთილდღეობის საუკეთესო ინდიკატორს წარმოადგენს, რადგან, როცა ადამიანი დანაზოგს თავისი ქვეყნიდან შორს ხარჯავს, ე. ი. დარწმუნებულია, რომ სახლში ყველაფერი წერიგშია ეკონომიკური თვალსაზრისით, ხოლო მის ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა და სიმშვიდეა.

მსოფლიო ბანკმა ქვეყნების ჩამონათვალი გამოაქვეყნა, რომელთა მოსახლეობა მხოლოდ პურზე კი არ ფიქრობს, არამედ სხვა ქვეყნებში მოგზაურობაზეც.

ამ ჩამონათვალში პირველი ადგილი ჩინეთს უკავია.

ყველაზე პოპულარულ მიმართულებად ჩინელ ტურისტებს შორის ჰონკონგი, მაკაო, კორეის რესპუბლიკა, ტაილანდი, ტაივანი, სინგაპური და აშშ-ი ითვლება.



მეორე ადგილზე გერმანელები არიან. ტურიზმის შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე გერმანიაში 1023 დოლარს შეადგენს.

გერმანია გასულ წელს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად დასახელდა ტურიზმის თვალსაზრისით.

გერმანელები ევროპაში დასვენებას ამჯობინებენ.

მათთვის სასურველი ქვეყნებია — ესპანეთი, იტალია, ხორვატია, ავსტრია, საფრანგეთი და თურქეთი.

ამერიკელებიც ერთ-ერთ ყველაზე მოგზაურ ხალხად ითვლებიან. ამერიკელი მოსახლეობის მთავარ ტურისტულ მარშრუტებად ლონდონი, პარიზი, რომი, ტორონტო, ვანკუვერი, ბარსელონა, ტოკიო და მონრეალი ითვლება. პოპულარულია ტურები ჰონკონგში, ამსტერდამსა და ნიაგარას ჩანჩქერზე.

ბრიტანელების წილი მსოფლიო ტურიზმში 5%-ია. გაერთიანებული სამეფოს მცხოვრებლები ყველაზე მეტად კეიპტაუნს ირჩევენ.

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებლები ასევე ხშირად მოგზაურობენ ახალ ზელანდიაში, იტალიაში, ისლანდიაში, ნორვეგიასა და მალდივის კუნძულებზე.



რუსეთში 2008 წლის კრიზისის შემდეგ შეწყდა ტურიზმის შემოსავლები, თუმცა მას შემდეგ, რაც ამოისუნთქეს და დაიწყეს ფულის ხარჯვა მოგზაურობისთვის, ისინი ყველაზე ხშირად უპირატესობას ეგვიპტეს, თურქეთს, ტაილანდს, ფინეთს, ჩინეთს, ესპანეთს, იტალიას და გერმანიას ანიჭებენ. რუსები ტურიზმზე თავიანთი შემოსავლების 4%-ს ხარჯავენ.



ჩამონათვალის პირველ ათეულში შევიდა საფრანგეთი, კანადა, იაპონია, ავსტრია და იტალია.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — ამ კვირაში ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. არ არის გამორიცხული გარკვეული წინსვლა გქონდეთ სამსახურში.

**კურო** — კვირის დასაწყისში მოგიწევთ საქმიანი წინადადებების განხილვა, სადაც თქვენ გარდა, ადამიანთა გარკვეული ჯგუფიც მიიღებს მონაწილეობას.

**ტყუპები** — ყურადღების ცენტრში მოექცევით და თქვენ გარშემო მიმდინარე პროცესებშიც აქტიურად მოგიწევთ ჩართვა.

**კირჩხიბი** — საინტერესო კვირა გელით. თუ შეძლებთ და საკუთარ ჩანაფიქრებს კონკრეტულ მიზნამდე დაიყვანთ და ამასთან ქმედით ნაბიჯებსაც გადადგამთ, მაშინ მოახერხებთ სერიოზული და პოზიტიური ცვლილებების განხორციელებას.

**ლომი** — ამ პერიოდში შესაძლებელია მგზავრობა მოგიწიოთ. ამასთან, საინტერესო წინადადებების განხილვაც მოგიწევთ.

**ქალწული** — შესაძლოა შეიტყოთ ახალი ინფორმაცია, რომელსაც დიდი ხანია ელოდებით. არ არის გამორიცხული ეს დაკავშირებული იყოს სამსახურთან.

**სასწორი** — მიმდინარე კვირაში მოსალოდნელია, გარკვეული გადაფასებების გაკეთება და ახალი საქმეების დაგეგმარება მოგიხდეთ.

**მორიელი** — იყავით აქტიური და უკვე არჩეულ მიზანს მიზანმიმართულად მიჰყევით, თუმცა, გამოიჩინეთ მაქსიმალური სიფრთხილე.

**მშვილდოსანი** — მოსალოდნელია, გაგიუარესდეთ ემოციური მდგომარეობა და ნერვული სისტემაც დაგეძაბოთ. ამის მიზეზი ისევ და ისევ თავად იქნებით.

**თხის რქა** — ეს კვირა ჩვეულებრივ ტემპში წარიმართება და საქმიანი აქტივობა საშუალოზე მაღალი იქნება, რაც, სხვათა შორის, გაზრდის თქვენს პროდუქტიულობას.

**მერწყული** — არ არის გამორიცხული, ძლიერი ემოციური დატვირთვები გქონდეთ, თუმცა ეს უფრო ახლობელთა პრობლემების გამო წარმოიშვება. ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით.

**თევზები** — მოსალოდნელია თქვენი საქმიანობის ან ბიზნესის რეფორმირება მოგიწიოთ და ამაში თქვენი ახლობლები და კომპანიონებიც იქნებიან ჩართული. იქნება იმის ალბათობაც, რომ მოგიწიოთ სახელმწიფო ორგანიზაციებთან და თანამდებობის პირებთან ურთიერთობა.


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლსახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.



წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი. სახალხო მკურნალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, ალმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63


ISSN 2233-3983
9 772233 398001